factcheck.ge

# ფაქტ მეტრი

GRASS FactCheck

26 სექტემბერი-2 ოქტომბერი 2016 #008

საინფორმაციო-ანალიტიკური გაზეთი, გამოდის ორშაბათობით

ფასი 1 ლარი

# გაყალბების საფრთხე და ხმებით მანიპულაციის მეთოდები



არჩევნებამდე 12 დღეა დარჩენილი და ორი საკითხი, რაც არჩევნების გაყალბების საშუალება შეიძლება აღმოჩნდეს, კვლავ მოუგვარებელია. ეს კი, პირველ რიგში, ამომრჩეველთა სიასა და საარჩევნო კომისიებს ეხება. სწორედ სიისა და კომისიების მეშვეობით ხდება შესაძლებელი ხმების გაყალბება

გვ.02

ზალვა ნათელაშვილი:

გვ.05

## „ბიძინისტები“ „ნაციონალებზე“ ორჯერ საშიში დამნაშავეები არიან



## ლარის კურსი და არჩევნები

გვ.08

გვ.09

## რუსეთი, 1906-2016

## შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები

რით განსხვავდებიან და რით ჰგვანან ერთმანეთს ერთ ოლქში წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატები - „ფაქტ-მეტრი“ საშუალებას გაძლევთ, ერთმანეთს შეადაროთ მათი პოზიციები თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ქარელის №40 ოლქი გვ.06



ქუთაისის №48 ოლქი გვ.07



ჭიათურის №56 ოლქი გვ.11



ფოთის №61 ოლქი გვ.12



რუსთავის №29 ოლქი გვ.13



ბათუმის №68 ოლქი გვ.15



## სიმართლე ტყუილი

GRASS FactCheck

რა მოცულობის ინვესტიციები შემოვიდა აზიიდან

დავით ბაქრაძე:

ინდოეთიდან ჩვენ გვქონდა დაახლოებით 700 მლნ ინვესტიცია, სამხრეთ კორეიდან კი - 1 მილიარდზე მეტი



მეტწილად მცდარი

გვ.08

GRASS FactCheck

რა გაკეთდა სამტრედიაში 2012 წლის შემდეგ



მეტწილად მცდარი

იმედა გოგავა:

2012 წლის შემდეგ სამტრედიაში არც ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა

გვ.09

GRASS FactCheck

რა გაკეთდა გორში „ოცნების“ მმართველობისას

ირაკლი ოქრუაშვილი:

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში გორში მხოლოდ რაგბის სტადიონი გაკეთდა, ისიც „ფონდი ქართუდან“ დაფინანსდა და არა ბიუჯეტიდან



მცდარი

გვ.03

GRASS FactCheck



ნახევრად სიმართლე

შეიძლებოდა თუ არა რუხის სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე 2 მილიონის დაზოგვა

გიორგი ბაჯელიძე:

რუხის სავაჭრო ცენტრი ტენდერის გარეშე ააშენეს, რის გამოც 2 მლნ ლარი დაიკარგა, იქ კი ამჟამად არაფერი ფუნქციონირებს

გვ.05

GRASS FactCheck

მცირდება თუ არა სიღარიბე საქართველოში

დიმიტრი ქუმსიშვილი:

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები ზედიზედ 4 წლის განმავლობაში (2011-2014) მცირდება



სიმართლე

გვ.16

GRASS FactCheck



სიმართლე

კობა ნარჩემაშვილი შს მინისტრობისას წამების დაკანონებას ითხოვდა?

თინა ხიდაშელი:

2002 წელს Human Rights Watch და Amnesty International აღნიშნავდნენ, რომ კობა ნარჩემაშვილი წამების დაკანონებას ითხოვდა

გვ.02

GRASS FACTCHECK
factcheck.ge



## კობა ნარჩემაშვილი შს მინისტრობისას წამების დაკანონებას ითხოვდა?

**თინა ხიდაშელი:**

**2002 წელს Human Rights Watch და Amnesty International აღნიშნავდნენ, რომ კობა ნარჩემაშვილი წამების დაკანონებას ითხოვდა**

სიმართლე

12 სექტემბერს, გადაცემა „არჩევანის“ ეთერში, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა „ქართული ოცნების“ ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატს, კობა ნარჩემაშვილს ედუარდ შევარდნაძის მთავრობაში ყოფნის პერიოდი შეახსენა და განაცხადა: „2002 წელს Human Rights Watch-ისა და Amnesty International-ის ანგარიშებში დაემთხვა თქვენი (კობა ნარჩემაშვილის) შეფასება. ისინი, ორივე, ამბობენ: „ის, რასაც კობა ნარჩემაშვილი ითხოვს და აკეთებს, არის წამების დაკანონება საქართველოში“.

კობა ნარჩემაშვილი ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ჯერ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, კახა თარგამაძის მოადგილე იყო, 2001-2003 წლებში კი შს მინისტრი თავად გახდა. ნარჩემაშვილმა თანამდებობა „ვარდების რევოლუციისა“ და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის პერიოდში დატოვა.

2004 წლის ოქტომბერში კობა ნარჩემაშვილი თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს და რამდენიმე თვეში საპროცესო გარიგების შედეგად გაათავისუფლეს.

Human Rights Watch და Amnesty International წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენენ და ისინი ყოველწლიურ ანგარიშებს აქვეყნებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული მდგომარეობის, პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ. ყოველი წლის ანგარიშში წინა წლის მოვლენებია შეფასებული. თუმცა, ყოველწლიური ანგარიში უფრო ზოგად დოკუმენტს წარმოადგენს და ამის გარდა, აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მუდმივად მიმართავენ სახელმწიფოებს რეკომენდაციებით, ასევე, წლის განმავლობაში კონკრეტულ მოვლენებს განცხადებებისა და პრესრელიზების საშუალებითაც აფასებენ.

Human Rights Watch-ის 2002 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პოლიციის კორუმპირებულობას ადამიანის უფლებების შელახვამდე მივყავართ. საუბარია რელიგიური უმცირესობების დევნის ფაქტებზეც, ყურადღება გამახვილებულია პოლიციის მხრიდან სიტუაციის გაუკონტროლებლობაზე და ხაზგასმულია, რომ გარკვეულ შემთხვევებში პოლიცია თავდასხმებში აქტიურ როლს თავად ასრულებდა.

ასევე, საუბარია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ საჩივრების სიმრავლეზე და ნათქვამია, რომ 2001 წელს მოქმედმა შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ ევროპელ დამკვირვებლებს განუცხადა, რომ მსგავს საჩივრებს ყურადღებას არ აქცევს, რადგან ისინი „საქართველოს მტრების“ მოგონილია.

ანგარიშში დადებით ნაბიჯად არის შეფასებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილება, რის მიხედვითაც მოწმეს კანონიერი წარმომადგენლის ყოლის უფლება მიეცა.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ დაკავებულებს წამების გზით აიძულებდნენ აღიარებითი ჩვენების მიცემას, რის შემდეგაც, ამ ჩვენებაზე დაყრდნობით, სასამართლოს გადაწყვეტილება გამოჰქონდა. ასევე, ნათქვამია, რომ დაკავებულები თავიანთი წამების დამტკიცებას ვერ ახერხებდნენ, რადგან პროცედურული აკრძალვების საშუალებით სახელმწიფო მათ არ აძლევდა დამოუკიდებელი ექსპერტის/ექიმისთვის მიმართვის უფლებას.

Human Rights Watch-ის 2002 წლის ანგარიშში ქალების გატაცებისა და გაუპატიურების ფაქტებზეა საუბარი, რაზეც პოლიცია არ რეაგირებდა და მსხვერპლის ოჯახს „ფაქტის წინაშე დადგომას“ ურჩევდა. ასევე, ნათქვამია, რომ სახელმწიფო ორგანოები არ იჩენდნენ ძალისხმევას და არც რაიმე საკანონმდებლო ინიციატივა დაფიქსირებულა ქალთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კიდევ უფრო დეტალურია Amnesty International-ის 2002 წლის ადამიანის უფლებების მსოფლიო ანგარიშში საქართველოს შესახებ მოცემული ინფორმაცია.

Amnesty International-ის 2002 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში დაკავებულების მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ მიმართვები და საჩივრები არ წყდება. ხაზგასმულია, რომ წამების მიზანს ძირითადად აღიარებითი ჩვენების მოპოვება წარმოადგენდა. ანგარიში ეხება ისეთ საკითხებსაც, როგორიც არის დაკავებულებისთვის ადვოკატის ან დამოუკიდებელი სამედიცინო ჯგუფის მომსახურებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

Amnesty International-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიუკერძოებლად არ ყოფილა გამოძიებული.

ანგარიშში ვხვდებით კონკრეტულ სახელებსა და გვარებს. საუბარია, მაგალითად, სოფელ სამთავისში 16 ნოემბერს დაკავებულ ზაზა ნადირაძეზე, რომელიც თბილისში პოლიციის თანამშრომლებმა სასტიკად აწამეს აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, რაც 19 ნოემბერს სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა.

საუბარია, ასევე, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბუნდოვან ვითარებაში დაკავებულის ფანჯრიდან გადმოვარდნაზე, სასტიკად ნაცემი დაკავებულის გარდაცვალებაზე და ა.შ.

გარდა მოცემული ყოველწლიური ანგარიშებისა, მნიშვნელოვანია Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის აღმასრულებელი დირექტორის, ელიზაბეტ ანდერსენის განცხადება კობა ნარჩემაშვილის მიერ 2002 წლის ნოემბერში წინასწარი დაკავების (კომუნიკაციის უფლების გარეშე) 12-საათიანი პერიოდის ვადის გაზრდის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

„ის, რასაც კობა ნარჩემაშვილი ითხოვს, არის წამების დაკანონება; ევროპის საბჭოც და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც საქართველოს პატიმრების უფლებების დაცვის გარანტიების გამყარებას სთხოვენ, ნარჩემაშვილის ინიციატივა კი სრულიად საპირისპიროა“, — განაცხადა ელიზაბეტ ანდერსენმა.

საინტერესოა, რომ 2016 წლის 22 ივლისს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა და ახლა უკვე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა კობა ნარჩემაშვილმა ტელეკომპანია „ტაბულას“ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ მინისტრობის პერიოდში მას კომუნიკაციის უფლების გარეშე 12-საათიანი წინასწარი დაკავების ვადის გაზრდასთან დაკავშირებით ინიციატივა არ ჰქონია.

**დასკვნა**

„ფაქტ-მეტრმა“ Human Rights Watch-is და Amnesty International-ის 2002 წლის ანგარიშები შეისწავლა. ამ დოკუმენტებში პოლიციის მიერ ადამიანის უფლებების შელახვის არაერთ ფაქტზეა საუბარი. რაც შეეხება ნარჩემაშვილის მიერ „წამების დაკანონების“ მოთხოვნას, განცხადება ამის შესახებ Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის აღმასრულებელმა დირექტორმა, ელიზაბეტ ანდერსენმა, 2002 წლის 25 ნოემბერს გააკეთა.

**სალომე ჩოხელი**

# გაყალბების საფრთხე და ხმებით მანიპულაციის მეთოდები

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის წარმომადგენლები პრაქტიკულად ერთხმად მიუთითებენ, რომ საარჩევნო სიებში არსებული შეუსაბამობები ხელისუფლებას ე.წ. კარუსელის მეთოდით არჩევნების შედეგების გაყალბების საშუალებას აძლევს, რისი გაკონტროლებაც მეტად რთული იქნება.

გარდა ამისა, ოპოზიციისა და არასამთავრობოების შეფასებით, უშუალოდ ხმების დათვლისას გაყალბების კიდევ ერთ საშიშროებას ქმნის საოლქო და საუბნო კომისიებში მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხელოვნურად შექმნილი დისბალანსი, როდესაც კომისიებში ე.წ. პროფესიული კვოტები „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მხარდამჭერებით შეავსო.

## ამომრჩეველთა სია და „მკვდარი სულების“ 3 კატეგორია

ამომრჩეველთა სიაში ზედმეტი ხალხი, რასაც წლების განმავლობაში „მკვდარ სულებს“ ეძახდნენ, იმის საშუალებას იძლევა, რომ ხმები რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ჩაყარონ. „რომელიმე“ პირობითად ნათქვამია, რადგან რომ ამ მიწერილებს საერთოდ არარსებული ხალხიც დაემატა.

მესამე კატეგორია კი საზღვარგარეთ წასული ხალხია, რომელიც რეგისტრირებული არ არის. ანუ ოფიციალური მონაცემებით ქვეყანაში მყოფ პირებად ითვლებიან, მაგრამ რეალურად საზღვარგარეთ არიან.

პრაქტიკულად კი მათი გამოყენება შესაძლებელია, თუკი სათანადო ორგანიზება მოხდება და კომისიიდან ხელშეწყობა ექნება. უბრალოდ, ამ კონკრეტული ადამიანების სახელზე გაცემული პირადობის მოწმობები უნდა არსებობდეს და ხმის მიცემა უპრობლემოდ იქნება შესაძლებელი.

თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ივნისიდან იუსტიციის სამინისტრო პირადობის მოწმობებს გამარტივებულად და უფასოდ გასცემს, მხოლოდ საჯარო რეესტრში არსებული მონაცემების, ანუ ჩაწერების საფუძველზე, ეს არც ისე რთული იქნება.

## „კარუსელის“ სახეობები

აქ კი უკვე ე.წ. კარუსელის თემა შემოდის. ამ მიწერილ თუ საქართველოში არმყოფი მოქალაქეების სახელზე გაცემული პირადობის მოწმობებით იმ უბნებში ხმის მიცემა, სადაც ისინი არიან ჩაწერილი, უკვე პრობლემა არ იქნება, ამის აღმოჩენა და დარღვევის დაფიქსირება კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

**მამუკა კაციტაძე:**
**„სოლოლაკიდან კონვერტების დარიგება ყველაზე სახიფათოა“**



ამისთვის სახელისუფლებო რესურსია აუცილებელი და შესაბამისად, გაყალბება, როგორც წესი, სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ ხდება.

ე.წ. „მკვდარი სულები“ ნიშნავს იმას, რომ სიაში ჩაწერილია ის ხალხი, ვინც რეალურად არ არსებობს, ან იციან, რომ არჩევნებზე ვერ მივლენ. ტერმინი „მკვდარი სულები“ იქიდან მოდის, რომ თავიდან სიაში გარდაცვლილი ადამიანები ეწერა და შესაბამისად, მათი გამოყენება ხდებოდა. წლების განმავლობაში კი ისინი სიიდან ამოიღეს, მაგრამ მათ ნაცვლად ისეთი ხალხი გაჩნდა, რომელიც შესაძლოა, რეალურად საერთოდ არ არსებობდეს, მაგრამ სიაში იყოს და მათი სახელით ვიღაცამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

ეს ეჭვი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც თბილისში ბინებში მიწერილი ადამიანები აღმოვაჩინეთ და ამის შესახებ „ფაქტ-მეტრი“ აგვისტოშიც წერდა. თბილისის რამდენიმე რაიონში გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ბინებში, საშუალოდ, 2-3 უცხო ადამიანი იყო მიწერილი ისე, რომ არც სახლის მფლობელებმა და არც მეზობლებმა არ იცოდნენ, ვინ იყო ეს ხალხი.

ცხადია, ეს ყველა მისამართზე არ ფიქსირდებოდა და მსგავსი შემთხვევები ძირითადად ახალაშენებულ კორპუსებში იყო. თუმცა, ჩვენ ასეთი შემთხვევები ძველ ბინებშიც დავაფიქსირეთ.

მაშინ საჯარო რეესტრში, რომელიც ბინებში ჩაწერილი ადამიანების რეგისტრაციაზეა პასუხისმგებელი, გვითხრეს, რომ, თუკი ვინმე საკუთარ სახლში უცხო ადამიანს აღმოაჩენს (ცხადია, ეს აღმოჩენაც შემთხვევით ხდება და დიდი ალბათობაა, რომ ვერც აღმოაჩინოს), მთელი რიგი პროცედურა უნდა გაიაროს, რომ ეს უცხო ხალხი ამოწეროს.

მაშინ რეესტრში არც მიმართვიანობისა და არც ბინებიდან უცხო ხალხის ამოწერის სტატისტიკის შესახებ არ მოგვცეს ინფორმაცია და მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ამის სტატისტიკის წარმოება არ ხდება. თუმცა, ამომრჩეველთა სიის გადამოწმების კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა მამუკა კაციტაძემ, რომელიც ამ საკითხზე 2012 წელს მუშაობდა, „ფაქტ-მეტრთან“ საუბრისას თქვა, რომ შესაძლოა, ეს ხალხი ე.წ. უმისამართოები ყოფილიყვნენ.

საქმე ის არის, რომ 2012 წლის მონაცემებით, ე.წ. უმისამართოების, ანუ იმ კატეგორიის ადამიანების რაოდენობა, ვინც საცხოვრებელი სხვადასხვა პრობლემის გამო დაკარგეს და ახლა საკუთრება არ გააჩნიათ, 189 ათასზე მეტი იყო. მაშინ ეს ხალხი ძველი მისამართებით სიებში ჩასვეს, ოღონდ მათთვის ცალკე სიები იყო შედგენილი. 2012 წლის შემდეგ კი ხელისუფლებამ უკვე კანონში ჩაწერა, რომ ადამიანების ეს კატეგორია ამომრჩეველთა სიაში არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამით მათი კონსტიტუციური უფლება იზღუდება და კაციტაძე ვარაუდობს, რომ ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებას მათი სხვა მისამართებზე მიწერით ცდილობს.

„ეს რამდენად არის პრობლემის მოგვარება, ძნელი სათქმელია და ისიც ფაქტია, რომ ამით მანიპულირების საშუალება რჩება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს შეგნებულად ხდებოდეს. ვნახოთ. ცხადია, რომ პრობლემა ბევრია, რაც არჩევნების სამართლიანობასთან დაკავშირებით, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემებს შექმნის“, - ამბობს მამუკა კაციტაძე.

გარდა ამისა, არც ის არის გამორიცხული, რომ კონკრეტულ ადამიანებს აძლევენ ბიულეტენს... 

გარდა ამისა, ოპოზიციის წარმომადგენელთა ცნობით, არსებობს ე.წ. სომხური კარუსელის გამოყენების ალბათობაც, რათა ხმები გარანტირებულად „ქართული ოცნებისთვის“ იქნას მიცემული. ეს პრინციპი კი გულისხმობს მას, რომ კონკრეტულ ადამიანებს აძლევენ ბიულეტენს, სადაც წინასწარ არის შემოხაზული №41 და ამომრჩეველმა, რომელიც რაღაც გარიგებას დადებს ხელისუფლებასთან, ეს ბიულეტენი უნდა ჩააგდოს ურნაში, ცარიელი ბიულეტენი კი, რომელსაც არჩევნების დღეს უბანზე მისცემენ, კოორდინატორს მიუტანოს.

ამის გაკონტროლება, ცხადია, შეუძლებელი იქნება, რადგან ბიულეტენების გადაცემა სულ სხვა ადგილას მოხდება და საარჩევნო უბანზე, კაბინაში, სადაც ამომრჩეველი თავის არჩევანს აკეთებს, არანაირი კამერა არ დგას და შეუძლებელია იმის დაფიქსირება, ჯიბიდან ვინ რას იღებს და იდებს. გარეთ გამოსული კი კონვერტში ჩადებულ ბიულეტენს ჩვეულებრივად აგდებს ურნაში.

საინტერესოა, რომ ამ გაყალბების გარკვეული მოლოდინი ოპოზიციაში უკვე არსებობს.

„მე უფრო იმის მოლოდინი მაქვს, რომ წინასაარჩევნო დღეებში სოლოლაკიდან წამოვა კონვერტები კონკრეტული მიმართულებებით, იმიტომ, რომ ადამიანმა იცის მხოლოდ ერთი საშუალება - ფული და მერე აქედან გამომდინარე მოქმედება.

ამაზე მეტყველებს მისი პასუხი თუნდაც იმ კითხვაზე, რომელიც არასამთავრობოებმა დასვეს, რომ ივანიშვილის ტელევიზიით ასეთი ხანგრძლივი ჩართულობები არის კანონის დარღვევა. მან თავისი ჭკუით კარგი პასუხი გასცა, - ჯარიმას გადავიხდიო. ანუ ყველაფერი ისევ ფულთან დააკავშირა. ამიტომაც, ჩემი აზრით, ეს უფრო არის ყურადღებამისაქცევი არჩევნებამდე ორი-სამი დღით ადრე.

„რაც შეეხება უშუალოდ არჩევნების დღეს, ცხადია, ხელისუფლებას ექნება გაყალბების მცდელობა, მაგრამ იმდენად დიდია ყურადღება, რომ, მე ვფიქრობ, თუკი გაყალბებას გაბედავენ, ეს მათთვის საბედისწერო შეცდომა იქნება. თუმცა, გამორიცხული არაფერია და ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება ყველას მხრიდან“, - ამბობს „ფაქტ-მეტრთან“ საუბრისას საარჩევნო ბლოკის „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე, რომელიც წლების განმავლობაში საარჩევნო საკითხებზე მუშაობს და დასძენს, რომ „შესაძლოა, ივანიშვილმა პოლიტიკაში არაფერი იცის, მაგრამ კონვერტების დარიგება ნამდვილად იცის. ეს არის ის, რაც მას უკეთებია, აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს. გაიხსენეთ, პოლიტიკაში მოსვლისას რა თქვა, - ყველა ტელევიზიას ბითუმად ვიყიდი და მერე ცალობით გავყიდიო. ანუ მისი ყველა აზრი, პოლიტიკასთან დაკავშირებული, გადის ფულზე. კონვერტების დარიგება რომ ვახსენე, სწორედ იმას ვგულისხმობდი, რომ ეს კონვერტები ხმების საყიდლად დარიგდება, რაც ცალსახად დარღვევა და გაყალბებაა. ამიტომ ვამბობ, რომ სოლოლაკიდან კონვერტების დარიგება ყველაზე სახიფათოა“.

დასასრული მე-4 გვ.

# 2 წელიწადში 8 ათასზე მეტი ახალი შტატი და თითქმის 40% პროცენტით გაზრდილი სახელფასო ფონდი

როგორ ზრდიდა ხელისუფლება რეგიონებში დასაქმებულთა რაოდენობას თვითმმართველობის არჩევნებიდან საპარლამენტო არჩევნებამდე

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საქართველოს ყველა რეგიონში მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ა(ა)იპ-ების) რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. გაზრდილია ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა და, რა თქმა უნდა, სახელფასო ფონდიც.

2015-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით რეგიონებში არსებულ მუნიციპალიტეტებში ა(ა)იპ-ების რაოდენობა 84 ერთეულით არის გაზრდილი. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე რეგიონებში იყო სულ 695 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ამჟამად არის 779 („საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევის მიხედვით).

2015-2016 წლებში მუნიციპალურ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა 36 540-დან 44 772-მდე გაიზარდა. შესაბამისად, ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა 8 232 პირით არის გაზრდილი.

დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად სახელფასო ფონდის მოცულობაც გაიზარდა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა ხელფასებზე 11 მილიონ 126 ათასი ლარი იხარჯებოდა, მიმდინარე წელს აღნიშნულმა ხარჯმა 15 მილიონ 372 ათასი ლარი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტები სახელფასო ფონდზე 4 მილიონ 246 ათასი ლარით მეტს ხარჯავენ, ვიდრე 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე.




**წყარო: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“**

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მუნიციპალური ა(ა)იპ-ები ყველაზე დიდი რაოდენობით (29) რაჭა-ლეჩხუმში დაფუძნდა. მხოლოდ ერთ რეგიონში, შიდა ქართლში, შემცირდა ა(ა)იპ-ების რაოდენობა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე შიდა ქართლში 73 ა(ა)იპ-ი იყო, ამჟამად კი 65-ია. კერძოდ, ხაშურში ა(ა)იპ-ების რაოდენობა 24-დან 13-მდეა შემცირებული, რაც იმით არის განპირობებული, რომ ხაშურში არსებული ბაგა-ბაღები ცალკე ა(ა)იპ-ებად იყვნენ წარმოდგენილნი და მათი ერთ ა(ა)იპ-ში - „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ გაერთიანება მოხდა. თუმცა, ა(ა)იპ-ების რიცხვის შემცირების მიუხედავად, თვიურად გასაცემი ხელფასების რაოდენობა, პირიქით, 47 ათასი ლარით არის გაზრდილი.

ყველაზე მეტად ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა იმერეთის მუნიციპალიტეტებში (1713 ერთეულით) და გურიის მუნიციპალიტეტებში (984 ერთეულით) გაიზარდა, კახეთის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობა 895-ით გაიზარდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტში - 853-ით.

ზრდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთსა (357ერთეული) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (408 ერთეული)აღინიშნა.

აღსანიშნავია, ასევე, ცალკეული მაგალითებიც.

რუსთავის მუნიციპალიტეტში ამჟამად 16 მუნიციპალური ა(ა)იპ ფუნქციონირებს. 2014 წლის შემდეგ (19) ა(ა)იპ-ების რაოდენობა შემცირებულია, თუმცა დასაქმებულთა რაოდენობა 1 041 ადამიანით არის გაზრდილი (1367-დან 2118-მდე).

რუსთავის მერიის განმარტებით, ძირითადად ტექნიკური პერსონალია დამატებული, რომელიც „ქალაქ რუსთავის დასუფთავებაში“ და უზრუნველყოფის საქალაქო სამსახურში დასაქმდა. კადრები ტექპერსონალის სახით (მზარეულები, აღმზრდელები, დარაჯები) ა(ა)იპ- „რუსთავის ბაგა-ბაღების“ გაერთიანებაშიც გაიზარდა.

აქვე აღვნიშნავთ ერთ ფაქტს - 2015 წლის ბოლოს რუსთავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების შტატს ახალი თანამდებობა - მენეჯერი დაემატა (ადმინისტრირების კუთხით). რამდენად საჭირო იყო ბაღებისთვის მსგავსი შტატის დამატება, ძნელი სათქმელია. საზოგადოების ნაწილმა ბაღებში ახალი თანამდებობის გაჩენა წინასაარჩევნოდ პარტიული აქტივის დასაქმების გზად აღიქვა.

გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ა(ა)იპ-ში, ჩვენი აზრით, შეუსაბამო რაოდენობის ერთი და იგივე დანიშნულების საშტატო ერთეული ფიქსირდება. მაგალითად, ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის საშტატო ნუსხაში 3 დამლაგებელი (ხელფასი 200 ლარი) და 6 დარაჯი ირიცხება (ხელფასი - 250 ლარი). ასევე, 6 დარაჯი ჰყავს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის შ. ჩოჩიშვილის სახელობის ცენტრალურ სასპორტო სკოლას. ამ სკოლაში 48 მწვრთნელია დასაქმებული.

გორის მუნიციპალიტეტში, ასევე, დიდია მსგავსი მიმართულების ა(ა)იპ-ების რაოდენობა. მაგალითად, სასპორტო დანიშნულების 6 ა(ა)იპ არსებობს. სასპორტო მიმართულების ორგანიზაციების ცალკეულ ა(ა)იპ-ებად დარეგისტრირება მნიშვნელოვნად ზრდის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დანახარჯებს. სასპორტო დანიშნულების ა(ა)იპ-ებში 192 ადამიანია დასაქმებული და ერთი თვის სახელფასო ფონდი 93 576 ლარს შეადგენს.

ასევე, საინტერესოა, გორის მუნიციპალიტეტში ფოლკლორულ ანსამბლ ა(ა)იპ „მაჩაბელას“ დაარსება. 2015 წელს გორის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ „მაჩაბელა“ (ფოლკლორული ანსამბლი) დაფუძნდა. ა(ა)იპ-ის ბიუჯეტი 123 ათასი ლარით განისაზღვრა. „მაჩაბელაში“ 15 ადამიანი დასაქმდა, რომელთა სახელფასო ფონდმა 115 ათასი ლარი შეადგინა (ა(ა)იპ-ის ბიუჯეტის 90%).

ისიც აღსანიშნავია, რომ გორის გამგეობის კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში „მაჩაბელას“ შექმნამდე ფოლკლორული რაიონული ცენტრის შექმნის პროექტი შევიდა, რომლის ავტორი პროექტის განსახორციელებლად გაცილებით ნაკლებს - 19 ათას ლარს ითხოვდა.

როგორც აღმოჩნდა, 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მუნიციპალიტეტებში ა(ა)იპ-ების რაოდენობის ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მუნიციპალიტეტებში ა(ა)იპ-ების ზრდა სისტემური პრობლემაა. ხშირად, რეგიონებში ძალიან ბევრი ა(ა)იპ-ის არსებობა დაუსაბუთებელია და ადგილობრივი ბიუჯეტის არაეკონომიურ ხარჯვას განაპირობებს, რაც მუნიციპალიტეტების ისედაც მცირე ბიუჯეტს კიდევ უფრო ამცირებს.

კადრების არამიზნობრივი ზრდა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის 25%-ზე მეტი შრომის ანაზღაურებაზე იხარჯება.

**ვერიკო სუხიაშვილი**

# რომელი პარტია რა ცვლილებებს გეგმავს საბიუჯეტო სტრუქტურებში

**პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნოდ ბიუროკრატიის შემცირებისა და ეფექტიანი მმართველობის მიზნით საბიუჯეტო სტრუქტურებში ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობენ. ამ მიმართულებით ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და დაპირებები გავაანალიზეთ.**

### „ქართული ოცნება“

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო პროგრამის თანახმად, „ადმინისტრაციული რესურსის შემცირების მიზნით, განხორციელდება ჭარბი საჯარო დაწესებულებებისა და დაწესებულებებს შორის ფუნქციათა გადაფარვის იდენტიფიცირება“.

ამის პარალელურად მთავრობა ახალი უწყების შექმნას აანონსებს. „ქართული ოცნების“ 4-პუნქტიანი გეგმის თანახმად, „მმართველობის რეფორმის ფარგლებში, შეიქმნება ერთიანი „ფრონტ ოფისი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება“.

აქვე აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნოდ (24 აგვისტოს) პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, მთის კურორტების განვითარების მიზნით სახელმწიფო შპს-ს შექმნა დააანონსა. შპს არჩევნების შემდეგ შეიქმნება და მას „ქართული ოცნების“ ამჟამინდელი დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი უხელმძღვანელებს.

დასასრული მე-4 გვ.

GRASS FACTCHECK factcheck.ge

## რა გაკეთდა გორში „ოცნების“ მმართველობისას

**ირაკლი ოქრუაშვილი:**

**„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში გორში მხოლოდ რაგბის სტადიონი გაკეთდა, ისიც „ფონდი ქართუდან“ დაფინანსდა და არა ბიუჯეტიდან**



მცდარი

გორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ოქრუაშვილმა ტელეკომპანია GDS-ის ეთერში წინასაარჩევნო პერიოდზე ისაუბრა და ამჟამინდელი ხელისუფლების მუშაობაც შეაფასა. ოქრუაშვილის თქმით, „ქართული ოცნება“ ქვეყნის მართვას უპასუხისმგებლოდ მოეკიდა. ამ თემაზე საუბრისას, მან ყურადღება გორზე გაამახვილა და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ოთხწლიანი მმართველობის პერიოდში ქალაქში მხოლოდ ერთი პროექტი განხორციელდა.

ქალაქ გორის მერიის ინფორმაციით, 2010 წლის 14 მაისს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს რაგბის კავშირს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გორში, ჭალის დასახლებაში მდებარე (გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული) 35 186 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაეცა. ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარემ იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი წლის ვადაში ბავშვთა და მოზარდთა სარაგბო სათამაშო-სავარჯიშო სპორტული კომპლექსი მოეწყო.

აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, გორში სარაგბო კომპლექსი აშენდა. მშენებლობა 2016 წლის პირველ ნახევარში დასრულდა. კომპლექსი „ფონდი ქართუს“ დაფინანსებით შენდებოდა. კომპლექსში შედის სათამაშო არენა ბუნებრივსაფარიანი მოედნით და გადახურული ტრიბუნებით, რომელზეც 2 500 მაყურებლისთვის ინდივიდუალური სავარძელია დამონტაჟებული.

„ფონდმა ქართუმ“ 23 სარაგბო-ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა. სარაგბო ბაზა, გორის გარდა, თბილისში, ქუთაისში, ასპინძაში, რუსთავში, ფოთსა და მარტყოფშიც შენდება.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს გორში განხორციელებულ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, გორის მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის იაგო წიკლაურის თქმით, პროექტების დიდი ნაწილი 2015 წელს განხორციელდა.

„ამ წელს მოეწყო საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობა რკინიგზის დასახლებაში. ნაგებობა ბაქტერიული მეთოდით ამუშავებს ფეკალურ მასალებს და გარდაქმნის ტექნიკურ წყლად, რომელიც მდინარეში ჩაედინება. ამავე წელს გარემონტდა მეთორმეტე საბავშვო ბაღი, რომელიც დამწვარი იყო. ახლა კი, იქ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. მეთორმეტე ბაღთან ერთად, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდის კიდევ 8 დაწესებულებას. რეაბილიტაცია ჩავუტარეთ სამხატვრო სკოლას. ასევე, მოვაწყვეთ საზოგადოებრივი ტუალეტი ტაბიძის ქუჩაზე. სპორტული კომპლექსის სრულყოფისთვის, ნუგზარ სხირელის სახელობის საჭიდაო დარბაზში მოეწყო სპორტსმენების დასასვენებელი კომპლექსი. ათ სადარბაზოს გავუკეთეთ მოფილაქნებული შესასვლელები“, — განმარტავს „ფაქტ-მეტრთან“ საუბარში იაგო წიკლაური.

მისივე ინფორმაციით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება 2016 წელსაც გრძელდება. კერძოდ, როგორც წიკლაურმა აღნიშნა, უკვე დასრულებულია ჯანო ბაგრატიონის სახელობის სკვერის მოწყობა. ასევე, ათობით კორპუსში მოეწყო წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის საერთო სარგებლობის ქსელი.

ქალაქ გორის მერიის მუშაობის ანგარიში ინტერნეტშია ხელმისაწვდომი და მასში მოცემულია ინფორმაცია იმ პროექტებისა თუ აქტივობების შესახებ, რომლებიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ 2014 წლიდან დღემდე განახორციელა.

გარდა ამისა, 2016 წელს, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით, ქარის პირველი ელექტროსადგური დამონტაჟდა. გორის ელექტროსადგური ძირითადად EBRD-ის სესხით შენდება, რომელიც 24 მილიონ დოლარს შეადგენს. დამატებით 6 მილიონი კი ენერგეტიკის განვითარების ფონდისა და ნავთობისა და გაზის კორპორაციის სახსრებია.

**დასკვნა**

2012-2016 წლებში გორში სარაგბო კომპლექსი საქართველოს რაგბის კავშირმა ააშენა. დამფინანსებელი მართლაც „ფონდი ქართუ“ იყო. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ ერთი პროექტი, რაც აღნიშნული პერიოდის მანძილზე ქალაქში განხორციელდა. „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში გორში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მათი ნაწილისთვის ფინანსები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. ამავე პერიოდში, გორში კიდევ ერთი მსხვილი პროექტის — საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. პროექტი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ეკუთვნის და ამ ეტაპისთვის ტურბინების მონტაჟი დასრულებულია.

**გვანცა დოლუაშვილი**

მე-2 გვერდიდან

# გაყალბების საფრთხე და ხმებით მანიპულაციის მეთოდები

### საოლქო და საუბნო კომისიები

ამ ყველაფრის ხელისშემწყობი კი უკვე ის ფაქტია, რომ საოლქო და საუბნო კომისიებში გადამწყვეტი ხმები ხელისუფლებისა და ე.წ. პროფესიული კვოტის წარმომადგენლებს ექნებათ, რომლებიც ისევ ხელისუფლებისთვის სასურველი ხალხით დაკომპლექტდა და ამაზე არასამთავრობო სექტორი ბოლო პერიოდში ძალიან კრიტიკულ განცხადებებს აკეთებდა.

საარჩევნო ადმინისტრაციაში საოლქო კომისიები არის შუალედური ორგანო, თუმცა, ამ ორგანოს განსაკუთრებული ფუნქცია აქვს, ვინაიდან სწორედ საოლქო კომისიები იხილავენ არჩევნების დღეს აღმოჩენილი დარღვევების საკითხს, ვიდრე სასამართლოს გადაეცემა.

შესაბამისად, საოლქო კომისიაში მიღებულ გადაწყვეტილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. საოლქო კომისიებიდან კი ცოტა ხნის წინ სამსახურიდან დაითხოვეს ადამიანები, რომლებსაც უკვე აქვთ პროფესიული გამოცდილება და ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის თქმით, დანიშნეს მმართველი გუნდის აქტივისტები. სწორედ ამის გამო ცესკოს ოპოზიციაც აკრიტიკებს და არასამთავრობო სექტორიც.



**გია ცაგარეიშვილი:** „ყველა კომისიაში, რომელიც 13 წევრისგან შედგება, ფაქტობრივად, 8 კაცი ხელისუფლებისაა. ამიტომ საარჩევნო კომისიების მიმართ ნდობა უკვე აღარ არსებობს“

„საუბნო და საოლქო დონეზეც „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ თავისი ახლობლებით, ნათესავებით, მეგობართა წრეებიდან გამოსული ადამიანებითა და პარტიის წევრებით დაეკომპლექტებინა ე.წ. დამოუკიდებელი კვოტები. ჩვენ, „თავისუფალმა დემოკრატებმა“, რამდენიმე ბრიფინგი მივუძღვენით ამას და ძალიან მწყდება გული, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის გარდა, არც არავინ გამოხმაურებია ამ ფაქტებს და საბოლოოდ ყველა კომისიაში ე.წ. მიუმხრობელი კვოტები ვითომ კონკურსის წესით მმართველი პარტიის ხალხით დაკომპლექტდა.

„აქ ორი სახის პრობლემასთან გვაქვს საქმე. პირველი, საბიუჯეტო სახსრებით ხმების მოზიდვა. როგორც იცით, საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრს 180 ლარი აქვს ხელფასი და მეორე ის, რომ, თუკი ოქმის შედგენისას გადაწყვეტილების მისაღებად პრობლემები შეიქმნება, უმრავლესობა მმართველი პარტიის ხელში იქნება, რადგან ყველა კომისიაში, რომელიც 13 წევრისგან შედგება, ფაქტობრივად, 8 კაცი ხელისუფლებისაა. ანუ 13-დან 8 კაცი არის ხელისუფლების ნებაზე დამოკიდებული და მთელი ოპოზიცია უმცირესობაშია. ამიტომ საარჩევნო კომისიების მიმართ ნდობა უკვე აღარ არსებობს. ამ ყველაფერს კი ემატება ის, რომ უკვე დაიწყო კომისიებში ჩვენს წევრებზე ზეწოლა და ჩვენ ამაზე განცხადებებიც გავაკეთეთ“, - ამბობს „ფაქტ-მეტრთან“ საუბრისას „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი, გია ცაგარეიშვილი.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ კი აქცენტს წინასაარჩევნო დარღვევაზე აკეთებენ და ამბობენ, რომ ამ წინაპირობებიდან გამომდინარე დიდი შანსია იმისა, რომ ხელისუფლება არჩევნების დღეს ხმების მიღებას სწორედ გაყალბებით შეეცდება.

„ახლა ყველაზე მწვავე პრობლემა, რაც არის, არის ძალადობა, შეხვედრების ჩაშლის მცდელობა და ამომრჩევლების დაშინება, რაც ძირითადად სუს-ის მხრიდან ხორციელდება. თუმცა, ასევეა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდანაც.

ჩვენ ამის შესახებ მუდმივად ვაწვდით ინფორმაციას უწყებათაშორის კომისიას, რომელიც სწორედ ასეთ შემთხვევებზე რეაგირებისთვის იქმნება წინასაარჩევნოდ, რათა ხელი შეუწყოს თავისუფალ წინასაარჩევნო პერიოდს. სამწუხაროდ, ამ უწყებათაშორისმა კომისიამ თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა და ჩვენს წინააღმდეგ დარღვევებზე არასოდეს ხდებოდა ადეკვატური და დროული რეაგირება იმ მხრივ, რომ არც ერთი პირი არ არის პასუხისგებაში მიცემული.

მაგალითად, დედოფლისწყაროში ოფისი დაგვირბიეს; ფლავისმანში იყო შეხვედრის ჩაშლის მცდელობა „ქართული ოცნების“ აქტივისტებისა და გამგეობის თანამშრომლების მიერ მოწყობილი პროვოკაციით; სოფელ გამარჯვებაში სცემეს ჩვენს აქტივისტებს და ა.შ. არც ერთ ასეთ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ, მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა ამის დამამტკიცებელი მასალა.

მათ შორის მინდა, გავიხსენო ჯიხაშკარის ამბავი, სადაც სანდრა რულოვსის შეხვედრის ჩაშლის მცდელობა ჰქონდათ და სადაც კორცხელის თავდასხმაში მონაწილე პირები მონაწილეობდნენ. არც ერთ ასეთ შემთხვევაზე არ ყოფილა რეაგირება და, შესაბამისად, ჩვენ პროტესტის ნიშნად ეს კომისია დავტოვეთ.

ამ ტიპის დარღვევების გარდა, არის პრობლემები საარჩევნო ადმინისტრაციაშიც, იმიტომ, რომ საუბნო კომისიის დაკომპლექტება მთლიანად პარტიული ნიშნით მოხდა მაშინ, როდესაც კომისიის 6 წევრი პროფესიული ნიშნით უნდა შეირჩეს. ამასთანავე, საოლქო კომისიებში ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი ხალხი სარგებლობს პრივილეგიით, აქვს წვდომა სისტემაზე და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ამ სისტემაში მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევს.

ასევე, გვაქვს მოსყიდვისა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების შემთხვევები და ამ ყველაფერმა შეიძლება, გამოიწვიოს ის, რომ უბნების გარეთ მოხდეს ძალადობრივი ინციდენტების პროვოცირება, რათა მოსახლეობას არ მისცენ შესაძლებლობა, საკუთარი ნება თავისუფლად გამოხატონ და მეორე, კომისიების შიგნით იყოს გარკვეული მცდელობა, რომ ან ბათილად ცნონ ის ბიულეტენები, რომელიც ხელისუფლებას არ აწყობს, ან თავად კომისიის წევრებმა სცადონ, რომ ჩაშალონ გარკვეული უბნები.

თუმცა, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის ნება გაიმარჯვებს და რა მეთოდებსაც არ უნდა მიმართოს ბიძინა ივანიშვილმა, იქნებიან დამკვირვებლები და ამას ვერ მოახერხებენ და რაც მთავარია, ხალხის ნება ყველაზე ძლიერია და ეს საქართველოს უახლესმა ისტორიამ არაერთხელ დაამტკიცა. შევძლებთ, რომ ყველამ საკუთარი აზრი დემოკრატიულად დავაფიქსიროთ და შევცვალოთ ეს უნიათო ხელისუფლება“, - ამბობს „ფაქტ-მეტრთან“ საუბრისას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი თინა ბოკუჩავა.



**თამარ კორძაია**: „მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მისცემს ხმას და ეს არჩევნების შედეგზე უნდა აისახოს. თუკი ეს არ აისახება, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არჩევნები სათანადო დონეზე არ ჩაატარა“

### სიებთან დაკავშირებული დღევანდელი რეალობა

კანონმდებლობით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე ცესკოა პასუხისმგებელი და შესაბამისად, ცესკოს მონაცემები ითვლება ოფიციალურ მონაცემებად. ცესკოს მონაცემებით კი, საქართველოში რეგისტრირებულია 3 510 514 ამომრჩეველი. ეს არის 2016 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით დაფიქსირებული რაოდენობა და მას შემდეგ ცვლილება არ შესულა.

სხვა საკითხია, რომ ეს სია ძალიან შეუსაბამოა საჯარო რეესტრის მიერ ჩატარებული საყოველთაო აღწერის მონაცემებთან, რასაც ცესკოში დათვლის მეთოდოლოგიით ხსნიან. ფაქტი ის არის, რომ აგვისტოს შემდეგ სია არ ჩასწორებულა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც „ფაქტ-მეტრს“ ცესკოში უთხრეს, საკუთარი თავი ცესკოს რესურსებით მილიონამდე ადამიანმა გადაამოწმა, მაგრამ ეს არის დაფიქსირებული გადამოწმება და არ აქვთ ინფორმაცია, აღმოაჩინეს თუ არა მათ რაიმე შეცდომა და რაც მთავარია, მოხდა თუ არა ამ შეცდომის გასწორება.

ცესკოში ამბობენ, რომ ამის შესახებ ინფორმაცია საჯარო რეესტრს უნდა ჰქონდეს, რეესტრში კი ამბობენ, რომ ეს ინფორმაცია არ გააჩნიათ. უფრო მეტიც, 22 სექტემბრამდე იყო ვადა, რომ მოქალაქეებს შეცდომის გასასწორებლად საუბნო კომისიებისთვის მიემართათ. ცესკოში კი ამბობენ, რომ მათ არც იმის შესახებ არ აქვთ ინფორმაცია, რამდენმა ისარგებლა ამ უფლებით. ასე რომ, დღეის მონაცემებით, ძალაშია 12 აგვისტოს სია.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს სია ყველა ბოლო ჩასწორებაზე იზრდებოდა.

ყველა ამ ფაქტორისა და, ასევე, ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების ფონზე, რასაც უკვე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც იმეორებენ, ოპოზიციის ყველა ფრთა ფიქრობს, რომ ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება.

„ძალიან ძნელია იმის პროგნოზი, ვის ექნება წარმატება. ერთი რამ ნამდვილად ცალსახაა, რომ ივანიშვილის სურვილი, „ქართულმა ოცნებამ“ 100 დეპუტატი შეიყვანოს პარლამენტში, ნამდვილად ვერ ახდება, თუკი ადმინისტრაციულ რესურსს სერიოზულად არ გამოიყენებენ. რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ „ქართულ ოცნებას“ არ მისცემს ხმას და ეს არჩევნების შედეგზე უნდა აისახოს. თუკი ეს არ აისახება, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არჩევნები სათანადო დონეზე არ ჩაატარა“, - ამბობს „ფაქტ-მეტრთან“ საუბრისას „რესპუბლიკელების“ წარმომადგენელი თამარ კორძაია.

არასამთავრობო ორგანიზაციებში კი, რომლებიც საარჩევნო პროცესს აკვირდებიან, ამობენ, რომ ყველა ეს პრობლემა, რაზეც ვსაუბრობდით, რეალურად პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, ამბობენ, რომ მოსალოდნელი გაყალბების შესახებ კომენტარს ვერ გააკეთებენ და ამაზე არჩევნების შემდეგ ისაუბრებენ.

**რუსა მაჩაიძე**

# რომელი პარტია რა ცვლილებებს გეგმავს საბიუჯეტო სტრუქტურებში

მე-3 გვერდიდან

### „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

„ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, 2017 წლისთვის სახელმწიფო ბიუროკრატიისა და სხვა არაეფექტური ხარჯების მილიარდი ლარით შემცირებას გეგმავს. „ენმ“ სამთავრობო ხარჯების შემცირების მიზნით პრემიებისა და დანამატების შემცირებას, ასევე, ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამისა და საბიუჯეტო უწყებების გაუქმებას აპირებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი გიორგი კანდელაკი ჩვენთან საბიუჯეტო სტრუქტურებში დაგეგმილ ცვლილებებზე საუბრობს.

„არის მრავალი პროგრამა სამინისტროებში, რომელიც წარმოადგენს წყალში გადაყრილ ფულს. განსაკუთრებით ეკონომიკისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ბევრი პროგრამაა, რომელიც ძირითადად ნათესავების დასაქმებას ემსახურება.

ჩვენ გვექნება რადიკალური მიდგომა, შევწყვეტთ მსგავს პროგრამებს. შევამცირებთ აიპებსა და სსიპ-ებს, სადაც ყოველგვარ ზღვარს გადავიდა ხარჯვა, არის გაბერილი შტატები. ასევე, შევწყვეტთ სუბსიდირებულ სესხებს, რომელსაც შემოაქვს თავისუფალ ბაზარზე დისონანსი. საერთო ჯამში, ჩვენ სახელმწიფო ხარჯებს მილიარდი ლარით შევამცირებთ და ეს თანხა დარჩება ეკონომიკაში“, - განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მსგავს ცვლილებებს, რა თქმა უნდა, მოჰყვება საჯარო სამსახურებში სამუშაო ადგილების შემცირება. „ნაციონალურ მოძრაობაში“ განმარტავენ, რომ საჯარო სექტორში შემცირებები არ იქნება მყისიერი და ის ეკონომიკის განვითარების პარალელურად მოხდება.

„ჩვენ სახლში არავის გავყრით, ჩვენ გავზრდით ეკონომიკას და კერძო სექტორში შეიქმნება სამუშაო ადგილები“, - აღნიშნა გიორგი კანდელაკმა.

### „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში საბიუჯეტო სტრუქტურებში რადიკალურ ცვლილებებს გეგმავს საარჩევნო ბლოკი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“. მათი ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო გზავნილია „განახევრებული ბიუროკრატია - განახევრებული სამინისტროები“.

დღეს საქართველოში 19 სამინისტროა, აქედან სამი - სახელმწიფო მინისტრის აპარატი. საარჩევნო ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ გეგმის თანახმად, ეკონომიკის, ფინანსთა, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები გაერთიანდება. ასევე, გაუქმდება სახელმწიფო მინისტრთა თანამდებობები (დიასპორის საკითხები, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხები) და მათ ფუნქციებს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეითავსებს.

როგორც საარჩევნო ბლოკში აცხადებენ, ცვლილებები შეეხება სხვა სამინისტროებსაც, თუმცა, ის ჯერჯერობით უცნობია.

„სახელმწიფო ხალხისთვის“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელი გიორგი პაპავა ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ „საჯარო მოხელეები, რომლებიც დარჩებიან სამსახურის გარეშე, კომპენსაციის სახით ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ ხელფასს“.

### „თავისუფალი დემოკრატები“

არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებასა და მმართველობის სისტემის ოპტიმიზებას გეგმავს „თავისუფალი დემოკრატები“.

საარჩევნო პროგრამის თანახმად, ადმინისტრაციული ხარჯები პირველივე წელს - 200 მლნ-ით, ხოლო შემდგომი 3 წლის განმავლობაში დამატებით 300 მლნ-ით შემცირდება.

რაც შეეხება მმართველობის სისტემის ოპტიმიზებას, „ის გულისხმობს სამინისტროებისა და უწყებების სტრუქტურის გამართვას, თითოეული თანამშრომლისთვის (მინისტრებისა და ზედა რგოლის მმართველობის ჩათვლით) სამუშაოს აღწერილობისა და შესრულების ინდიკატორების დაწესებას. შეფასების სისტემის დანერგვას და მათი ანაზღაურების 50%-ზე მეტის დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებაზე მიბმას“.

„თავისუფალი დემოკრატები“, ასევე, გეგმავენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის („ფინანსური პოლიციის“) გაუქმებას. როგორც პარტიაში განმარტავენ, „ფინანსური პოლიცია“, რეალურად, საგადასახადო ინსპექციის „ძალოვან ფრთას“ წარმოადგენს და მხოლოდ გადასახადების ადმინისტრირების გამკაცრებას ემსახურება.

ამის პარალელურად პარტია საინვესტიციო სააგენტოს ჩამოყალიბებას აანონსებს, რომელიც „ერთი სარკმლის“ პრინციპით მოემსახურება ინვესტორებს.

### „რესპუბლიკური პარტია“

საბიუჯეტო სტრუქტურებში რადიკალური ცვლილებების მომხრეა „რესპუბლიკური პარტია“. პარტია სამინისტროების შემცირების ინიციატივით გამოდის, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს.

„არა მგონია, რომ ჩვენი ხელისუფლება უკეთესად მართავს ქვეყანას, ვიდრე 7 სამინისტრო შვეიცარიას. გაზრდილი ბიუროკრატია თავისთავად ნიშნავს ძალიან დიდ ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომელიც იპარავს ფულს იქიდან, რაც რეალურად ქვეყანას ყველაზე უფრო მეტად სჭირდება. ამიტომ მცირე მთავრობა არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი“, - ეს განცხადება თინა ხიდაშელმა მიმდინარე წლის 24 აგვისტოს მედიასთან საუბრისას გააკეთა.

მაგალითისთვის უკვე დასახელდა რამდენიმე სამინისტრო, რომელთა კონსოლიდირებაც უნდა მოხდეს:

„ქვეყანაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში არ უნდა არსებობდეს და ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილი უნდა იყოს. იქიდან გამომდინარე, რომ ენერგეტიკა ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა, ენერგეტიკის სამინისტრო ცალკე უწყება არ უნდა იყოს და მისი ფუნქციები ეკონომიკის სამინისტრომ უნდა შეითავსოს“.

თინა ხიდაშელის განმარტებით, მხოლოდ სამინისტროებში არ არის პრობლემა. მისი თქმით, ასევე გაუმართლებელია არსებული ფორმით კრიზისების მართვის საბჭოს არსებობა, რადგან აქ არის დუბლირებული უშიშროების საბჭოს, თავდაცვის სამინისტროსა და შსს-ს ფუნქციები.

**თეონა აბსანძე**

## შალვა ნათელაშვილი:

# „ბიძინისტები" „ნაციონალებზე" ორჯერ საშიში დამნაშავეები არიან



**ლეიბორისტების ლიდერი „ფაქტ-მეტრთან" საუბრისას ამბობს, რომ „ომი რუსეთმა დაიწყო და ოკუპანტი ქვეყანაა". დღევანდელ ხელისუფლებას კი „რუსეთის დასმულ ხელისუფლებას" უწოდებს. შესაბამისად, ის თანამშრომლობას არა მარტო მმართველ პარტიასთან, არამედ ყველა სხვა პრორუსულ პარტიასთან გამორიცხავს. თუმცა, „ნაციონალურ მოძრაობასთან" თანამშრომლობაზეც უარს ამბობს. რა კონკრეტული გეგმები აქვს ნათელაშვილს და როგორ აპირებს ის ხელისუფლებაში მოსვლას? - ამ საკითხებზე ლეიბორისტების ლიდერი „ფაქტ-მეტრთან" საუბრობს.**

**შალვა ნათელაშვილი**: წინასაარჩევნო პროცესი, რა თქმა უნდა, დაძაბული და დატვირთულია, მაგრამ ამავე დროს ძალიან სასიამოვნოც, რადგან ვამთავრებთ ივანიშვილის ბატონობას საქართველოში. ამ ბრძოლის ბოლო აკორდები მიდის და ამის მაჩვენებელია ივანიშვილის გამწარებული კივილი.

„ბიძინისტები" „ნაციონალებზე" ორჯერ საშიში დამნაშავეები არიან. ივანიშვილის კივილიც და ეს ყველაფერიც იმას ნიშნავს, რომ მათ აგონია დაეწყოთ და ეს ყველაფერი ძალიან კარგია.

**- ოპოზიციური პარტიები ამბობენ, რომ მათ წინააღმდეგ სუს-ი მოქმედებს და კამპანიის ჩატარების საშუალებას არ აძლევენ. მსგავსი პრობლემები თქვენც გაქვთ?**

- ეს პრობლემები ჩვენ ახლა კი არა გვაქვს, შევარდნაძის დროიდან გვქონდა. ჩვენი უშიშროების სამსახურები, სამწუხაროდ, ვერ არკვევენ საკუთარ ფუნქციებს და მათ ჰგონიათ, რომ ოპოზიციაა მათი სარბიელი და სამუშაო სივრცე და არა კრიმინალიტეტი, არა ნარკოტიკის გადაზიდვა, არა უცხოეთის სადაზვერვო სამსახურები, არა ქვეყნის უსაფრთხოება და პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ სუს-ია მმართველი პარტია. ის პარტია, რომელსაც ჩვენ პარლამენტში ვხედავთ, არის სუს-ის ფილიალი.

**- ივანიშვილი ახსენეთ და ის ამბობს, რომ ქვეყანაში არნახული წინსვლაა და ვინც ამას ვერ ხედავს, მას „ნაციონალებთან" გარიგებაში ადანაშაულებს. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს?**

- ეს უკვე სააკაშვილის სტადიაშია შესული. მიშა აცხადებდა ხოლმე, რომ ევროპაში ასეთი აეროპორტი არ არისო, თბილისში რომ ააშენა. ივანიშვილიც მაგას ამბობს, - ევროკავშირის ქვეყნებს ვუსწრებთო და ახლა ისიც თქვა, ამერიკასაც გავუსწარითო.

რა უნდა ელაპარაკო ახლა მაგათ და როგორ შეიძლება, ივანიშვილის ნათქვამზე სერიოზული კომენტარი გავაკეთო? ევროკავშირსა და ამერიკას ვუსწრებთო, რომ იტყვის ამ გაუბედურებული ქვეყნის არაფორმალური მმართველი, ეს იმას ნიშნავს, რომ ადეკვატური არ არის. ამიტომ ვამბობ, არ შეიძლება მაგათთვის ქვეყნის ნდობა-მეთქი.

**- თუმცა, რამდენიმე წლის წინათ თქვენ იყავით პირველი, ვინც მას პრემიერობა შესთავაზა...**

- 2007 წელს სააკაშვილი გადადგა და პრეზიდენტის პოსტზე მეორედ იყარა კენჭი. მაშინ მთელი ოპოზიცია იდგა გარეთ და მათ შორის ბადრი პატარკაციშვილი. მიშასთან მხოლოდ ივანიშვილი იყო და ვიცოდით, რომ, თუკი ის ისევ გაპრეზიდენტდებოდა, საქართველოს წალეკავდა. ეს ვიცოდით და შესაბამისად, მოვილაპარაკეთ, რომ ეს კაცი გადმოგვებირებინა და მაშინ სააკაშვილი პრეზიდენტი ვეღარ გახდებოდა, მაგრამ ივანიშვილმა მის გაპრეზიდენტებას 40 მილიონი დაახარჯა და ეს რითაც დასრულდა, კარგად ვიცით.

მე ეს შეთავაზება არსებული რეალობიდან გამომდინარე გავაკეთე, თორემ მას ჩვენ ჯერ კიდევ იმ დღიდან დავუპირისპირდით, როდესაც ნიჩაბი დაჰკრა ნარიყალას მიწას და ამ უნიკალურ მიწაზე შუშის სასახლის წამოჭიმვა დაიწყო. ეს იყო 1999 წელი, მაგრამ ეს დაპირისპირება გამწვავდა მაშინ, როდესაც 2003 წელს გავიგე, რომ „ვარდების რევოლუციის" დამფინანსებელი იყო არა სოროსი, არამედ ივანიშვილი და 40 მილიონი ქეისით გაუგზავნა და მერე თავად სიამაყით განაცხადა, - ეს რევოლუცია სოროსმა კი არა, მე დავაფინანსეო.

ჩემი შეთავაზების მიზანი იყო ის, რომ სააკაშვილის ხელმეორედ გაპრეზიდენტება არ მომხდარიყო და ივანიშვილს იმ ფულს, რომელიც მან რუსეთში მოიპარა, საქართველოსთვის დავახარჯვინებდი.

**- ამბობთ, რომ ხელისუფლება ადეკვატური არ არის და, თუკი ადეკვატური არ არის, მაშინ არჩევნებზეც არაადეკვატურად იმოქმედებს. ასეთ მოცემულობაში ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების რა შანსი აქვს? თქვენ რას ელოდებით?**

- ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლას ველოდებით. ჩვენი 20-წლიანი ბრძოლის შემდეგ დადგა დრო, რომ ეს თარიღი ხელისუფლებაში აღვნიშნოთ და თუ ვინმეს იმედი აქვს, რომ არჩევნების გაყალბებით ხალხს ამ მიზანს არ შეასრულებინებს, მერე ხალხთან ექნება საქმე და თან გაბრაზებულ ხალხთან.

**- არჩევნებს გააყალბებენ?**

- არჩევნების გაყალბების დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ მათ ამ სიამოვნებას არ მივანიჭებთ არც ჩვენ და არც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, ფაქტობრივად, მთელი ცივილიზებული და დემოკრატიული სამყარო.

**- ოპოზიციაში თქვენთან ერთად ვის მოიაზრებთ?**

- მთავარია, ხელისუფლებაში მე ვიყო და ნებისმიერ ოპოზიციასთან ვითანამშრომლებ ისე ცივილიზებულად, რომ არ დავიჭირო, არ ვუთვალთვალო, არ ვცემო, არ დავარბიო, პროვოკაციები არ მოვუწყო, არ მივახრჩო, არ მოვუსმინო და არ გავანადგურო, რადგან ქვეყანას ოპოზიცია ისევე სჭირდება, როგორც ადამიანს მარცხენა ხელი. ამიტომ ხელისუფლებაში რომ ვიქნები, ოპოზიციასთან ცივილიზებულ ურთიერთობას ჩამოვაყალიბებ.

**- თანამშრომლობა ნებისმიერ პარტიასთან? თქვენთვის წითელი ხაზები არ არსებობს?**

- თანამშრომლობა რა ასპექტში? სამთავრობო დონეზე მე არც „ოცნებასთან" ვითანამშრომლებ და არც „ნაცებთან". ოპოზიციაში თუ იქნებიან, გეუბნებით, რომ არ დავახრჩობ და ცივილიზებული ურთიერთობა მექნება და თქვენი მეშვეობით ვაძლევ პირობას, რომ ისე არ მოვექცევი, როგორც ჩვენ გვექცეოდნენ ერთი თუ მეორე და არა მარტო ჩვენ, არამედ მთელ ოპოზიციას. მეტი რა ვქნა?

**- კოალიციის შექმნის აუცილებლობა რომ დადგეს და თქვენ გქონდეთ გადამწყვეტი ხმა, რომელს აირჩევდით?**

- არც ერთს.

**- თქვენ რომ ქმნიდეთ კოალიციას და ვინმეს ხმები გჭირდებოდეთ, მაშინ რას იზამთ? ანუ, ვინმეს გარეშე რომ არ შეგეძლოთ მთავრობის დაკომპლექტება, ვინ იქნება თქვენთვის მისაღები და ვინ - კატეგორიულად გამორიცხული?**

- თუკი მარტო ვერ შევქმნით მთავრობას, მაშინ პარლამენტი დაიშლება და ხელახალი არჩევნები ჩატარდება. ჩავატარებთ ახალ არჩევნებს კანონისა და კონსტიტუციის თანახმად და ამაში საგანგაშო არაფერია, რომ იმის შიშით - ვაიმე, ახალი არჩევნები არ დაინიშნოს და მერე რა იქნება - ასეთ ხალხთან სამთავრობო კოალიცია შევქმნათ.

დასასრული მე-10 გვ.

GRASS FACTCHECK
factcheck.ge

## შეიძლებოდა თუ არა რუხის სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე 2 მილიონის დაზოგვა

**გიორგი ბაჯელიძე:**

**რუხის სავაჭრო ცენტრი ტენდერის გარეშე ააშენეს, რის გამოც 2 მლნ ლარი დაიკარგა, იქ კი ამჟამად არაფერი ფუნქციონირებს**



ნახევრად სიმართლე

გადაცემა „ბიზნეს კურიერში" შესყიდვების მონიტორინგისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელმა, გიორგი ბაჯელიძემ განაცხადა: „რუხის სავაჭრო ცენტრი საჩქაროდ, ტენდერის გარეშე ჩაატარეს, ისევ „დაგის" მისცეს 14 მილიონი ლარი, ამით მთავრობამ 2 მილიონ ლარზე მეტი დაკარგა. მაშინ, როცა დაკეტილია საერთოდ, არაფერი არ მუშაობს".

მიმდინარე წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რუხის სავაჭრო ცენტრი გახსნა. სოფელი რუხი უშუალოდ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს. სავაჭრო ცენტრის გახსნას ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილიც ესწრებოდა.

სავაჭრო ცენტრის მშენებლობა 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და 2016 წლის იანვარში დასრულდა. მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა სს „საპარტნიორო ფონდმა" შვილობილი კომპანია „რუხის სავაჭრო ცენტრის" საშუალებით განახორციელა.

გიორგი ბაჯელიძის თქმით, სამშენებლო ტენდერებზე საშუალო პროცენტული დაკლება 15%-ია, ანუ, როგორც წესი, ტენდერის ჩატარების შემთხვევაში შესყიდვის ღირებულება 15%-ით ნაკლებია, ვიდრე მომსახურების პირდაპირი შეძენის გზით შესყიდვის შემთხვევაში. 14 მილიონის 15% კი დაახლოებით 2 მილიონი ლარია. შესაბამისად, ბაჯელიძის აზრით, მთავრობამ, ტენდერზე უარის თქმის შედეგად, დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაკარგა.

მთავრობის განკარგულებით, შესყიდვის დასაფინანსებლად სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" სახსრები 150 ათასი ლარის ოდენობით გამოიყო, ხოლო დანარჩენი ხარჯების გაწევა შპს „რუხის სავაჭრო ცენტრს" დაევალა. 2015 წლის 17 სექტემბერს, შპს „რუხის სავაჭრო ცენტრსა" და შპს „დაგის" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 13 მილიონ 728 ათას 251 ლარი შეადგინა.

„საპარტნიორო ფონდის" წარმომადგენლის, რუხის სავაჭრო ცენტრის დირექტორის მოადგილის, დავით მაჭავარიანის განმარტებით, საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. შესაბამისად, შპს „რუხის სავაჭრო ცენტრს" არ ჰქონდა ტენდერის ჩატარების ვალდებულება. თუმცა, მაჭავარიანის თქმით, კონკურენციისა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და ფასის ოპტიმიზაციის მიზნით, შესაბამისი გამოცდილების მქონე სამშენებლო კომპანიებს ფასთა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოწვევა დაეგზავნათ. მისი განმარტებით, შპს „დაგი" უმცირესი ფასისა და შესრულების მოთხოვნილი ვადების დაკმაყოფილების კრიტერიუმებით შეირჩა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1572 განკარგულების თანახმად, შპს „რუხის სავაჭრო ცენტრსა" და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მართლაც მიენიჭათ უფლება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრისა და საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ტენდერის გარეშე, გამარტივებული ელექტრონული შესყიდვების საშუალებით განეხორციელებინათ. მთავრობის გადაწყვეტილება კი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობით დასაბუთდა.

„ფაქტ-მეტრმა" მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურს კითხვით მიმართა, რით ასაბუთებდა მთავრობა რუხში „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის" სავაჭრო ცენტრის შეზღუდულ ვადებში, ტენდერის გარეშე მშენებლობის აუცილებლობას. თუმცა, როგორც „ფაქტ-მეტრს" პრესსამსახურში განუცხადეს, ამ საკითხზე იმაზე მეტ ინფორმაციას, სავარაუდოდ, ვერ მოგვაწვდიდნენ, ვიდრე მთავრობის განკარგულების ტექსტშია მოცემული. თავად განკარგულებაში კი, მთავრობის გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების განხორციელების შესახებ დასაბუთებული არ არის.

**დასკვნა**

შპს „რუხის სავაჭრო ცენტრმა", მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მულტიფუნქციური სავაჭრო ცენტრის და საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისთვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული შესყიდვის საშუალებით განახორციელა. მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის განკარგულებიდან გამომდინარე ტენდერი არ ჩატარდა.

მთავრობის განკარგულებაში პროექტის შეზღუდულ ვადებში დასრულება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებით დასაბუთდა. იმის გასარკვევად, რა იყო ტენდერის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზეზი, „ფაქტ-მეტრი" მთავრობის ადმინისტრაციის პრესცენტრს დაუკავშირდა, თუმცა პრესცენტრმა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ვერ მოგვაწოდა.

ზოგადად, ტენდერების ჩატარების შემთხვევაში, ფასდათმობის დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ გამარტივებული და პირდაპირი შესყიდვის გზით შეძენილი მომსახურების ფასი ტენდერის პირობებში დაფიქსირებულ ღირებულებას აღემატებოდეს.

**ქრისტინა შონია**

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები

# ქარელის №40 ოლქი

„ფაქტ-მეტრის“ კითხვებს პასუხობენ ქარელში წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატები: **გიორგი თოთლაძე („ქართული ოცნება“), ილია ბურჯანაძე („ნაციონალური მოძრაობა“), ანი ბალიაშვილი („სახელმწიფო ხალხისთვის“) და ალექსანდრე მსხალაძე („თავისუფალი დემოკრატები“).**

ინტერვიუები მომზადდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ყველა კანდიდატისთვის ძირითადად ერთნაირი იყო. მიღებული პასუხები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს კანდიდატთა პოზიციების ერთმანეთთან შედარება გაუადვილდეს.

გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუების შემოკლებული ვერსიები, ხოლო სრული ინტერვიუები განთავსდება ინტერნეტში ჩვენს საიტზე — **factchek.ge.**



**გიორგი თოთლაძე,**
**„ქართული ოცნება“**



**ილია ბურჯანაძე,**
**„ნაციონალური მოძრაობა“**



**ანი ბალიაშვილი,**
**„სახელმწიფო ხალხისთვის“**



**ალექსანდრე მსხალაძე,**
**„თავისუფალი დემოკრატები“**

**კითხვა: რატომ იყრით კენჭს ამ კონკრეტულ ოლქში?**

**გიორგი თოთლაძე**: დავიბადე და გავიზარდე ქარელში, მთელი შეგნებული ცხოვრება ქარელის მუნიციპალიტეტთან მაკავშირებს და კარგად ვიცნობ თითოეული მოსახლის გასაჭირს. დიდი სურვილი მაქვს, მონაწილეობა მივიღო იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რაც თითოეულ მოქალაქეს აწუხებს. სამსახურებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, არც გორია ჩემთვის უცხო.

**ილია ბურჯანაძე**: აქ დავიბადე, გავიზარდე, მრავალი წელი ვიყავი ამ რაიონის გამგებელი და ვიცი, ქარელს რა სჭირდება.

**ანი ბალიაშვილი**: ქარელი ჩემი მშობლიური რაიონია - აქ დავიბადე, გავიზარდე და ვმუშაობ 10 წლის განმავლობაში. თითოეული სოფლის პრობლემები ძალიან კარგად ვიცი, იმიტომ, რომ მაქვს ადგილობრივ თვითმმართველობაში მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება და ჩემი საქმიანობა პირდაპირ იყო დაკავშირებული ადგილობრივ პრობლემებთან.

**ალექსანდრე მსხალაძე**: დავიბადე ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთში. ჩემი პირველი ნაბიჯები სწავლა-განათლებასა თუ სპორტულ კარიერაში ქარელს უკავშირდება. მე კარგად ვიცი ჩემი რაიონის ყველა პრობლემა და დარწმუნებული ვარ, ზუსტად ამ ოლქში, ჩემს ხალხთან ერთად, დავიწყებ რაიონის აღმშენებლობას.

**ჩამოთვალეთ მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ოლქის ამომრჩევლებს განსაკუთრებით აწუხებთ. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

**გიორგი თოთლაძე**: მოსახლეობისთვის წყლის, გზების ასფალტირების, გაზიფიცირების, სოციალური დახმარების, უმუშევრობის პრობლემა ძირითადია, რისი მოგვარებაც შესაძლებელია ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისას - შესაბამისი პროექტების დაფინანსების გათვალისწინებით, ცენტრალურ ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირითა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივად გადანაწილებით, ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდით, ინვესტორების მოძიებითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების მხარდაჭერით, მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტითა და მათი საჭიროების შესწავლით.

**ილია ბურჯანაძე**: პირველ ყოვლისა, დასაქმება - ქარელი აგრარული რაიონია და გადამამუშავებელი ქარხნები უნდა შეიქმნას. არის ასეთი ქარხანა აგარაში და რამდენიმე წელია გაჩერებულია. ადრე რამდენიმე ათეული კაცი იყო დასაქმებული და ეგეც მოგვცემს საშუალებას, დასაქმების პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოვხსნათ.

პრობლემაა ისიც, რომ უამრავ ადამიანს მოუხსნეს დახმარება; ასევე, არ ხდება მოწეული მოსავლის რეალიზაცია - მოსავალი უნდა დახარისხდეს და გადარჩეული გაიყიდეს როგორც ჩვენს ბაზრებზე, ისე სხვა ქვეყნის ბაზრებზე. რაც ცოტა უვარგისი იქნება, ადგილზე უნდა გადამუშავდეს.

შემდეგი პრობლემაა ინფრასტრუქტურული პროექტები - მრავალ სოფელს არ აქვს წყალი, გაზი მიყვანილია, მაგრამ ჩართული არ არის.

**ანი ბალიაშვილი**: მთავარი პრობლემა სიღარიბეა, რაც გამოწვეულია იმით, რომ, ერთი მხრივ, სამუშაო ადგილები არ არსებობს - ქარელში არ ფუნქციონირებს საწარმოები (მხოლოდ აგარის შაქრის ქარხანა და ერთი ხილის გადამამუშავებელი ქარხანა ბევრ ადამიანს ვერ ასაქმებს) და მეორე მხრივ, სოციალური დახმარებების არასწორი განაწილება. ეს იწვევს მიგრაციის დიდი ტალღას. ადგილზე რჩებიან მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროში თვითდასაქმებული გლეხები და ფერმერები. მათაც მოწეული პროდუქციის რეალიზების პრობლემა აქვთ.

უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ახალგაზრდების თვითრეალიზება, რაც საბოლოოდ მიგრაციას იწვევს. მათ სჭირდებათ ადგილზე დასაქმების, სწავლისა და მუშაობის შესაძლებლობა.

ბევრი სოფლისთვის კვლავ პრობლემად რჩება მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, სასმელი წყლის სისტემების არარსებობა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა.

სიღარიბის დასაძლევად, პირველ ყოვლისა, საჭიროა სოციალური დახმარების დანიშვნის წესის შეცვლა და დახვეწა, რაც უმნიშვნელოვანესია უკიდურესად ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად. ქარელში უამრავი გაჭირვებული ოჯახია, რომლებსაც უსამართლოდ მოეხსნათ დახმარება. ეს საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს.

ქარხნებისა და საწარმოების ასამუშავებლად ცენტრალიზებული რეფორმებია საჭირო - გადასახადების შემცირება ავტომატურად წაახალისებს მეწარმეებს, რაც ადგილობრივების დასაქმებას გამოიწვევს. ეს კი, თავის მხრივ, მიგრაციას შეაფერხებს.

**ალექსანდრე მსხალაძე**: უპირველეს ყოვლისა, ხალხის სიყვარული ერთმანეთის მიმართ, პარტიების პატივისცემა ერთმანეთის მიმართ, განათლება, უმუშევრობა,ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა, ადამიანის უფლებების დაცვა, სოფლის მეურნეობის განვითარება, გრძელვადიანი სესხები სოფლის მეურნეობის ტექნიკის შესაძენად, ინვესტორის მოძიება რაიონისთვის და შეღავათები ბიზნესის გადასახადზე, რითაც ჩემს რაიონში ბიზნესმენს დავაინტერესებ და შევქმნი უამრავ სამუშაო ადგილს, რაც ყველაზე დიდი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში.

**რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირებები ამომრჩევლისთვის? რა დროში აპირებთ თქვენი დაპირებების შესრულებას? გაგვაცანით მიახლოებითი გრაფიკი.**

**გიორგი თოთლაძე**: ამ ყველაფრის მისაღწევად „ქართული ოცნების“ გუნდს კონკრეტული ხედვა აქვს, რაც ჩვენს პროგრამაში აისახა და გვაქვს 4-პუნქტიანი გეგმა, რომლის ფარგლებშიც გატარდება მნიშვნელოვანი რეფორმები. სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდება მსხვილი პროექტები, რის საფუძველზეც შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მოხდება ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია, 2017 წლიდან სკოლის მასწავლებლის ხელფასი საშუალოდ 800 ლარი გახდება, 2017 წლიდან ამოქმედდება ახალი სასკოლო პროგრამები, ჩაეშვება პენსიონერების დასაქმების პროგრამა „ცხოვრება გრძელდება“, აგროდაზღვევის 2-ჯერ მეტი ბენეფიციარი 500 მილიონი ლარით იქნება უზრუნველყოფილი, გაიზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, გაგრძელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და ა.შ.

რაც შეეხება დაპირებების შესრულების გრაფიკს, ისინი მთავრობის მიერ შემუშავებული ქვეყნის განვითარების მკაფიო 4-პუნქტიან გეგმას შეესაბამება. ეს გეგმა მომავალ 4 წელზეა გაწერილი და კონკრეტულ სახელმწიფო სტრუქტურებს მათი შესრულების გრაფიკი კონკრეტული მიმართულებისა და პროექტების შესაბამისად აქვთ.

**ილია ბურჯანაძე**: ჩვენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოსახლეობას ვპირდებით, რომ პენსია გაიზრდება 50 ლარით; ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვისაც სოციალური დახმარება მოეხსნა, აღუდგება; ასევე, ჩვენ მოსახლეობას ვპირდებით, რომ მივეხმარებით მოწეული მოსავლის რეალიზაციაში. ჩემს ოლქშიც სწორედ ამას ვპირდები, რომ შევქმნით პატარა და საშუალო გადამამუშავებელ საწარმოებს, სადაც მოწეული ხილი გადამუშავდება და აქაც, რა თქმა უნდა, მრავალი ადამიანი დასაქმდება.

ასევე, სადაც გაზიფიცირება არ არის, ჩვენ ვპირდებით ამომრჩეველს, რომ დაახლოებით პირველ 2 წელიწადში ყველა სოფელს ექნება გაზიფიცირება. ბევრ სოფელში გამრიცხველიანება არ არის დასრულებული - ამასაც ვპირდებით, რომ უახლოეს პერიოდში დავასრულებთ. აგარაში არის კერძო გადამამუშავებელი ქარხანა, მაგრამ ჩვენ შევიმუშავებთ გეგმას, რომ ეს ქარხანაც ამუშავდეს და იქაც რამდენიმე ათეული ადამიანი დასაქმდება.

**ანი ბალიაშვილი**: პირველივე პერიოდიდან დავიწყებ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების ადვოკატირებას. თავდაპირველად აუცილებელია პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარების გზების ძიება, აუცილებელია შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა, პროექტების მომზადება და მათი შესრულების ადვოკატირება. საჭიროა უშუალო კონტაქტი მოსახლეობასთან. ოლქის პრობლემებს დავაყენებ თვეში მინიმუმ 5-ჯერ, მოსახლეობას შევხვდები თვეში მინიმუმ 10-ჯერ. მექნება პირდაპირი ტრანსლაცია კაბინეტიდან.

**ალექსანდრე მსხალაძე**: დანაწევრებულ ქარელს ერთ გუნდად გავაერთიანებ. არც ამ და არც წინა მთავრობასავით არ ვაპირებ, ოთხი წელი გავატარო იმაზე საუბარში, როგორ იქცეოდნენ წინა ხელისუფლებები. ვაპირებ, ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე დავიწყო რაიონისთვის საქმის კეთება, რა თქმა უნდა, ხალხთან ერთად.

**რომელი კანონების ინიცირებას გეგმავთ პარლამენტში თქვენს საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით?**

**გიორგი თოთლაძე**: კონკრეტული კანონის ინიცირებაზე საუბარი წინასწარ ძნელია, თუმცა, მიღებულ კანონებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით რამდენიმე მონახაზი უკვე მაქვს.

**ილია ბურჯანაძე**: მთის კანონის ინიცირებას ვგეგმავ, რათა ჩვენი რაიონის მაღალმთიან სოფლებს ეს სტატუსი მიენიჭოთ. მთლიანად თუ არა, იმ ტერიტორიებს მაინც, რომლებიც ოკუპირებულ ზონასთან ახლოს მდებარეობს.

**ანი ბალიაშვილი**: ჩემთვის პრიორიტეტია სოციალური დახმარების მინიჭების წესის ცვლილება, საზღვრისპირა რეგიონის სოფლების მოსახლეობისთვის სპეციალური პრივილეგიების მინიჭება და სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხები.

**ალექსანდრე მსხალაძე**: ამ საკითხზე ჯერ არ ვარ ბოლომდე ჩამოყალიბებული, მაგრამ მაქვს კონკრეტული გეგმა.

**იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გახდებით პარლამენტის წევრი, რა ინტენსივობით და როგორ გააგრძელებთ ამომრჩეველთან კომუნიკაციას?**

**გიორგი თოთლაძე**: ამომრჩეველთან მექნება უწყვეტი კომუნიკაცია. ამის გარდა, დაგეგმილი მაქვს, რეგულარულად, წინასწარ შედგენილი გრაფიკით დავგეგმო შეხვედრები ამომრჩეველთან და გავეცნო მათ საჭიროებებს.

**ილია ბურჯანაძე**: რამდენიმე წლის განმავლობაში ამ რაიონის გამგებელი ვიყავი და ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო ადამიანებთან. რა თქმა უნდა, მათ მუდმივად სჭირდებათ ყურადღება და ყოველდღიური თუ არა, ყოველკვირეული ან ყოველთვიური შეხვედრები სურთ. ისე არა, რომ დეპუტატი კაბინეტში იჯდეს და აქ იღებდეს მნახველებს, იგი თვითონ უნდა გადიოდეს ადგილზე და იქ უნდა ისმენდეს ადგილობრივების პრობლემებს. შესაბამისი გრაფიკები გვექნება გაწერილი და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

**ანი ბალიაშვილი**: ამომრჩეველთან შეხვედრა მექნება თვეში მინიმუმ 10-ჯერ. ჩამოვაყალიბებ საკონსულტაციო საბჭოს, რომლის შეკრების დღეც დაწესდება და რომლის მიზანიც იქნება ოლქში არსებული პრობლემების განხილვა. გარდა ამისა, მაჟორიტარის აპარატის მეშვეობით ყოველდღიურად მექნება მოსახლეობასთან ურთიერთობა.

**ალექსანდრე მსხალაძე**: რა თქმა უნდა, კომუნიკაცია ინტენსიურად უნდა იყოს და დარწმუნებული ვარ, როგორც პირადი, ასევე ქვეყნის წინსვლისთვის ეს იქნება საუკეთესო.

**ელზა ელბაქიძე**

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები
# ქუთაისის №48 ოლქი

ქუთაისის №48 მაჟორიტარული ოლქი გუმათის, უქიმერიონის, გამარჯვების, ძელქვიანის ტერიტორიებს მოიცავს. ოლქში საარჩევნოდ მაჟორიტარობის 14 კანდიდატი დარეგისტრირდა. „ფაქტ-მეტრი“ 4 მათგანის ინტერვიუს გთავაზობთ. ესენი არიან: **დიმიტრი მხეიძე („ქართული ოცნება“), აკაკი ბობოხიძე („ნაციონალური მოძრაობა“), თემურ ცამციშვილი („სახელმწიფო ხალხისთვის“)** და **სამსონ გუგავა („ლეიბორისტული პარტია“).**

ინტერვიუები მომზადდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ყველა კანდიდატისთვის ძირითადად ერთნაირი იყო. მიღებული პასუხები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს კანდიდატთა პოზიციების შედარება გაუადვილდეს.

გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუების შემოკლებული ვერსიები, ხოლო სრული ინტერვიუები განთავსდება ინტერნეტში ჩვენს საიტზე — **factchek.ge.**



**დიმიტრი მხეიძე, „ქართული ოცნება“**



**აკაკი ბობოხიძე, „ნაციონალური მოძრაობა“**



**თემურ ცამციშვილი, „სახელმწიფო ხალხისთვის“**



**სამსონ გუგავა, „ლეიბორისტული პარტია“**

**კითხვა: რატომ იყრით კენჭს ამ კონკრეტულ ოლქში?**

**დიმიტრი მხეიძე** („ქართული ოცნება“): ქუთაისელი ვარ. ვცხოვრობ სწორედ იმ ოლქში, სადაც კენჭს ვიყრი. თუმცა, საქართველოს პარლამენტის წევრის მისია უფრო მეტია, ვიდრე საცხოვრებელი ადგილისა და საარჩევნო ოლქის ინტერესების დაცვა და ლობირება.

**აკაკი ბობოხიძე** („ნაციონალური მოძრაობა“): კონკრეტულად 48-ე ოლქში არ გადამიწყვეტია კენჭისყრა, მაგრამ კონკრეტულად ქუთაისში - კი. გადავწყვიტე იმიტომ, რომ ვფიქრობ, ისევ უნდა დავუბრუნდეთ იმ იდეას, რომელსაც ჰქვია „ქუთაისი - საქართველოს საპარლამენტო დედაქალაქი“. ეს არის ერთადერთი შანსი, გადავარჩინოთ ქუთაისი, გადავარჩინოთ რეგიონი და ამით გადავარჩინოთ მთლიანად ქვეყანა, იმიტომ, რომ ძალიან მალე საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს ერთი ქალაქის სახელმწიფო, ქალაქ-სახელმწიფო.

**თემურ ცამციშვილი** („სახელმწიფო ხალხისთვის“): ჩემთვის ნაცნობია უქმერიონში, მთელ ქუთაისში არსებული პრობლემები. თავად ვცხოვრობ №48 საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მხოლოდ ამ კონკრეტული ოლქის მაჟორიტარი ვიქნები. მე ვიქნები ქუთაისელების წარმომადგენელი საკანონმდებლო ორგანოში.

**სამსონ გუგავა** („ლეიბორისტული პარტია“): ზოგადად, ლეიბორისტული პარტია მაჟორიტარული სისტემის არსებობისა და მით უმეტეს, ქუთაისის სამ ნაწილად დახლეჩის წინააღმდეგია, მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ამ ტიპის არადემოკრატიულ არჩევნებში და ქუთაისის რომელ ოლქში წარვადგენდით კანდიდატურას, სულერთია, რადგანაც ქუთაისს ერთნაირი პრობლემები აქვს, ავტოქარხნიდან დაწყებული, საფიჩხიით დამთავრებული, ხოლო ის საკითხები, რომელიც განსხვავებულად აწუხებს ამა თუ იმ უბანს, თვითმმართველობის კომპეტენციის საკითხებია და არა პარლამენტის.

**ჩამოთვალეთ მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ოლქის ამომრჩევლებს განსაკუთრებით აწუხებთ. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

**დიმიტრი მხეიძე**: ჩემი საარჩევნო ოლქის მოსახლეობას, ისევე, როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობას, აწუხებს მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, უმუშევრობა, ფინანსური რესურსების ნაკლებობა. მათ სურთ, ჰქონდეთ უკეთესი განათლებისა და სამედიცინო სერვისების მიღების შესაძლებლობა. გვაქვს ვიწრო საუბნო და საოლქო პრობლემებიც - გზები, სკვერები, სათამაშო მოედნები, გვესაჭიროება დამატებითი ურბანული სერვისები.

თუ საქალაქო, ვიწრო საოლქო მასშტაბის პრობლემებზე ვსაუბრობთ, ეს ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით უნდა მოგვარდეს. თუმცა კანონშემოქმედებითი საქმიანობისას მხოლოდ საკუთარი ოლქის ინტერესებით ვერ ვიხელმძღვანელებ. კანონი საერთოა ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად საცხოვრებელი ოლქისა.

**აკაკი ბობოხიძე**: ეს არის უპერსპექტივობის განცდა, ეს არის უმუშევრობა და ინფრასტრუქტურული პრობლემები.

**თემურ ცამციშვილი**: ჩემს ოლქში მცხოვრები ადამიანების პრობლემები იდენტურია ქუთაისსა და ქვეყანაში არსებული პრობლემებისა. ქუთაისის პრობლემა არის უფუნქციობა, უმუშევრობა, სიღარიბე. მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკონომიკურ მიგრაციაშია. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა უკვე წლებია მოსახლეობისთვის გადაუჭრელი პრობლემაა. ყველა ამ საკითხის გადაჭრის გზა არის სწრაფ ეკონომიკურ ზრდაში.

**სამსონ გუგავა**: მოსახლეობას ერთნაირად აწუხებს როგორც სოციალური სიდუხჭირე, ისე უპერსპექტივობა, რაც საზოგადოების უდიდეს ნაწილს აპათიაში აგდებს და მისი, როგორც სოციალური მოვლენის, დეზორიენტაციას იწვევს — ესაა უპირველესი პრობლემა. ასევე, პრობლემაა ჯანდაცვისა და განათლების სრულფასოვნად მიღების შეუძლებლობა, დასაქმების ბაზრის არარსებობა, სამევახშეო დაწესებულებებისგან დაკაბალებული საზოგადოების მაღალი ხვედრითი წილი. ხოლო რაც შეეხება გზების, წყლისა თუ კანალიზაციის არარსებობას, ან უკეთეს შემთხვევაში, ნაწილობრივ არსებობას, აღნიშნული მომსახურების მიღება წმინდად ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაა.

**რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ამომრჩევლისთვის? რა დროში აპირებთ თქვენი დაპირებების შესრულებას? გაგვაცანით მიახლოებითი გრაფიკი.**

**დიმიტრი მხეიძე**: მოდით, ვისაუბროთ პირადად ჩემს — დიმიტრი მხეიძის დაპირებებსა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებზე. დიმიტრი მხეიძის დაპირებაა, იყოს ხალხის სამსახურში. „ქართული ოცნების“ გუნდს საკმაოდ ბევრი დაგეგმილი პროექტი აქვს - სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს საკუთარი მცირე თუ საშუალო ბიზნესის განვითარების მეტი შესაძლებლობა მიეცემათ.

უკვე წარმატებით მუშაობს პროგრამები: „აწარმოე საქართველოში“, სახელმწიფო საგრანტო პროექტი, საიდანაც მიღებული გრანტებით (5-დან 15 ათას ლარამდე) მოქალაქეებს საკუთარი საქმიანობის გაფართოება შეუძლიათ, „სტარტაპ საქართველო“, „დანერგე მომავალი“, სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროექტები, შეღავათიანი აგროკრედიტები და სხვა. ყველა ამ პროგრამის დახმარებით უამრავი ჩვენი მოქალაქე დასაქმდა. ჩვენ ამ სახელმწიფო პროგრამების გაფართოებასა და ახალი მიმართულებების გახსნას ვგეგმავთ, რაც კიდევ უფრო მეტ სამუშაო ადგილს შექმნის.

ჩაეშვება პენსიონერების დასაქმების პროგრამა „ცხოვრება გრძელდება“, რაც შრომისუნარიან და საკუთარი საქმის პროფესიონალ პენსიონერებს დასაქმებისა და ცხოვრების ღირსეულად გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს.

ქუთაისში აშენდება თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების საუნივერსიტეტო ქალაქი და ეს საქართველოს მომავალში ჩადებული ყველაზე დიდი ინვესტიციაა.

რაც შეეხება დაპირებების შესრულების გრაფიკს, ისინი მთავრობის მიერ შემუშავებული ქვეყნის განვითარების მკაფიო 4-პუნქტიან გეგმას შეესაბამება, რომელიც რეფორმებისა და მსხვილი პროექტების განხორციელებას 4 ძირითადი მიმართულებით მოიცავს: ეკონომიკური რეფორმები, განათლების რეფორმა, სივრცითი მოწყობა (ქვეყნის სწორი ინფრასტრუქტურული განვითარება) და მმართველობის რეფორმა; შესაბამისად, ეს გეგმა მომავალ 4 წელზეა გაწერილი და კონკრეტულ სახელმწიფო სტრუქტურებს მათი შესრულების გრაფიკი კონკრეტული მიმართულებებისა და პროექტების შესაბამისად აქვთ.

**აკაკი ბობოხიძე**: გაიმარჯვებს „ნაციონალური მოძრაობა“ და ქუთაისი გახდება ჩვენი ქვეყნის ნამდვილი დედაქალაქი. დედაქალაქს ექნება დედაქალაქის ბიუჯეტი. დედაქალაქის ბიუჯეტი კი ნიშნავს ყველა იმ ყოფითი პრობლემის მოგვარებას, რომელიც ქუთაისელების წინაშე დგას.

**თემურ ცამციშვილი**: სწრაფი ეკონომიკური ზრდა და გადასახადების შემცირება. ქუთაისი თავად უნდა განკარგავდეს ქონებას, ბიუჯეტს. საჭიროა თვითმმართველობების დეცენტრალიზაცია.

ქუთაისი საპარლამენტო ქალაქი, სავაჭრო და ტურისტული ცენტრი უნდა იყოს. ყველაფერი მიღწევადია, თუ საკანონმდებლო ორგანო ამ მიმართულებით კანონპროექტებს შეიმუშავებს. მე ვიქნები საკანონმდებლო ორგანოში ქალაქის, ჩემი ოლქის ინტერესების დამცველი ამ მიმართულებით. ვითანამშრომლებ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რათა ხალხმა მართოს ხელისუფლება და არა პირიქით.

**სამსონ გუგავა**: „ლეიბორისტული პარტია“ და მისი კანდიდატები იღებენ ვალდებულებას, რომ ოლიგარქიული ხელისუფლების დამარცხებისთანავე გაატარონ მთელი რიგი მიმართულებით შემდეგი სახის რეფორმები: საბანკო რეფორმა, საგანმანათლებლო რეფორმა, ჯანდაცვის რეფორმა, საპენსიო რეფორმა, ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების განსაზღვრის რეფორმა, დასაქმების ბაზრის შექმნის რეფორმა, საინვესტიციო ბაზრის რეფორმა. ესაა იმ უპირველეს საკითხთა ჩამონათვალი, რომელიც უსწრაფესად უნდა განხორციელდეს.

**რომელი კანონების ინიცირებას გეგმავთ პარლამენტში თქვენს საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით?**

**დიმიტრი მხეიძე**: საოლქო არეალის მქონე კანონებს, ცხადია, ვერ მივიღებთ. კანონი ვერ იქნება მხოლოდ 48-ე საარჩევნო ოლქისთვის. ვაპირებ ისეთი კანონების ინიცირებას, რომელიც საერთო სატკივარია ყველა მოქალაქისა და მათ შორის — ჩვენს ოლქში მცხოვრებთათვის. მაგალითად, საკვები პროდუქტების სტანდარტებისა და ვარგისიანობის ხარისხის შესახებ, ფარმაცევტული პრეპარატების ხარისხის კონტროლის შესახებ და სხვა.

პრობლემური საკითხია ონლაინ სესხების გაცემის პროცედურები და უჩვეულოდ მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რომელსაც ამჟამად არაფერი არეგულირებს.

**აკაკი ბობოხიძე**: საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ვერანაირი კანონი ვერ იქნება მიღებული, მაგრამ ჩვენ, და არა მარტო მე, არამედ მთლიანად ჩვენი გუნდი, ის სამი კანდიდატი, რომელიც დასახელებული ვართ ქუთაისში - მე, გია თევდორაძე და გიგი წერეთელი - ვგეგმავთ ქუთაისთან დაკავშირებული კანონის ინიცირებას ქუთაისის, როგორც საპარლამენტო დედაქალაქის, შესახებ.

**თემურ ცამციშვილი**: ზემოთ უკვე აღვნიშნე, კონკრეტული ცვლილებები, რომელსაც განვახორციელებთ. ეს ინიციატივები თავისთავად ჩემი ოლქის მოსახლეობასაც უკავშირდება და ისინი ისარგებლებენ ამ სიკეთით.

**სამსონ გუგავა**: ჯერ კრიზისული სიტუაციაა დასაძლევი როგორც ქვეყანაში, ისე ქალაქში.

**უჭერთ თუ არა მხარს, რომ პარლამენტმა საქმიანობა ქუთაისში განაგრძოს?**

**დიმიტრი მხეიძე**: ძალიან მგრძნობიარე თემაა. საზოგადოებრივი აზრი ამ თემაზე ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. მე, როგორც რიგითი ქუთაისელი, ვფიქრობ ისე, როგორც უმრავლესობა — მინდა პარლამენტი ქუთაისში დარჩეს.

„ქართული ოცნების“ გუნდს ძალიან დიდი მისია — ტექნოლოგიური უნივერსიტეტის აშენებისა და საუნივერსიტეტო ქალაქის მისია აქვს მოფიქრებული ქუთაისისთვის. თუ საგანმანათლებლო ფუნქცია ჩაანაცვლებს საპარლამენტო ქალაქის ფუნქციას, ამ იდეაზე თავად ქუთაისელები იტყვიან უარს. ჯერჯერობით კი ქუთაისელებისთვის რთულია არსებულ მოცემულობაზე უარის თქმა.

პირადად მე, **დიმიტრი მხეიძე**, მხარს ვუჭერ, რომ ქუთაისს ჰქონდეს ტექნოლოგიური ინსტიტუტი და პარლამენტი ერთად. ეს ძალიან გამოაცოცხლებდა ქუთაისს და დასავლეთ საქართველოს. მაგრამ გასათვალისწინებელია სხვა დეპუტატების აზრიც, მოსაპოვებელია მათი მხარდაჭერაც. მთავრობის ერთიანი მოსაზრებაც ჯერ არაა ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით.

**აკაკი ბობოხიძე**: არა მარტო მხარს ვუჭერ, არამედ ეს არის ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი იდეა.

**თემურ ცამციშვილი**: ქუთაისს ეკონომიკურად ძალიან უჭირს, პარლამენტის იდეამ არ იმუშავა, რადგან თავად დააყენეს კითხვის ნიშნის ქვეშ მისი არსებობა. დარჩება თუ არა პარლამენტი ქუთაისში - ეს ის კითხვა იყო, რომელიც ინვესტორებზე მოქმედებდა.

ერთი საუკუნის წინათ ქუთაისი ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქალაქი იყო, რადგან იყო ადმინისტრაციული ცენტრი. ქუთაისი უნდა გახდეს საპარლამენტო ადმინისტრაციული ერთეული.

**სამსონ გუგავა**: ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ქალაქის ფუნქციური დატვირთვის შესაბამისად. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქუთაისელმა დავით აღმაშენებელმა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა - მუსლიმური ოკეანის ზღვარზე მის შესაჩერებლად და დღესაც საქართველო კონფლიქტური რეგიონია და საფრთხეები მსგავსია ეპოქის მიუხედავად (სამაჩაბლო, ჯავახეთი თუ გარეჯი). ამდენად, თბილისი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიის ცენტრია და შესაბამისად, პოლიტიკური ცენტრიც იქ უნდა იყოს.

**ირმა ბახუტაშვილი**

GRASS FactCheck factcheck.ge



## რა მოცულობის ინვესტიციები შემოვიდა აზიიდან

### დავით ბაქრაძე:

**ინდოეთიდან ჩვენ გვქონდა დაახლოებით 700 მლნ ინვესტიცია, სამხრეთ კორეიდან კი - 1 მილიარდზე მეტი**




30 აგვისტოს, გადაცემა „არჩევანში“, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, დავით ბაქრაძემ, განაცხადა, რომ აზიის ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს. მინისტრის თქმით, ინდოეთიდან საქართველომ 700-მილიონიანი ინვესტიცია მიიღო, ხოლო სამხრეთ კორეიდან შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ ერთი მილიარდი შეადგინა.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2013 წლიდან 2016 წლის პირველი კვარტალის ჩათვლით, ინდოეთიდან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა. დროის ამ მონაკვეთში საქართველოდან ინდოეთში 12 მილიონი დოლარი გაიტანეს. რაც შეეხება სამხრეთ კორეას, დროის ამავე პერიოდში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სამხრეთ კორეიდან 62 მილიონი დოლარი შეადგინა.

„საქსტატი“ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სტატისტიკას 1996 წლიდან აწარმოებს. 1996 წლიდან 2016 წლის პირველი კვარტალის ჩათვლით, ინდოეთიდან 52 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, სამხრეთ კორეიდან კი - 112 მილიონი დოლარი. შესაბამისად, 20-წლიან პერიოდში განხორციელებული ინვესტიციებიც კი ძალიან ჩამორჩება სახელმწიფო მინისტრის მიერ დასახელებულ რიცხვებს.

**ცხრილი 1: სამხრეთ კორეიდან და ინდოეთიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი დოლარი)**

| | სამხრეთ კორეა | ინდოეთი |
|---|---|---|
| 2005 | 6.4 | - |
| 2006 | 3 | 0.1 |
| 2007 | - | 0.06 |
| 2008 | - | 26.9 |
| 2009 | - | 0.2 |
| 2010 | - | 14.8 |
| 2011 | - | 16.2 |
| 2012 | - | 5.1 |
| 2013 | 0.1 | -12.5 |
| 2014 | 0.6 | 0.2 |
| 2015 | 29.8 | 0.2 |
| 2016 (I კვარტალი) | 32 | -0.1 |

*წყარო: „საქსტატი“*

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოში ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა აზერბაიჯანი იყო. აზერბაიჯანიდან შარშან 550 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. 2013 და 2014 წლებში, ინვესტიციების მხრივ, ლიდერი ნიდერლანდები იყო — 153 და 374 მილიონი დოლარით.

რეგიონების მხრივ, 2015 წელს, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში 753 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, დსთ-ის ქვეყნებიდან - 592 მილიონი დოლარის, ხოლო დანარჩენი სხვა ქვეყნებიდან — 171 მილიონი დოლარის.

ჯამში, 2013 წელს 941 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, 2014 წელს — 1.75 მილიარდი დოლარი, 2015 წელს — 1.56 მილიარდი დოლარი, ხოლო 2016 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 376 მილიონი დოლარი შეადგინა.

**გრაფიკი 1: ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები 2013-2015 წლებში (მილიონი აშშ დოლარი)**




*წყარო: „საქსტატი“*

შესაძლოა, დავით ბაქრაძე ინდოეთიდან 700-მილიონიან ინვესტიციაზე საუბრისას „ტატა ჯგუფის“ ინიციატივას გულისხმობდა, რომლის მიხედვითაც, ენერგეტიკაში 700-მილიონიანი ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო. „ტატა ჯგუფის“ წარმომადგენლები 2013 წელს ეკონომიკის მინისტრსაც შეხვდნენ, თუმცა, როგორც ოფიციალური სტატისტიკიდან ჩანს, ქვეყანას აღნიშნული ინვესტიცია არ მიუღია.

რაც შეეხება სამხრეთ კორეულ ინვესტიციას, 2015 წელს კორეულმა კომპანია K-Water-მა, საპარტნიორო ფონდთან ერთად, ნენსკრა-ჰესის მშენებლობა დააანონსა. პროექტის თანახმად, 2019 წლამდე 1 მილიარდი დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. 2015 წლის ივლისში ჰესის მშენებლობაზე ხელშეკრულება K-Water-მა იტალიურ კომპანია Salini Impregilo-თან გააფორმა. 2015 წლის სექტემბერში კი, ჰესის მშენებლობისთვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.

**დასკვნა**

2013 წლიდან 2016 წლის პირველი კვარტალის ჩათვლით, სამხრეთ კორეიდან შემოსულმა ინვესტიციებმა 62 მილიონი დოლარი შეადგინა, ხოლო ინდოეთიდან ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელი დაფიქსირდა (-12 მილიონი დოლარი). მას შემდეგ, რაც „საქსტატი“ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ითვლის, ანუ 1996 წლიდან, სამხრეთ კორეიდან, ჯამში, 112 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, ინდოეთიდან კი -52 მილიონი დოლარის. სახელმწიფო მინისტრის მიერ დასახელებული რიცხვები (700 მილიონი და 1 მილიარდი) ოფიციალური მონაცემებისგან მნიშვნელოვნად არის აცდენილი. დავით ბაქრაძემ განხორციელებულ ინვესტიციებში შესაძლოა, ორი პროექტის გეგმა იგულისხმა, თუმცა, მათი შედეგი ქართულ ეკონომიკაზე ჯერ არ ასახულა.

**ლუკა ხიმშიაშვილი**

# ლარის კურსი და არჩევნები



**ბესო ნამჩავაძე**

**წინა წლებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არჩევნებსა და ლარის კურსს შორის გამოკვეთილი ტენდენციური კავშირი არ არსებობს. წინასაარჩევნო ან პოსტსაარჩევნო პერიოდებში ლარის კურსი მაღალი მერყეობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ რა იქნება ახლა, 8 ოქტომბრის არჩევნებზე?**

**დღეს განსხვავებული სიტუაციაა. ამას ემატება ისიც, რომ ლარის კურსს შეუძლია, არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა იქონიოს.**

ლარის გაუფასურება ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა და მოსახლეობაში პანიკური (აჟიოტაჟური) სიტუაცია რამდენიმეჯერ შექმნა. ხელისუფლებას გაუმართლა, რომ არჩევნები ასეთ აჟიოტაჟურ პერიოდს არ დაემთხვა. ლარის გაუფასურება აძვირებს პროდუქციას, აძვირებს სესხზე მომსახურებას, ქმნის გაურკვევლობას, ვნებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. ყოველივე ეს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებასა და




უნდობლობას იწვევს. შესაბამისად, თუ არჩევნების წინა დღეებში ლარს გაუფასურების ტენდენცია ექნება, ეს „ქართულ ოცნებას“ ძალიან დააზარალებს. ეს ხელისუფლებამაც კარგად იცის.

პირველ რიგში, ლარის კურსი საქართველოში შემომავალი და გამავალი უცხოური ვალუტის ბალანსზეა დამოკიდებული და არა თავად არჩევნებზე. არჩევნებზე დამოკიდებულება მხოლოდ იმაში შეიძლება გამოიხატოს, რომ გარკვეული ინვესტორები შესაძლოა, არჩევნებს დაელოდონ და შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება, შემოიტანონ თუ არა ფული საქართველოში.

მეორე მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში პარტიები ბევრ ფულს ხარჯავენ, ამ ხარჯების დიდი ნაწილი შესაძლოა, უცხოეთიდან მიღებული ფულით (უცხოური ვალუტით) ფინანსდებოდეს, ან დოლარში არსებულ დანაზოგებს იყენებდნენ. ეს კი ლარის კურსზე გამყარების მიმართულებით მოქმედებს.

თავად 8 ოქტომბრის არჩევნებზე, როგორც ფაქტზე, უფრო მნიშვნელოვანია არჩევნების თარიღი. ბოლო წლებში (2013-2015) შემოდგომა ლარის გაუფასურების ტენდენციით გამოირჩევა. ამას რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს: 1. სრულდება აქტიური ტურისტული სეზონი. მაგალითად, შარშან აგვისტოში საქართველოში 852 446 ტურისტი შემოვიდა, სექტემბერში კი - 568 687, ანუ 284 ათასით ნაკლები; 2. იზრდება იმპორტი (გაზის, ნავთობისა და ელექტროენერგიის იმპორტის ზრდის გამო); 3. აგვისტოსთან შედარებით, მატულობს ბიუჯეტიდან ფულის ხარჯვა. უკვე გარდაუვალია, რომ მე-4 კვარტალში ჯანდაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროების ბიუჯეტები, ჯამში, დაახლოებით 150 მლნ ლარით იქნება გასაზრდელი.

აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი გაუარესდა (59 მლნ დოლარით წინა წლის აგვისტოსთან შედარებით). ექსპორტი არ შემცირებულა, მაგრამ გაიზარდა იმპორტი. საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები კი 25%-ით (21 მლნ დოლარით) გაიზარდა. ინვესტიციების მონაცემები მხოლოდ მეორე კვარტალის ჩათვლით არის ცნობილი და მეორე კვარტალში 18 მლნ დოლარით შემცირდა.

უცხოური ვალუტის ნაკადებთან ერთად, მნიშვნელოვანია, როგორ იცვლება ქვეყანაში ლარის მოცულობა (მასა). თუ ლარის მოცულობა სწრაფად გაიზრდება, ეს ლარის გაუფასურებას შეუწყობს ხელს. 20 სექტემბრის მონაცემებით, ლარის მასა (M2) 6 090 მლნ ლარია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.7%-ით (487 მლნ ლარით) არის გაზრდილი. ეს არ არის მაღალი ზრდა და მეტიც, თუ ლარის კურსიდან გამომდინარე არ ვიმსჯელებთ, არასაკმარისი ზრდაც არის. ამას მოწმობს ინფლაციის (ფასების დონის ზრდის) წლიური მაჩვენებელი, რომელმაც აგვისტოში 0.9% შეადგინა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან სექტემბერ-ოქტომბერში მაღალი ინფლაცია იყო, დიდი ალბათობით, წელს დეფლაციას მივიღებთ. ეს, პირველ რიგში, იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკას მეტი ფული სჭირდება.

ეროვნულ ეკონომიკაში ფულის ზრდის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) მონეტარული პოლიტიკის შერბილება დაიწყო. რეფინანსირების განაკვეთი (განაკვეთი, რომლითაც კომერციული ბანკები სებ-ისგან ფულს სესხულობენ) 8%-დან 6.5%-მდე შეამცირა, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი მდგომარეობით ეს დონეც მაღალია. სებ კიდევ უფრო სწრაფად შეარბილებდა მონეტარულ პოლიტიკას, რომ არა ლარის გაუფასურების რისკები. ეკონომიკაში მეტი ფულით მივიღებთ მეტ ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ეს ლარის გაუფასურებას შეუწყობს ხელს.

ლარის კურსის სიმყარე რომ ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახდა, ამაზე მიანიშნებს ბოლო ერთ თვეში სებ-ის მიერ გაყიდული 40 მლნ დოლარი. სებ ცდილობს, ლარის კურსი 2.30-თან ახლოს შეინარჩუნოს. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ლარის კურსის ფიქსირება ეროვნული ბანკის ვალდებულება არ არის და სავალუტო ინტერვენციებს სხვა მიზნების გამო შეიძლება მიმართოს, ეს სხვა მიზეზი ახლა, დიდი ალბათობით, 8 ოქტომბრის არჩევნებია. 8 ოქტომბერს უნდა შევხვდეთ სტაბილური კურსით.

მოსახლეობასაც სტაბილური ლარის კურსი სურს და სებ-ის ოფიციალური ვალდებულებები ნაკლებად აინტერესებს, მაგრამ ლარის კურსის ფიქსირება ეროვნულ ბანკს არ შეუძლია. ეს მის შესაძლებლობებს აღემატება. რომც შეეძლოს, ფიქსირება არასწორი იქნებოდა. ის კი შეუძლია, რომ არჩევნებამდე ლარის მნიშვნელოვანი გაუფასურება არ დაუშვას, მაგრამ არჩევნების შემდეგ, სწორედ ასეთი პოლიტიკის გამო, ლარის კურსზე უარყოფითი ზეწოლა გაძლიერდება და მეტ გაუფასურებას მივიღებთ, ვიდრე სებ-ის ინტერვენციების გარეშე მივიღებდით.

მთავრობის ლარის კურსზე გავლენის შესაძლებლობა კი შედარებით მწირია. შეუძლიათ, შეძლებისდაგვარად დააჩქარონ საზღვარგარეთიდან სესხებისა და გრანტების მიღება, არ დახარჯონ ბიუჯეტიდან ფული დეფიციტურად (ნაშთის გამოყენებით) და სთხოვონ ბიზნესს, შეძლებისდაგვარად გადაავადონ უცხოური ვალუტის გადარიცხვის ტრანზაქციები.

რომ შევაჯამოთ, ასეთი მდგომარეობაა: ხელისუფლებას არჩევნების წინ მყარი ლარი სჭირდება. ლარის კურსისთვის არჩევნები ცუდ დროსაა. ეს „ცუდი დრო“ როგორმე უნდა გადააგორონ. ეროვნულმა ბანკმა, ამ მხრივ, აქტიურობა უკვე დაიწყო. დარჩენილ ორ კვირაში ტექნიკურად ლარის კურსის დღევანდელ ნიშნულზე შენარჩუნება შესაძლებელია, მაგრამ არჩევნების შემდეგ ლარის გაუფასურების რისკსა და დიაპაზონს ზრდის.



# რუსეთი, 1906-2016

**რუსეთის საპარლამენტო არჩევნებში არავინ არანაირ სასწაულს არ ელოდა. ყველამ იცოდა, რომ პუტინის პარტია გაიმარჯვებდა. ყველაფერი ცხადი იყო და სიურპრიზს არ ელოდნენ. რუსული სტაბილურობა ლამის შესაშურად ჩანდა ამერიკის საარჩევნო კამპანიის ფონზე, რომელმაც ყველა დატანჯა ორივე კანდიდატის სკანდალებით. მაგრამ აი, სიურპრიზი მაინც შედგა: არჩევნებზე იმდენად ცოტა ხალხი მივიდა, რომ პოლიტიკური სტაბილურობა პლუსიდან მინუსად იქცა.**



**თორნიკე შარაშენიძე**

## ბალოტნაიასა და არაბული გაზაფხულის პარანოია

საპარლამენტო არჩევნები რუსეთისთვის დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ოცნებად და მხოლოდ მას შემდეგ ეღირსა, რაც 1905 წელს რუსეთის იმპერია ყველასდა მოულოდნელად სამარცხვინოდ დამარცხდა იაპონიასთან ომში და ამის ფონზე ქვეყანაში რევოლუციამ იფეთქა. რევოლუციის ჩაწყნარება კი მოხერხდა, მაგრამ რეჟიმი იძულებული გახდა, საზოგადოებასთან კომპრომისზე წასულიყო, კონსტიტუცია შემოეღო (რაც მანამდე რუსეთს არ გააჩნდა) და დუმის (რუსული პარლამენტის) არჩევნებიც დაენიშნა (პირველი დუმა 1906 წელს აირჩა და შეიკრიბა). ასე დაემსგავსა რუსეთი დემოკრატიას, მაგრამ 1917 წელს ბოლშევიკებმა გადატრიალება მოახდინეს და რუსეთის დემოკრატიული განვითარებაც დიდი ხნით დაპაუზდა: ბოლშევიკებმა არჩევნები კი ჩაატარეს, მაგრამ სასტიკად წააგეს და ამით გამწარებულებმა პარლამენტი დაშალეს და იქიდან მოყოლებული 80-იანი წლების ბოლომდე რეალური არჩევნები აღარ ჩაუტარებიათ.

2011 წლის დუმის არჩევნები ბევრი რამის გამო იყო საინტერესო და აღსანიშნავი. უპირველესად იმით, რომ მას 90-იანი წლების შემდეგ არნახული პროტესტი მოჰყვა, რომელიც ბალოტნაიას აქციებით შევიდა ისტორიაში. ხელისუფლება აქციებმა სერიოზულად დააშინა და მასთან ბრძოლაში ყველანაირ ხერხს მიმართავდა. მათ შორის საინტერესო იყო მთავარი სანიტარიული ექიმის, ლეგენდარული ონიშჩენკოს გამაფრთხილებელი განცხადებები, რომ აქციებში მონაწილეებს ღორის გრიპით ან ქათმის გრიპით დასნეულება ემუქრებოდათ.

პროტესტი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა და საბოლოოდ ჩაცხრა, მაგრამ მან აშკარად დატოვა კვალი პუტინზე, რომელიც უკრაინაში 2004 წელს მომხდარი ნარინჯისფერი რევოლუციის შემდეგ ყველანაირ საპროტესტო გამოსვლას ეჭვითა და შიშით უყურებდა.

ეჭვები და შიში მას კიდევ უფრო მეტად გაუმძაფრა არაბული გაზაფხულის მოვლენებმა, რომელმაც პიკს სწორედ 2011 წელს მიაღწია, როცა ამბოხებულებმა ლიბიის დიქტატორი მოკლეს და მისი სიკვდილისა და წამების ვიდეო საჯაროდ გაავრცელეს. თავად პუტინი 2012 წელს დაბრუნდა პრეზიდენტის რანგში და, ალბათ, გადაწყვიტა, მსგავსი რამის შანსი რუსეთში ყველანაირად გამოერიცხა.

საინტერესოა, რომ 2011 წლის არჩევნებამდე გაჩნდა მმართველი პოლიტიკური ძალის განახლების იდეა და შეიქმნა ე.წ. რუსეთის ერთიანი სახალხო ფრონტი (ოენეფი). ის სწორედ მმართველი პარტიის, „ედინაია რასიას“ ბაზაზე დაიბადა და სახალხო მოძრაობას წარმოადგენდა. მისი შტაბი ვოლოდინს ჩააბარეს, რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მაღალჩინოსანს. ყველა ელოდა, რომ ეს სახალხო მოძრაობა ახალ ძალებს მიიზიდავდა, რომ ის გაძლიერდებოდა და გაფართოვდებოდა და ამგვარად უზრუნველყოფდა მმართველი ძალის განახლებასაც.

მაგრამ ოენეფის პროექტი თაროზე შემოდეს. მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა თავიდან საკმაოდ სწრაფად იკრებდა მომხრეებს (ასე, მაგალითად, მას შეუერთდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კავშირი), პუტინმა საბოლოოდ ის დაიწუნა. შესაძლოა, რომ სწორედ ბალოტნაიასა და არაბული გაზაფხულის მოვლენების შემდეგ დაიწუნა. განახლებასა და ცვლილებებს დესტაბილიზაციის რისკი ახლდა და ამ ლოგიკით ოენეფს მან ისევ ნაცადი „ედინაია რასია“ არჩია, რომლის პირველ ნომრადაც საარჩევნოდ მედვედევი ჩასვა. ამ ჟესტით დაფიქსირდა, რომ პუტინმა მას სთან ბრძოლის დროშით (ამათგან განსაკუთრებით საინტერესო შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის, ზახარჩენკოს საქმე იყო, რომელსაც სახლში მილიარდები აღმოუჩინეს).

საინტერესოა, რომ ოდესღაც ვარაუდობდნენ, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში პუტინი სწორედ ოენეფს დაეყრდნობოდა ამ უკანასკნელის პოპულარიზაციისთვის, მაგრამ ასე არ მოხდა: კორუფციასთან ბრძოლა (თუ ფსევდობრძოლა) „ეფესბეს“ დროშით მიდის, რომელიც რუსეთის სტაბილურობისა და ძლიერების კიდევ ერთი ელემენტი და სიმბოლოა.



საბოლოოდ აპატია ის გამოხდომები, რომლითაც მედვედევმა პრეზიდენტობის დროს გამოიჩინა თავი - ლიბერალი ეკონომისტებისა და პოლიტოლოგების შემოკრება და რუსეთის რეფორმირებაზე ქადაგება.

თუმცა, „ედინაია რასიას“ მორიგი გამარჯვების გამოცხადებისთანავე ყველა სამთავრობო არხმა მოსახლეობას „განუმარტა“, რომ ამომრჩეველი, პირველ რიგში, მაინც პუტინს ენდო და არა სიის თავში მყოფ მედვედევს. ბევრმა ანალიტიკოსმა, ამ განცხადებების მიუხედავად, მაინც ჩათვალა, რომ მედვედევმა გაიმარჯვა, მისი მეტოქე ვოლოდინი (ოენეფთან ერთად) კი დამარცხდა. ვოლოდინი ამჟამად დუმის სპიკერის თანამდებობაზეა წარდგენილი და ფორმალურად ეს დაწინაურებაა, თუმცა, პუტინის ადმინისტრაციიდან პარლამენტში გადასვლა რეალურად მაინც დაქვეითებაა.

ასევე, დამარცხებული ჩანს კუდრინიც, რომელსაც ერთი პერიოდი მედვედევის ალტერნატივად მოიაზრებდნენ პრემიერის პოსტზე. მაგრამ ეს ვარაუდი ვარაუდად, უფრო სწორად კი ოცნებად დარჩა მათთვის, ვისაც რეფორმების გატარების იმედი ჰქონდა. აშკარაა, რომ მედვედევი პოსტზე რჩება, როგორც პუტინის ერთგული ხელქვეითი და შესაბამისად, რეფორმების იმედიც კიდევ ერთხელ მოკვდა.

მოკლედ, არჩევნების წინ არჩევანი სტაბილურობის სასარგებლოდ გაკეთდა. წინასაარჩევნოდ განხორციელდა რამდენიმე საჩვენებელი დაჭერა კორუფცია-

## ლეგიტიმაციის დეფიციტი და 2018 წლის შესაძლო კატასტროფა

განსხვავებით 2011 წლისგან, 2016 წლის არჩევნებს პროტესტი არ მოჰყოლია, ბალოტნაია მოკვდა. ამ გარდაცვალების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყირიმის ანექსიაა, რომელმაც რეჟიმის მოწინააღმდეგეთა რიგები გახლიჩა. ყირიმის შემოერთების შემდეგ პუტინს თითქმის ყველაფერი ეპატიება, მით უმეტეს, რომ საძულველმა დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო და ქვეყანა, ფაქტობრივად, ომშია ჩაბმული. სახელმწიფო ტელეარხებიც ყველანაირად აღვივებენ ამ განწყობას, რათა რიგითმა მოქალაქემ, პირველ რიგში, გარე მტრებზე იფიქროს და არა შიდა პრობლემებზე. პუტინმაც კმაყოფილებით აღნიშნა, რომ „ედინაია რასიას“ გამარჯვებაში დიდი წვლილი სწორედ იმან შეიტანა, რომ სანქციების პირობებში ხალხი ხელისუფლების გვერდით დადგა.

მაგრამ პროტესტის არარსებობა არ ნიშნავს, რომ ახალი დუმა წინანდელზე ლეგიტიმური და ძლიერი იქნება. პირიქით, წინა დუმა სწორედ ბალოტნაიასთან ბრძოლაში შედგა და გამოიწრთო. მან, ასევე, გამოიარა ყირიმის ანექსიისა და სანქციების პერიოდი. ცხადია, ეს იყო პუტინის მორჩილი, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ძლიერი ორგანო. ახლანდელი დუმა კი სრული პოლიტიკური უმოქმედობისა და ამომრჩევლის აპათიის პირობებში მოვიდა.

**დასასრული მე-10 გვ.**

GRASS FACTCHECK

factcheck.ge



## რა გაკეთდა სამტრედიაში 2012 წლის შემდეგ

**იმედა გოგავა:**

**2012 წლის შემდეგ სამტრედიაში არც ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა**




„რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა, იმედა გოგავამ, სააგენტო geomediatv.ge-სთან ინტერვიუში სამტრედიაში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ სამტრედიაში არც ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა.

იმედა გოგავა სამტრედიის საკრებულოში აბსოლუტური უმრავლესობით მოსულ მმართველ პარტიას წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით (მაგალითად, სამტრედიის საფეხბურთო კლუბისთვის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარის გადარიცხვა) კრიტიკულ აზრს გამოთქვამდა.

ჩვენთან საუბარში გოგავამ დააზუსტა, რომ ის ქალაქ სამტრედიაში განხორციელებულ მასშტაბურ პროექტებს გულისხმობდა: „იყო სამტრედიის სოფლებში მსხვილი პროექტი, მაგალითად, წყალთან დაკავშირებული, მაგრამ თავად ქალაქ სამტრედიაში ასეთი მასშტაბური რამ არ განხორციელებულა“.

„ფაქტ-მეტრმა“ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების ნიშნულად, მინიმუმ, 100 ათასი ლარის ღირებულების პროექტები აიღო და შეეცადა, გაერკვია, ქალაქ სამტრედიაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 100 ათასი ლარის ან მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა თუ არა.

ქალაქ სამტრედიის ბიუჯეტის დაფინანსებით 2013-დან 2016 წლის ჩათვლით ქალაქში მსხვილი (100 000 ლარზე მეტი ღირებულების) ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში იგივე დაგვიდასტურეს.

„ფაქტ-მეტრი“ 2013-2014 წლებში რეგიონული განვითარების ფონდიდან (რგფ) დაფინანსებული მსხვილი (100 000 ლარზე მეტი ღირებულების) ინფრასტრუქტურული პროექტებითაც დაინტერესდა.

2013 წელს ამ ფონდიდან სამტრედიამ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 3 მილიონ 650 ათასი ლარის დაფინანსება მიიღო. ამ თანხის ძირითადი ნაწილი ქალაქ სამტრედიის გზებზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობას მოხმარდა. ამისთვის, ჯამში, 1.56 მილიონი ლარი დაიხარჯა. ქალაქში განხორციელებულ მსხვილ პროექტებზე დახარჯული თანხები ასე გამოიყურება:

| პროექტის დასახელება | თანხა ლარებში |
|---|---|
| 26 მაისის, კ. გამსახურდიას, შევჩენკოს, ირაკლი ქუთათელაძის, საიათნოვასა და წერეთლის ქუჩების ასფალტბეტონის საფარით მოწყობა | 700 000 |
| რევიშვილის, ტოლსტოის, კვანტალიანის, კაკაბაძის, ჭონქაძისა და რაზმაძის ქუჩების ასფალტბეტონის საფარით კეთილმოწყობა | 210 000 |
| ლესელიძის, ვაშაკიძის, ჭავჭავაძის, კანდელაკის, ნიკოლეიშვილის, ფარნავაზის, თამარ მეფისა და ფარნავაზის შემაერთებელი ქუჩების ასფალტბეტონის საფარით კეთილმოწყობა | 500 000 |
| ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები | 150 000 |

2014 წელს რგფ-დან სამტრედიის მუნიციპალიტეტს 1 მილიონ 191 ათასი ლარი ერგო. აქედან, ქალაქ სამტრედიაში თანხა მსხვილ პროექტებზე ასე გადანაწილდა:

| პროექტის დასახელება | თანხა ლარებში |
|---|---|
| ქალაქ სამტრედიაში წერეთლის (გაგრძელება), გამსახურდიას (გაგრძელება), ეგრისის (გაგრძელება), ჭანტურიასა და ნიკოლაძის ქუჩების ასფალტბეტონის საფარით მოპირკეთება | 541 739 |
| ქალაქ სამტრედიაში კოსტავას (გაფართოება, გადაგება) ფარნავაზის (გაგრძელება), კაკაბაძის, მშვიდობის, ვაჟა-ფშაველას ქუჩების და კონსტიტუციისა და კოსტავას ქუჩებზე არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების ასფალტბეტონის საფარით მოპირკეთება | 349 121 |
| გალაკტიონის ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება | 196 833 |

2015 წელს რგფ-დან სამტრედიამ სულ 2 მილიონ 243 ათასი ლარი მიიღო, აქედან მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ქალაქ სამტრედიაში შემდეგი თანხა დაიხარჯა:

| პროექტის დასახელება | თანხა ლარებში |
|---|---|
| ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე წყალარინებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება | 188 980 |
| ქ. სამტრედიაში თაბუკაშვილის, ნადირაძის, პაპავას, ფანჯიკიძის, გამრეკლიძის ქუჩებზე და წერეთლის ქუჩის პირველ შესახვევში ასფალტბეტონის საფარის დაგება | 283 211 |

რაც შეეხება რეგიონული განვითარების ფონდიდან 2016 წელს სამტრედიაში განსახორციელებელ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ჯერჯერობით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეს ინფორმაცია არ გამოუქვეყნებია.

**დასკვნა**

ქალაქ სამტრედიაში 2013-2016 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით რაიმე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი (100 000 ლარზე მეტი ღირებულების) არ განხორციელებულა. თუმცა, ამ წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ქალაქის ქუჩების გზების მოპირკეთების 10-მდე პროექტი დააფინანსა, რომელთა საერთო ღირებულება 3 მილიონ 120 ათასი ლარია.

**ირმა ბახუტაშვილი**

მე-5 გვერდიდან

## შალვა ნათელაშვილი:
# „ბიძინისტები“ „ნაციონალებზე“ ორჯერ საშიში დამნაშავეები არიან



**„2003 წელს გავიგე, რომ „ვარდების რევოლუციის“ დამფინანსებელი იყო არა სოროსი, არამედ ივანიშვილი და 40 მილიონი ქეისით გაუგზავნა და მერე თავად სიამაყით განაცხადა, - ეს რევოლუცია სოროსმა კი არა, მე დავაფინანსეო“**

თუკი ასეთი რეალობა დადგება, პირობას გაძლევთ, რომ ჩავატარებთ ახალ და უკეთეს არჩევნებს. ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელი, რომ, თუკი მთავრობა ვერ შეიქმნება, მერე ტარდება ხელახალი არჩევნები და ხალხი აკეთებს ახალ არჩევნებს. აი, დადგეს ასეთი ვითარება და ნახავთ, რომ მერე უკვე სრული უმრავლესობით მოვალთ.

**- თქვენს შანსებს როგორ აფასებთ?**

- მე არ ვაფასებ ჩემს შანსებს, ჩვენს შანსებს ხალხი აფასებს და დღეისთვის ჩვენ უკვე სახელისუფლებო პარტია ვართ.

**- სახელისუფლებო სხვების გარეშე?**

- ცხადია, სხვების გარეშე. მე ვინმეს კოალიციაში არც კი განვიხილავ.

**- მინისტრთა კაბინეტის წევრები უკვე შერჩეული გყავთ?**

- მინისტრებს შევარჩევთ საზოგადოებრივი დისკურსის პროცესში, ტელედებატების ფორმატში პროფესიონალებისგან და ეს არ იქნება პარტიული მთავრობა.

**- თქვენი საგარეო კურსი როგორი იქნება?**

- საგარეო კურსი დარჩება ისეთი, როგორიც არის. საგარეო პრიორიტეტი იქნება ის, რაც აქამდე იყო. ქვეყნის საგარეო პრიორიტეტები მთავრობების შეცვლით, მოსვლითა და წასვლით არ იცვლება.

**- ანუ თქვენ დღევანდელი ხელისუფლების რუსეთისადმი არსებული პოლიტიკა მოგწონთ და ფიქრობთ, რომ შესაცვლელი არ არის?**

- დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთისადმი რა პოლიტიკა აქვს - რამე ისეთი პოლიტიკაა, ერთ სუვერენულ ქვეყანას მეორეს მიმართ რომ უნდა ჰქონდეს? ივანიშვილი არის რუსეთის მიერ დასმული. ეს არის და ეს.

რაც შეეხება იმას, ჩვენ რა პოლიტიკა გვექნება რუსეთთან, გვექნება ისეთი, როგორიც უნდა იყოს ოკუპანტთან. რუსეთი არის ოკუპანტი ქვეყანა. შესაძლოა, რიგით რუსს, რომელიც სადღაც ვორონეჟში ცხოვრობს, სულ ფეხებზე ჰკიდია საქართველოც და თავისი ხელისუფლებაც, მაგრამ სახელმწიფო - დიახ, მტერია. ჩვენი ტერიტორია აქვს ოკუპირებული და მტერია, აბა რა არის...

**„მთავარია, ხელისუფლებაში მე ვიყო და ნებისმიერ ოპოზიციასთან ვითანამშრომლებ ისე ცივილიზებულად, რომ არ დავიჭირო, არ ვუთვალთვალო, არ ვცემო, არ დავარბიო, პროვოკაციები არ მოვუწყო, არ მივახრჩო, არ მოვუსმინო და არ გავანადგურო, რადგან ქვეყანას ოპოზიცია ისევე სჭირდება, როგორც ადამიანს მარცხენა ხელი“**

ომი რუსეთმა დაიწყო. ჩვენს მიწაზე ომს ჩვენ როგორ დავიწყებდით?! და ამას ვინც ამბობს, რომ საქართველომ დაიწყოო, მას ან არაფერი ესმის, ან ქვეყნის ისეთივე მტერია, როგორც რუსეთი და როგორც ივანიშვილი, რომელიც ამას ამბობს და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ის აქ რუსეთის დასმულია.

ომი რუსეთმა დაიწყო, მაგრამ სააკაშვილი სერიოზულ ავანტიურას წამოეგო და ეს ტერიტორიების დაკარგვით დასრულდა, რომელიც რუსეთის დასმულმა ივანიშვილმა კრემლს მთლიანად ჩააბარა. ამიტომ ჩვენ ამ პოლიტიკას და ამ მიდგომას, რა თქმა უნდა, შევცვლით.

**- ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში პირველს რას გააკეთებთ?**

- არის გადაუდებელი ღონისძიებების პაკეტი, რომელიც ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ, ეს არის საპენსიო რეფორმა, ეს არის სტუდენტების დაბრუნება უმაღლეს სასწავლებლებში, ეს არის გადაუდებელი ჯანდაცვის რეფორმა, რომელიც აფერისტ სადაზღვევო კომპანიებს უნდა ჩამოშორდეს და სახელმწიფომ ჯანდაცვისთვის გადადებული ფული ჯანდაცვას მოახმაროს და არა ამ აფერისტი კომპანიების გამდიდრებას; და საბანკო რეფორმა, რაც სესხების პროცენტის 7%-მდე დაწევას, ონლაინსესხების გაუქმებასა და კაზინოების ქალაქებიდან გატანას გულისხმობს.

**- ამით საბიუჯეტო შემოსავლები რომ შემცირდება, რას იზამთ?**

- არ სჯობს ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდეს, ვიდრე ხალხი დაგვეხოცოს და ადამიანები მარჯანიშვილის ხიდიდან ხტებოდნენ იმის გამო, რომ თაღლითური საფინანსო ორგანიზაციების ვალებში აღმოჩნდნენ?

**- სოციალურ ხარჯებს რით დაფარავთ?**

- სოციალური ხარჯების დაფარვა მოხდება იმით, რომ დაწესდება დიფერენცირებული გადასახადი და მდიდარი გადაიხდის ბევრს, საშუალო შემოსავლის მქონე - საშუალოს, პატარა შემოსავლის მქონე - პატარას და ვისაც შემოსავალი არ აქვს, საერთოდ არაფერს არ გადაიხდის და მასზე გაიცემა კომპენსაცია.

დღეს საგადასახადო სისტემა უსამართლოა. მოხუცი და მშიერი ბებია მეთხუთმეტე სართულზე რომ არის გამოკეტილი იმდენივე გადასახადს იხდის, რამდენსაც მილიარდერი ივანიშვილი და ქვეყნის უბედურება ეს არის. აბა, საფრანგეთმა სიმდიდრის გადასახადი რატომ დააწესა, ფრანგები გიჟები იყვნენ?!

სხვათა შორის, ივანიშვილი იხდის სწორედ საფრანგეთის ბიუჯეტში და არა საქართველოს ბიუჯეტში.

**- თქვენ გარდა პარლამენტში კიდევ ვის მოხვედრას ვარაუდობთ და იქნებიან თუ არა ისინი თქვენი თუნდაც თემატური პარტნიორები?**

- მე ვთქვი, რომ „ოცნებასთან“ და „ნაციონალებთან“ თანამშრომლობა გამორიცხულია. იმას კი, ვინ მოხვდება პარლამენტში, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს და მე ახლა რეკლამას ვერავის გავუკეთებ.

**- თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი საქართველოს მტერია და იმ პარტიებთან, რომლებიც ასე არ თვლიან, თანამშრომლობას შეძლებთ?**

- პრორუსულ პარტიებთან თანამშრომლობა ძალიან დელიკატური საკითხია, იმიტომ, რომ პრორუსულ პარტიას რაიმე სერიოზული სამინისტრო რომ ჩააბარო, მთელი ინფორმაცია მოსკოვში მოიყრის თავს. მაგალითად, ახლა, ჩემი ინფორმაციით, რუსეთის უშიშროების სამსახურიდან საქართველოს 12 თანამშრომელი კურირებდა და დღეს 1-ია დარჩენილი და ეს იმიტომ ხდება, რომ მთელი ინფორმაცია საქართველოს უშიშროების სამსახურიდან მზამზარეული მიდის მოსკოვში და აღარ სჭირდებათ.

**- საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?**

- ეს ინფორმაცია მაქვს სპეცსამსახურებიდან, ისინი მაწვდიან, ვინც იქ მუშაობდნენ და მერე გამოყარეს.

**- საქართველოს პარტნიორებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს რატომ არ აწვდით ამ ინფორმაციას?**

- ვინ გითხრათ, რომ არ ვაწვდი? სახელმწიფო დეპარტამენტი სავსეა ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაციით. რაც შეეხება რეაგირებას, კონგრესში ივანიშვილის ქონების დაყადაღება რომ მოითხოვეს, ვისი ინფორმაციის საფუძველზე მოხდა და რეაგირება არ იყო? ამაზე მეტის ლაპარაკი კი არ შემიძლია, რადგან საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევს.

**რუსა მაჩაიძე**

# რუსეთი, 1906-2016

მე-9 გვერდიდან

**არჩევნებზე 40%-ზე ცოტა მეტი გამოცხადდა, რაც შოკისმომგვრელი მაჩვენებელია. საზოგადოებამ სტაბილურობა აშკარად დიდი დოზით მიიღო, რასაც მოყირჭება მოჰყვა - ყველამ უკვე წინასწარ იცის, რა მოხდება არჩევნებზე და შესაბამისად, უმრავლესობა არჩევნებზე წასვლაში აზრს ვერ ხედავს.**



მომავალ დუმას ლეგიტიმაცია აკლია. არადა მას წინ შესაძლოა, სერიოზული გამოცდები ჰქონდეს. არაა გამორიცხული, რუსეთმა ოდესღაც დონეცკისა და ლუგანსკის შემოერთება მოინდომოს. ვინ უნდა მიიღოს ასეთი მძიმე გადაწყვეტილება? 40-50%-ით არჩეულმა პარლამენტმა? მით უფრო, რომ დაბალი აქტივობის გათვალისწინებით, მმართველმა პარტიამ საერთო ამომრჩეველთა რიცხვის სულ 20% მიიღო.

კიდევ უარესი: ორ წელიწადში პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს. სადაც დუმის არჩევნებზე ახლა ასე ცოტა ადამიანი მივიდა, რამდენი მივა ორ წელიწადში? მით უმეტეს, რომ ახლა დუმის არჩევნები ტარდებოდა, ორ წელიწადში კი პრეზიდენტის არჩევნებია, რომელშიც ცხადზე უცხადესია, ვინ უნდა გაიმარჯვოს. 40 ან უფრო ნაკლები პროცენტით არჩეული პუტინი უკვე მეტად მძიმე თემაა. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ 2018 წელს მეტი ადამიანი მივიდეს არჩევნებზე? პასუხი თითქოსდა ნათელია - უნდა იყოს კონკურენტული და საინტერესო წინასაარჩევნო კამპანია. მაგრამ ამის თქმა ერთია, განხორციელება კი... როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ პუტინი საარჩევნო კამპანიის დროს ვინმეს დებატებში დაუჯდება და ვინმეს კრიტიკას მოუსმენს?

ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ ოპოზიციური ძალები სრულიად დისკრედიტებულები არიან. უკვე ათ წელიწადზე მეტია, მათ პრაქტიკულად ყველანაირი მხარდაჭერა და გავლენა დაკარგეს. ბოლო სერიოზული შანსი 2003 წელს იქნა გაშვებული, როცა „იაბლოკომ“ და მემარჯვენე ძალების კავშირმა ერთმანეთთან კონკურენციაში გაფლანგეს ძალები. ყირიმის ანექსიის შემდეგ კი ოპოზიცია, ალბათ, დიდი ხნით გარდაიცვალა.

„იაბლოკოს“ ამ ბოლო საარჩევნო კამპანიის დროს, პუტინის გადაწყვეტილებით, ნორმალური პირობები შეუქმნეს (რამდენიმე ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატი სტაბილურობას ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა, სამაგიეროდ კი დუმას რაღაც დემოკრატიულობისა და ლეგიტიმურობის ნიშანს მაინც შესძენდა), მაგრამ პარტიამ 2%-იც ვერ მოაგროვა და შესაბამისად, ბარიერი ვერ გადალახა. იავლინსკიმ აღიარა, რომ მარცხი, უპირველესად, ყირიმის ანექსიის თაობაზე გამოთქმულმა კრიტიკამ განაპირობა.

## დიდი „კაგებეს“ დაბრუნება?

„ეფესბე“ (ფედერალური უშიშროების სამსახური), „ესვეერი“ (საგარეო დაზვერვის სამსახური) შესაძლოა, გაერთიანდნენ. ორივე ეს სამსახური „კაგებეს“ (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) მემკვიდრეებს წარმოადგენენ. „ეფესბე“ სხვა არაფერია, თუ არა „კაგებეს“ მეორე მთავარი სამმართველო, „ესვეერი“ კი - „კაგებეს“ პირველი სამმართველო. მათ შესაძლოა, დაცვის ფედერალური სამსახურიც შეუერთდეს და ეს ყველაფერი ერთ სამინისტროში გაერთიანდება. მას სხვა რა უნდა დაერქვას, თუ არა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

ეს ინფორმაცია ზუსტად არჩევნების მეორე დღეს გამოჩნდა, რომლის მიხედვითაც, უშიშროების მონსტრის შექმნა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უნდა დასრულდეს. საინტერესოა, რომ ფედერალური დაცვის სამსახურის ერთი ნაწილი დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს და მას დარჩება უშუალოდ პრეზიდენტის დაცვის ფუნქცია, სპეცკავშირები და თანამდებობის პირების სატრანსპორტო მომსახურება. ეს არის და ეს, სხვა მხრივ, ახალი სამინისტრო თავისი უფლებამოსილებებით „კაგებეს“ დაჩრდილავს - მას დაემატება საგამოძიებო ფუნქციები, რომლებიც აქამდე „ეფესბეს“ არ გააჩნდა (თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ბოლო დროს კორუფციასთან და დამნაშავეობასთან ბრძოლაში პუტინმა წინა რიგებში სწორედ „ეფესბე“ წამოსწია).

რა სურს ამით პუტინს? უშიშროების სამსახურების საქმიანობაში მეტი ეფექტიანობის მიღწევა, მათი ერთიანი კონტროლის უზრუნველყოფა, ხარჯების შემცირება? ალბათ, ყველაფერი ერთად. და ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები

# ჭიათურის №56 ოლქი

ჭიათურაში კანდიდატთა სიმრავლეა. მუნიციპალიტეტის დეპუტატობა 12 სუბიექტს სურს. ოლქში კენჭს იყრიან **სულხან მახათაძე** (**„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), გოგი (პროკოფი) ჩიკვილაძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), მალხაზ წერეთელი („რესპუბლიკური პარტია“, 2012 წლის მოწვევის პარლამენტის მაჟორიტარი ჭიათურიდან), თეიმურაზ გაფრინდაშვილი („ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“), ანი მიროტაძე („ეროვნული ფორუმი“), გიორგი კასრაძე („პატრიოტთა ალიანსი“), თეიმურაზ გვალია („პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“), მარინა ვაშაძე („ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა“), ზაურ ცერცვაძე („თამაზ მეჭიაური - ერთიანი საქართველოსთვის“), გურამ კაპანაძე („ერთიანი კომუნისტური პარტია“), ზინა გველესიანი („ქართული იდეა“), ირაკლი გაბრიჭიძე (საინიციატივო ჯგუფი).**

„ფაქტ-მეტრი“ გთავაზობთ 5 მათგანის ინტერვიუს. ინტერვიუები მომზადდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ყველა კანდიდატისთვის ძირითადად ერთნაირი იყო. მიღებული პასუხები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს კანდიდატთა პოზიციების შედარება გაუადვილდეს.

გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუების შემოკლებული ვერსიები, ხოლო სრული ინტერვიუები განთავსდება ინტერნეტში ჩვენს საიტზე — **factchek.ge.**



**სულხან მახათაძე,**
**„ქართული ოცნება“**



**გოგი ჩიკვილაძე,**
**„ნაციონალური მოძრაობა“**



**მალხაზ წერეთელი,**
**„რესპუბლიკური პარტია“**



**ანი მიროტაძე,**
**„ეროვნული ფორუმი“**



**თეიმურაზ გაფრინდაშვილი,**
**„თავისუფალი დემოკრატები“**

**კითხვა: რატომ იყრით კენჭს ამ კონკრეტულ ოლქში?**

**სულხან მახათაძე** („ქართული ოცნება“): ჭიათურა ჩემი მშობლიური ქალაქია. მამა სამთოელია და, როგორც ცხონებული ოტია იოსელიანი იტყოდა, მაღარო და ჭიათურა კაცების სამჭედლოა. კაცობა ჩემთვის მშობლიური მხარის სიყვარულს ნიშნავს და ამ სიყვარულს ჭიათურის მუნიციპალიტეტისთვის არ დავიშურებ. აუცილებლად ვემსახურები მას ჩემი სამსახურებრივი პოზიციის მიუხედავად!

ჭიათურას დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ის 150 წელიც არაა, რაც არსებობს, და როგორც ვიცი, ჭიათურის ხელმძღვანელთა შორის მე ვიყავი ყველაზე ახალგაზრდა. არც ისე დიდი ხნის წინ მითხრა ერთმა მოხუცმა, რომ ამდენი, ვაშაძის შემდეგ, ჭიათურაში არავის მმართველობისას არ გაკეთებულაო. ეს ყველაზე დიდი ჯილდო და შეფასება იყო ჩემთვის.

**გოგი ჩიკვილაძე** („ნაციონალური მოძრაობა“): მე კენჭს ვიყრი ჩემს რაიონში, სადაც ვცხოვრობ.

**მალხაზ წერეთელი** („რესპუბლიკური პარტია“): მთელი ჩემი ცხოვრება ამ რაიონთან არის დაკავშირებული. აქ დავიბადე, 30 წელი ვმუშაობდი ექიმ პედიატრად. ვარ 2002-2006-2010 წლების მოწვევის საკრებულოს წევრი, 2012 წლიდან - პარლამენტის წევრი. კარგად ვიცი ჩემი რაიონის პრობლემები, მაქვს ხედვები პრობლემათა მოგვარების გზებსა და საშუალებებზე.

**ანი მიროტაძე** („ეროვნული ფორუმი“): ეს გადაწყვეტილება განაპირობა რამდენიმე გარემოებამ. პირველ რიგში, ჭიათურა, თავისი პრობლემების სიმრავლითა და სიმძიმით ერთ-ერთ ყველაზე რთულ რაიონად ითვლება. აქ ძალიან სწრაფად არის დასაწყები, ასევე, სწრაფ შედეგებზე ორიენტირებული პროექტები, რომლებიც აქაურებს ცხოვრებას გაუადვილებს.

მეორე - ეს არის კატასტროფული მიგრაცია, რომელმაც პრაქტიკულად გადამაწყვეტინა აქ წამოსვლა. ბოლო მონაცემებით, რომელიც მაქვს, ზოგიერთ სოფლებში 60-65%-იანი მიგრაციაა. ეს ნიშნავს, რომ ხვალ-ზეგ რაიონი, უბრალოდ, დაიცლება.

და ერთი კიდევ, მთავარი - ჩემი რაიონია! სადაც ცხოვრობენ ჩემი ნათესავები, დედასა და მამას მეგობრები. მგონია, როდესაც პოლიტიკაში გადაწყვეტილებას იღებ, უნდა დაიწყო იქიდან, სადაც არის შენი ფესვები, მით უმეტეს, თუ ამ გარემოს ძალიან სჭირდები და გაქვს იმის სურვილი, რაღაცები შეცვალო. ამაში გარკვეული ვალდებულებებიც არის.

**თეიმურაზ გაფრინდაშვილი** („თავისუფალი დემოკრატები“): მინდა ჩემს ქალაქს, ჩემს რაიონს დავუდგე გვერდით არა როგორც აქტიური პოლიტიკოსი, არამედ როგორც პრაქტიკოსი მეწარმე. ჭიათურაში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ. მთელი ჩემი ცხოვრება ჭიათურას უკავშირდება. ბუნებრივია, მაქვს სურვილი, მონაწილეობა მივიღო ამ მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობისთვის ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნაში.

ჭიათურაში უნდა დასრულდეს ის დრო, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან ასოცირების გამო ხალხი რომ ერთმანეთს დააპირისპირეს და ახლობლებს, ნათესავებსა თუ მეგობრებს ერთმანეთთან მისალმების ეშინიათ. ამის გამო გადავწყვიტე, ვიბრძოლო მაჟორიტარობისთვის.

**ჩამოთვალეთ მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ოლქის ამომრჩევლებს განსაკუთრებით აწუხებთ. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

სულხან მახათაძე: ჭიათურა ის მუნიციპალიტეტია, სადაც პრობლემები მიწისქვეშეთიდან იწყება და ატმოსფეროში მთავრდება. ამაზე ყველას აქვს ინფორმაცია: ჭიათურაში მოიპოვება მანგანუმი, რასაც მიწის შრეების რღვევა, წყლისა და ჰაერის დაბინძურება მოსდევს. კომუნისტური ეპოქის დასრულების მერე მოიშალა წყლის სისტემა, განადგურდა გზები, დაიცალა ქალაქი და სოფლები, ჭიათურას გაუუქმეს ქალაქის სტატუსი. ფაქტობრივად, აღარ არსებობდა ინფრასტრუქტურა, გაუქმდა საავადმყოფოები, დაიხურა სკოლები (მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების გამო). ბოლო 4 წელში თითქმის ორჯერ გაიზარდა ბიუჯეტი და ამ ბიუჯეტის გონივრული, ეფექტური ხარჯვით ჩვენ შევძელით მაქსიმუმის გაკეთება.

სწორედ მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტის მეშვეობით შეიძლება პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა. 4 წელში, თუნდაც მეტი ფინანსური რესურსი ყოფილიყო, დროის რესურსი ვერ ეყოფოდა პრობლემების მოგვარებას. ჩემი აზრით, ორი რამეა საჭირო ჭიათურის პრობლემების აღმოსაფხვრელად - გონივრულად გათვლილი ფინანსური და დროის რესურსები.

**გოგი ჩიკვილაძე**: ქალაქის წყალმომარაგება, სოფლების გაზიფიცირება და ელექტრომრიცხველების მონტაჟი. ტყით სარგებლობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარების ხელშეწყობა. თ. მაღრაძის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია...

**მალხაზ წერეთელი**: მუნიციპალიტეტის მრავალ პრობლემათა შორის გამოვყოფდი შემდეგს:

ა) უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობა — ქვეყნის მასშტაბით გარემოზე მიყენებული ზიანის 88,5% მოდის ჭიათურის რაიონზე;

ბ) სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა და სასმელი წყლის ხარისხი;

გ) სტაციონარული საწოლების მწვავე უკმარისობა, რის გამოც 13 ათასზე მეტ ადამიანს სამედიცინო სერვისების მისაღებად 80კმ-ის გავლა უწევს ზესტაფონამდე;

დ) გაზიფიცირების პრობლემა - გაზიფიცირებულია სოფლების 0.6%, ქალაქიც არ არის სრულად გაზიფიცირებული;

ე) მიგრაციის პრობლემა - 1989 წლიდან 2014 წლამდე 43%-იანი კლება გვაქვს მოსახლეობის.

მოგვარება:

ა) საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, არსებული კანონმდებლობის დაცვა. მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის სათავეა ის განუკითხაობა და უკანონობა, რაც საბადოზეა გამეფებული. არ ჩანს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური ნება, როცა გარემოზე მიყენებული ზიანის რაოდენობა რაიონში 358 მლნ ლარს შეადგენს;

ბ) აუცილებელია სასმელი წყლით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მიღება, რომელმაც უნდა განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოები, შესრულების ვადები, ეტაპები და ა.შ. საჭიროა უახლოეს ხანებში მოხდეს წყალმომარაგებისა და წყალარინების შესახებ მომზადებული კანონპროექტის მიღება;

გ) ჩემი სამწლიანი მცდელობით, მთავრობისგან მიღებულია თანხმობა ქ. ჭიათურაში 30-საწოლიანი მუნიციპალური საავადმყოფოს შექმნის თაობაზე. საბოლოო ნაბიჯი გამგეობის გადასადგმელია;

დ) ცენტრალური ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული. 2015 წელს იმერეთის რეგიონში გაიყვანეს 1300კმ გაზსადენი, აქედან - არც ერთი მეტრი ჩვენს რაიონში. ასე იყო 2012-13 წ.წ-ში. კომენტარი თქვენთვის მომინდვია;

ე) რაიონი მონოდარგობრივია. საჭიროა ალტერნატიული სამუშაო ადგილები მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებით. ჩვენთან პერსპექტიულად მიმაჩნია სოფლის მეურნეობის კუთხით მეჩაიეობისა და მეხილეობის განვითარება.

**ანი მიროტაძე**: ეს არის ეკოლოგიური პრობლემები, დაბინძურებული გარემო, დაბინძურებული წყალი, რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიშია. სტატისტიკას თუ მოვუხმობთ, 6-ჯერ მაღალია ონკოლოგიური დაავადებების რისკი ჩვენს ქალაქში. 32-ჯერ მაღალია, გამოკვლევების მიხედვით, გარემოს დაბინძურების საფრთხე. აქ ამ დრომდე ონკანში დაბინძურებული წყალი მოედინება (და იმედი მაქვს, ამას მალე მოვაგვარებთ).

ეს რაც შეეხება ეკოლოგიურ პრობლემებს. ყველაფერ ამის გამომწვევი მანგანუმის მოპოვების ის არასწორი გზებია, რომლითაც მიმდინარეობს მისი დამუშავება. გარდა ამისა, იქ, სადაც მანგანუმის წარმოება მიმდინარეობდა, შესაბამისი სამუშაოები არ ჩატარდა, რაც ქმნის მეწყრულ ზონებს. ანუ მეწყრის განვითარების საშიშროებაც არსებობს, რაც ძალიან ცუდია, თავისთავად. რადგან საბადო არსებობს, რა თქმა უნდა, უნდა ხდებოდეს მისი გამოყენება, მაგრამ არა გარემოს დაბინძურებისა და ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე.

მეორე საკითხი, ამ რაიონისთვის უშუალოდ დამახასიათებელი - აქ არის მცირემიწიანი ნიადაგი. ის, რომ მაღალმთიანობის სტატუსთან დაკავშირებით გარკვეული სოფლების შერჩევა ხდება, ამ რაიონისთვის კარგად ვერ მუშაობს და არ მუშაობს.

აქ არავის აქვს შემოსავალი, ყველაფერი დამოკიდებულია მანგანუმის წარმოებაზე. სოფლის მეურნეობა ვერ არის ისე განვითარებული, რომ ადამიანებმა თავი ირჩინონ. ეს არის პრობლემა. ეს იწვევს ადამიანების მიგრაციას. ადგილზე არანაირი საწარმო არ არსებობს, გარდა „ჯორჯიან მანგანეზისა“, ან მასთან დაკავშირებული, ან მასზე დამოკიდებული საწარმოებისა. აქედან გამომდინარე, ნომერ მეორე პრობლემა - უმუშევრობა - უკავშირდება სწორედ ამას. მე ვფიქრობ, რომ აქ სხვა მიდგომებია საჭირო ასეთი განსაკუთრებულად ღარიბი რაიონებისთვის.

და მესამე - რაც ძალიან რთულია ჩემთვის, ეს არის ის უმძიმესი პირობები, რომელშიც არიან მაღაროში დასაქმებული ადამიანები. 3 500 კაცი არის 21-ე საუკუნის შრომითი მონობის მსხვერპლი! ეს შემიძლია, გითხრათ სრული პასუხისმგებლობით. მათი ანაზღაურება კატასტროფულად დაბალია იმ შრომასთან შედარებით, რასაც ეწევიან.

**თეიმურაზ გაფრინდაშვილი**: 1. ეკოლოგიური პრობლემა; 2. მასიური უმუშევრობა, რის გამოც დაცლილია როგორც ჭიათურის სოფლები, ასევე ქალაქი; 3. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა.

რაც შეეხება აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ჩემეულ ხედვას, დავიწყებ ეკოლოგიური პრობლემით, რომელიც ჭიათურაში მუდმივად განხილვის საგანია. არსებობს საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, ასევე, სხვა კანონები თუ ნორმატიული აქტები, რომელიც დაკავშირებულია სამთო წარმოებასთან. აღნიშნული კანონები პრაქტიკოს-ექსპერტების მიერ დახვეწას საჭიროებს. კანონებში დასახვეწია მთელი რიგი ნორმები, რაც საშუალებას მოგვცემს, ჭიათურაში ეკოლოგიური თვალსაზრისით სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს.

რაც შეეხება დასაქმების პრობლემას, კეთილსინდისიერ მეწარმეებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ მათ სახელმწიფო გვერდით უდგათ. ამ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, უნდა გატარდეს ძირეული რეფორმები როგორც კონკრეტული ბიზნესის საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების, ისე საგადასახადო კუთხით.

მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დღეისთვის ჭიათურის ხელისუფლებას, როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო რგოლს, არ გააჩნია ჭიათურის, ჭიათურის სოფლების განვითარების არანაირი გეგმა. როგორც მეწარმეს, მიმაჩნია, რომ უმოკლეს დროში უნდა შემუშავდეს ასეთი გეგმა და იმ სოფლების ან ქალაქის იმ უბნებში, სადაც პრაქტიკულად მთლიანად დანგრეულია გზები, უნდა დაიწყოს ინფრასტრუქტურის ეტაპობრივად აღდგენა, გზების კაპიტალური შეკეთება.

სამუშაოების ნაწილის შესრულება ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსური რესურსით უნდა მოხდეს, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილის მოძიება შესაძლებელია ცენტრალური ბიუჯეტიდან. ამის მოგვარებაში მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად უნდა ჩაერთოს. ვიმეორებ, აქტიურად და არა მოვალეობის მოხდის მიზნით.

**რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება ამომრჩევლისთვის? რა დროში აპირებთ თქვენი დაპირებების შესრულებას? გაგვაცანით მიახლოებითი გრაფიკი.**

**სულხან მახათაძე:** ყოველგვარი პათეტიკურობის გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ჩემზე უკეთ არავინ იცის, რა ესაჭიროება ჭიათურას. უკვე 4 წელია, ხელი მიდევს მუნიციპალიტეტის მაჯისცემაზე. ყველა სოფლის ყველა უბანი ვიცი, ისინიც კი, სადაც ორიოდე ადამიანი შემორჩა. და მე ამ უბნებს არ გავცნობივარ წინასაარჩევნო პერიოდში!

დასასრული მე-14 გვ.

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები

# ფოთის №61 ოლქი

წარმოგიდგენთ იმ მაჟორიტარობის კანდიდატთა ინტერვიუებს, რომლებიც ფოთში იყრიან კენჭს. ესენი არიან **ირაკლი ხახუბია („ქართული ოცნება“), ბექა ბასილაია („ნაციონალური მოძრაობა“), კოტე კემულარია („სახელმწიფო ხალხისათვის“)** და **ლელა ებრალიძე („რესპუბლიკური პარტია“).**

ინტერვიუები მომზადდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ყველა კანდიდატისთვის ძირითადად ერთნაირი იყო. მიღებული პასუხები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს კანდიდატთა პოზიციების შედარება გაუადვილდეს.

გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუების შემოკლებული ვერსიები, ხოლო სრული ინტერვიუები განთავსდება ინტერნეტში ჩვენს საიტზე — **factchek.ge.**



**ირაკლი ხახუბია, „ქართული ოცნება“**



**ბექა ბასილაია, „ნაციონალური მოძრაობა“**



**კოტე კემულარია, „სახელმწიფო ხალხისთვის“**



**ლელა ებრალიძე, „რესპუბლიკური პარტია“**

**კითხვა: რატომ იყრით კენჭს ამ კონკრეტულ ოლქში?**

**ირაკლი ხახუბია**: იმიტომ რომ, „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარ კანდიდატად აქ დამასახელა.

**ბექა ბასილაია**: დავიბადე და გავიზარდე ფოთში. შესაბამისად, მაქვს ამბიცია, ჩემი პოლიტიკური კარიერა მშობლიური ქალაქიდან დავიწყო. ქალაქიდან, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ეკა ბესელიას ფეოდალურმა კლანმა. მიზნად მაქვს, ჩემი ცოდნა, ენერგია, კავშირები ქალაქის განვითარებას მოვახმარო.

**კოტე კემულარია**: ფოთი არის საქართველოს უმნიშვნელოვანესი საზღვაო ქალაქი, რომელიც, ფაქტობრივად, მიტოვებულია როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან და მიმაჩნია, რომ ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, როგორიცაა „პაატა ბურჭულაძე -სახელმწიფო ხალხისთვის“, პირველ რიგში, თავისი ადგილი სწორედ ფოთის განვითარებით უნდა დაიმკვიდროს.

**ლელა ებრალიძე**: ფოთი ჩემი მშობლიური ქალაქია. ყველა პრობლემას, რაც ამ ქალაქს აწუხებს, ზედმიწევნით კარგად ვიცნობ; მამა წარმოშობით ლანჩხუთელი მამის - ცნობილი მსახიობის გიგა ებრალიძის შვილი იყო. დედა მეოთხე თაობა ფოთელია - ცნობილი ცომაიების გვარის წარმომადგენელი.

ოცი წლის მანძილზე ვიყავი რეგიონში პირველი თავისუფალი გაზეთის რედაქტორი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან არც ერთ პოლიტიკურ მოვლენას ჩემს გარეშე არ ჩაუვლია. კარგად ვიცი, რა შეცდომებს უშვებს ცენტრალური ხელისუფლება რეგიონებთან მიმართებაში და რა არის ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის მიზეზი. ვინც ინფორმირებულია, ის შეიარაღებულია. ვფიქრობ, უკვე მზად ვარ, თუნდაც აქტიური, მაგრამ მაინც დამკვირვებლის პოზიცია დავტოვო და აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებებზე გადავიდე.

**ჩამოთვალეთ მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ოლქის ამომრჩევლებს, და არა ზოგადად ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, განსაკუთრებით აწუხებს. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

**ირაკლი ხახუბია**: ჩვენი მთავარი მიზანია „სწრაფი განვითარება“ ყველა მიმართულებით. ის ბუნებრივი რესურსი, რაც ფოთს გააჩნია, მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. ფოთს აქვს მრავალმხრივი განვითარების პოტენციალი. ქალაქს აქვს უნიკალური გეო-პოლიტიკური მდგომარეობა, ჰყავს გამოცდილი მუშახელი, აქვს ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი. ამას დაუმატეთ ადგილობრივი რესურსები აგრო-სამრეწველო მიმართულებით. გვაქვს ტურიზმისა და ბალნეოლოგიური კურორტების განვითარების შესაძლებლობა, სანაოსნო და თევზის რეწვის, გემთმშენებლობის ტრადიციები, საწყალოსნო სპორტის სახეობების განვითარების ბუნებრივი პირობები და კიდევ უამრავი სხვა რამ, რაც თვითდაფინანსებადი ბიუჯეტის ყველა პირობას ქმნის მონდომების შემთხვევაში.

რაც შეეხება პრობლემებს, როცა საკითხი პრობლემად ყალიბდება, ის აღარ შეიძლება იყოს მთავარი და არამთავარი. პრობლემა, ნებისმიერი ზომისა და მასშტაბის, უნდა აღმოიფხვრას. უბრალოდ, არსებობს სწრაფად და მარტივად მოსაგვარებელი და დროში გაწერილი პრობლემები, ანდა ისეთები, რომლებსაც დიდი კაპიტალი ანდა, უბრალოდ, კეთილი ნება სჭირდება. ფოთშიც ზუსტად ასეთი პრობლემების კრებულია. არის უკვე დაწყებული პროექტები და ჯერ კიდევ იდეის დონეზე არსებული თემები.

აღარ ჩამოვთვლი იმ მუნიციპალურ პროექტებს, რომლებიც დაწყებულია და გაგრძელდება. ის, რომ ქალაქს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტადიონი, კინოთეატრი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, საცურაო აუზი, ჯანდაცვის მოწესრიგებული ობიექტები, რომ ადგილობრივმა მეთევზეებმა და მონადირეებმა უნდა შეძლონ თავიანთი საქმიანობის გაგრძელება კანონთან თანხვედრაში, რომ პედაგოგებმა თავი უნდა იგრძნონ დაფასებულად, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა და სოციალურად დაუცველი ადამიანების ცხოვრების პირობები უნდა გაუმჯობესდეს - ამაზე ორი აზრი არ არსებობს და ისედაც გათვალისწინებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გეგმებში. მთავარია, გაიზარდოს ბიუჯეტი. ფოთის მოსახლეობა სულ მალე იგრძნობს იმ მასშტაბებსა და მნიშვნელობას, რომლის მატარებელიც მალთაყვის სანაპირო ზოლის განვითარების პროექტია.

**ბექა ბასილაია**: ძნელია, გამიჯნო კონკრეტული საარჩევნო ოლქის პრობლემები ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემებისგან. საქართველოს მოქალაქეები ერთი ქვეყნის შვილები ვართ, საერთო სატკივარითა და მომავლის გამოწვევებით. ფოთისა და გურიის სოფლების მოსახლეობის მთავარი პრობლემა არის უმუშევრობა, უგზოობა, მძიმე სოციალური ფონი, ეკოლოგიური პრობლემატიკა. გურიის რამდენიმე სოფელს არ მიეწოდება წყალი, მწვავედ დგას გაზიფიცირების საკითხი.

**კოტე კემულარია**: პირველ რიგში, ეს არის სასმელი წყლის მაღალი ტარიფი, ვიდრე ის კანონმდებლობით იყო განსაზღვრული საერთოდ საქართველოში. ჩვენ მიერ ჩატარებული აქციებითა და აქტივობით მივაღწიეთ, რომ უკვე აგვისტოს ბოლოს იძულებული გავხადეთ ფოთის საკრებულო, განეხილა ტარიფის შემცირების საკითხი და მიემართა მარეგულირებელი კომისიისთვის ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მეორე - ეს არის ეკოლოგიური პრობლემა: თევზის ქარხნები თევზის გადამუშავებისას ამოფრქვეული აირით წამლავენ ქალაქის მოსახლეობას. სხვათა შორის, ერთ-ერთი ეკუთვნის სახელისუფლებო პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატს. გარდა აუტანელი სუნისა, ეს აირი შეიცავს ამიაკის, გოგირდწყალბადის და სხვა მომწამვლელი ნივთიერებების მინარევებს, რაც დაუშვებელია ქალაქის ტერიტორიაზე.

ასევე, აუტანელია მდ. კაპარჭინის მდგომარეობა და რაც ყველაზე მთავარია, ნავსადგურში ღია წესით ხდება სპილენძის, ალუმინის ოქსიდის და სხვა ნაყარი ტვირთების დამუშავება, რაც საშინელ შედეგებს იწვევს ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით.

მესამე პრობლემა, თუმცა მე მას პირველ რიგში დავაყენებდი, ეს არის ჰიდროკვანძის სავალალო მდგომარეობა, მისი მწყობრიდან გამოსვლა ძალიან დიდ საფრთხეს უქადის ფოთის მოსახლეობას, შესაძლოა, სერიოზული ტექნოგენური საფრთხე გამოიწვიოს. ეს საკითხი სასწრაფო მოგვარებას საჭიროებს.

შემდეგ პრობლემად გამოვყოფდი არაეფექტურ მმართველობასა და კორუფციას - ქალაქი არის მოუვლელი. მალთაყვაზე, სტადიონზე, სახლების აშენებაზე, სანიაღვრე არხების მოწყობაზე, გზების დაგებაზე, ტროტუარების მოწყობაზე გამოყოფილი სახსრები, ფაქტობრივად, მითვისებულია. თითქმის არც ერთი ეს საკითხი ბოლომდე არ არის მიყვანილი.

საუბედუროდ, ახლა შეაჩერეს საკანალიზაციო ქსელის სამუშაოები, რაც თავისთავად უარყოფითად იმოქმედებს გზებისა და ტროტუარების წესრიგში მოყვანის თვალსაზრისით. აქაც კორუფციასთან და გულგრილობასთან გვაქვს საქმე.

და ბოლო პრობლემა, ეს არის ადგილობრივი ოლიგარქიისა და მთავრობის, ხელისუფლების მოქმედებათა სრული შერწყმა, რაც იწვევს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების საფუძველში მოსპობასა და უმუშევრობას. ესეც სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხია. ქალაქში მოუვლელია საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, რაც მთავრობის აშკარა უნიათობის ბრალია.

**ლელა ებრალიძე**: არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას არ აქვს ქალაქის განვითარებისადმი ჩამოყალიბებული ხედვა. პრიორიტეტები განისაზღვრება იმის მიხედვით, ვინ მოდის ხელისუფლების სათავეში.

საჭიროა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ექსპერტების ჯგუფის მიერ შემუშავდეს ქალაქის განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია მისი პოტენციალიდან გამომდინარე. ამის პრეცედენტი არსებობდა 90-იან წლებში, მაგრამ შექმნილი დოკუმენტი დარჩა ქაღალდზე და ასახვა ვერ ჰპოვა ვერც ადგილობრივ ბიუჯეტში და ვერც ცენტრალური ბიუჯეტიდან ქაოსურად გამოყოფილ ტრანსფერებში, რომელთა ეფექტურად ათვისებას ადგილობრივი ხელისუფლება მეტწილად ვერ ახერხებდა, რის გამოც თანხები უკან ბრუნდებოდა.

დღეს ფოთში ორი დიდი პროექტია დაწყებული და ორივე შეჩერებულია ტენდერების არასწორად ჩატარების გამო. ეს გახლავთ სანაპირო ზოლისა და კანალიზაციის სისტემის მოწყობა. ორივე შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ხარისხი წინასწარ გაცემული თანხების შესაბამისი არ არის. ეს ორი ფაქტი კარგი მაგალითია იმისა, რომ ტენდერების არასწორად ჩატარების მანკიერი პრაქტიკა კორუფციული გარიგებებისთვის კარგ ნიადაგს ქმნის. ანუ კანონმდებლობა, ამ მხრივ, დასახვეწია, ისევე, როგორც დასახვეწია ზედამხედველობის მექანიზმები.

პრობლემაა თევზის გადამამუშავებელი საწარმოების, თევზსაჭერი სეინერებისა და ნავსადგურის მხრიდან გარემოს დაბინძურების პრობლემა - იქნება ეს ჰაერში ნივთიერებების გაფრქვევა, თუ საწარმოო ნარჩენების უტილიზაცია. გამოსავალი ერთადერთია - კანონის გამკაცრება, ახალი რეგულაციების შემოღება, მუდმივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნა მერიისა და ხელისუფლების გავლენებისგან თავისუფალი არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოებისა და შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მონაწილეობით.

დიდი ზომის გემები (ძირითადად, ტანკერები) ბალასტად იყენებენ წყალს, რომელსაც დატვირთვის შემდეგ ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე პირდაპირ უშვებენ შავ ზღვაში, რაც იწვევს მის დაბინძურებასა და სხვადასხვა ინფექციებისა და დაავადებების გავრცელებას. აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციების შემოღება ასეთი წყლების აუცილებელი ფილტრაციის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ დონეზე საუბარი საზღვაო ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით არასერიოზულია.

ჯანდაცვის სფეროში მიღწეული პროგრესი ნაკლებად აისახება ფოთელებსა და მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებზე, ვინაიდან ფოთში არ არსებობს მეტ-ნაკლებად ნორმალურად აღჭურვილი სტაციონარი და კლინიკა, სადაც რეციპიენტები შეძლებენ სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობას. ამისთვის მათ ქუთაისში, ბათუმსა თუ თბილისში უწევთ გამგზავრება, რის გამოც იზრდება ხარჯები და ხშირ შემთხვევაში მკურნალობა დაგვიანებულია. პრობლემის აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უკვე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან ინტენსიური მუშაობა იმის გასარკვევად, რა უშლით ხელს და რატომ არ არიან დაინტერესებული, განავითარონ უკვე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიზიდონ კადრები (რიგ მიმართულებებში სპეციალისტი ქალაქს საერთოდ არ ჰყავს), უკვე შემდეგ შეიძლება პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

ამ პროცესში საჭიროა შესაბამისი საპარლამენტო კომისიის, ჯანდაცვის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და თავად სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენელთა ჩართვა.

**რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირებები ამომრჩევლისთვის? რა დროში აპირებთ დაპირებების შესრულებას? გაგვაცანით მიახლოებითი გრაფიკი.**

**ირაკლი ხახუბია**: ჩვენს გეგმებშია ფოთის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის ნაწილის სწრაფი ეკონომიკური განვითარება ტურიზმისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხარჯზე. ოპტიმალური მსხვილი ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების განხორციელება. გვაქვს ასეთი 3-4 პროექტი, რომელთათვისაც ტრანსფერებისა და გრანტების მოძიებას პირველ რიგში ვაპირებთ.

გეგმაში გვაქვს ფერმერული და კოოპერატიული პროექტების მხარდაჭერა და სხვადასხვა სახის წარმოების სტიმულირება სტარტაპების დონეზე. ჩვენ უნდა შევქმნათ ხელმისაწვდომი და ადაპტირებული გარემო ყველასთვის და ორიენტირი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე გვაქვს, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ განვითარებასა და კეთილდღეობაში.

ჩვენი მიზანია, დავაფასოთ პენსიონერები და გავაძლიეროთ ახალგაზრდები. ამ მიმართულებით „ქართული ოცნების“ გუნდი უკვე მუშაობს კონკრეტული პროექტებით თუ კანონპროექტებით. ჩვენი მიზანია, სწრაფად განვვითარდეთ და ერთად შევქმნათ თითოეულის კეთილდღეობა.

**ბექა ბასილაია**: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რის შემდეგაც მომდევნო 4 წლის მანძილზე მკვეთრად გაუმჯობესდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. უკვე პირველი ნოემბრიდან პენსია 50 ლარით გაიზრდება. მასწავლებლების ხელფასი მინიმუმ 650 ლარი იქნება, უსამართლოდ მოხსნილი სოციალური დახმარებები აღდგება.

მომდევნო 4 წლის მანძილზე ფოთში აშენდება სპორტის სასახლე, საფეხბურთო სტადიონი, საცურაო აუზი, გადაიჭრება გზების პრობლემა, მოწესრიგდება სანიაღვრო სისტემები, განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, ინდუსტრიული მიმართულებით ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება. გურიის სოფლებში უგზოობისა და უწყლობის პრობლემები გადაიჭრება.

**კოტე კემულარია**: ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემის გადაწყვეტის სისრულეში მოყვანა და პლუს ფოთის სტატუსის შესახებ კანონის პარლამენტში გატანა. და ეს ყველაფერი პირველ ოთხ წელიწადში უნდა მოგვარდეს.

დასასრული მე-14 გვ.

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები
# რუსთავის №29 ოლქი

„ფაქტ-მეტრი“ წარმოგიდგენთ ინტერვიუებს რუსთავის №29 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის 4 ძირითად კანდიდატთან. ესენი არიან: **პაატა მხეიძე („ქართული ოცნება“), მამუკა ჩიქოვანი („ნაციონალური მოძრაობა“), ნოდარ ყურაშვილი („ეროვნული ფორუმი“)** და **დავით ძაგნიძე („სახელმწიფო ხალხისთვის“).**

ინტერვიუები მომზადდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ყველა კანდიდატისთვის ძირითადად ერთნაირი იყო. მიღებული პასუხები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს კანდიდატთა პოზიციების შედარება გაუადვილდეს.

გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუების შემოკლებული ვერსიები, ხოლო სრული ინტერვიუები განთავსდება ინტერნეტში ჩვენს საიტზე — **factchek.ge.**



**პაატა მხეიძე,**
**„ქართული ოცნება“**



**მამუკა ჩიქოვანი,**
**„ნაციონალური მოძრაობა“**



**ნოდარ ყურაშვილი,**
**„ეროვნული ფორუმი“**



**დავით ძაგნიძე,**
**„სახელმწიფო ხალხისთვის“**

**კითხვა: რატომ იყრით კენჭს ამ კონკრეტულ ოლქში?**

**პაატა მხეიძე** („ქართული ოცნება“): რუსთავში დაიწყო ჩემი შრომითი ბიოგრაფია. მე აქ ვიყავი ზეინკალი, ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი და სახელმწიფო მოხელეც. ახლაც სიამაყით მავსებს ღირსეული ქართველის, ჟიული შარტავას გვერდით გატარებული საინტერესო და საქმიანად დატვირთული დრო.

აქ ვნახე კაცები ჩვენი მამების თაობიდან, აქ შეიქმნა ჩემი ოჯახი, აქ შევიძინე მეგობრები, ახლობლები, რომლებიც დღემდე მომყვებიან და მიძლიერებენ რუსთაველობის განცდას. მე მათთვის ვალი მაქვს დასაბრუნებელი, ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ უკეთესი რუსთავი.

**მამუკა ჩიქოვანი** („ნაციონალური მოძრაობა“): დავიბადე და გავიზარდე ქ. რუსთავში, ვცხოვრობ ამ კონკრეტულ ოლქში, ვიცი აქ მცხოვრები ხალხის ყველა პრობლემა და სატკივარი. ვიცი, რა საჭიროებებია და რა საკითხებია მოსაგვარებელი ამ ოლქში და, ზოგადად, რუსთავში. მაქვს კონკრეტული გეგმა და გამარჯვების შემდეგ დავიწყებ ამ პრობლემების მოგვარებას იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც ყოველდღიურად ვხვდები ქალაქში.

**ნოდარ ყურაშვილი** („ეროვნული ფორუმი“): ვარ რუსთავის მკვიდრი და კარგად ვიცი ჩემი ქალაქის მოსახლეობის პრობლემები. ეს ის საერთო ეროვნული თემებია, რომელიც უშუალოდ მეხება მეც და მაქვს ჩემი ხედვა, როგორ უნდა გადაიჭრას კომპლექსურად.

**დავით ძაგნიძე** („სახელმწიფო ხალხისთვის“): ვარ ძირძველი რუსთაველი. კარგად ვიცნობ რუსთავის პრობლემებს. მაქვს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება. მივიღე შემოთავაზება და დავთანხმდი ამ რთულ გამოწვევას.

**ჩამოთვალეთ მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ოლქის ამომრჩევლებს განსაკუთრებით აწუხებთ. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

**პაატა მხეიძე**: რუსთაველებს, ისევე როგორც, ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, დასაქმების პრობლემა აწუხებთ. ეს იქნება ჩემი პროგრამის მთავარი ნაწილიც. ახალი ინვესტიციების მოძიების გზით რუსთავს უნდა დავუბრუნოთ ძველი, ინდუსტრიული ქალაქის სტატუსი. ჩემი კამპანიის ძირითადი ლეიტმოტივი იქნება დადებითი გამოცდილებით დაბრუნებული რუსთაველების ჩართვა რუსთავის აღმშენებლობაში, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა თაობასთან ერთად.

ერთ-ერთი პრობლემა სოციალურად დაუცველთათვის სარეიტინგო ქულების მინიჭების კრიტერიუმებია. სოციალურად დაუცველი თავშესაფრის მაძიებელი მოსახლეობის პრობლემის მოგვარება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება. ცენტრალურ ხელისუფლებასთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით, მოვიზიდავთ თანხებს სოციალური საცხოვრისების ასაშენებლად. რუსთავის მერიას უკვე შემუშავებული აქვს სოციალური საცხოვრისის პროექტი, რომლის მშენებლობა, სავარაუდოდ, წლის ბოლოს დაიწყება. ცხადია, ერთი შენობა ვერ მოხსნის თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემას ქალაქში და ამ მიმართულებით საქმიანობა მომავალშიც გაგრძელდება.

**მამუკა ჩიქოვანი**: იმის მიღმა, რომ ყველას სატკივარი კიდევ უფრო გაზრდილი უმუშევრობაა, კიდევ უფრო დამძიმებულია სოციალური ფონი - გაზრდილი ფასები და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

ამ ოლქში, ასევე, არის მოუწესრიგებელი საცხოვრისის პრობლემები, მოუწესრიგებელი ეზოები, უბნები, სადარბაზოები, გზები და ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომ ძალიან ბევრი ადამიანია ჩვენ გვერდით, ვისაც არ აქვს საცხოვრებელი.

**ნოდარ ყურაშვილი**: ჩემი ოლქის ამომრჩეველს, პირველ რიგში, აწუხებს ის პრობლემები, რაც საერთოა ქვეყნის მოსახლეობისთვის: უმუშევრობა, სიღარიბე, ჯანმრთელობა, გარე მიგრაცია და სხვა. ეს მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ინსტიტუციონალური დეტერმინანტებით.

სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორების პოლიტიკას შორის ურთიერთკავშირი - მაგალითად, დასაქმება, ჯანდაცვა, შემოსავლების სტაბილურობის ხელშეწყობა, სოციალური უზრუნველყოფა, საცხოვრებელი პირობები და განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის რეგიონის ქვეყნებში (და სხვაგანაც). ამ პრობლემების გადაჭრის გზა კი „ეროვნულ ფორუმს“ ჩამოყალიბებული აქვს თავის წინასაარჩევნო პროგრამაში და ის განთავსებულია მის ოფიციალურ ვებგვერდზე (ფორუმი.გე).

**დავით ძაგნიძე**: რუსთავი არის ინდუსტრიული ქალაქი, ამიტომ აქ ყველაზე მეტად იგრძნობა: 1) უმუშევრობა; 2) მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური გაჭირვება; 3) ქალაქში არ არსებობს კინოთეატრი, სპორტის სასახლე (მცირე მაინც), ახალგაზრდული შემეცნებითი გასართობი ცენტრი.

**რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირებები ამომრჩევლისთვის? რა დროში აპირებთ თქვენი დაპირებების შესრულებას? გაგვაცანით მიახლოებითი გრაფიკი.**

**პაატა მხეიძე**: ჩვენ უნდა გავაჩინოთ ნდობა, სიახლეებისა და მოსალოდნელი პერსპექტივების თვალსაზრისით, ამავდროულად, სწორად და სამართლიანად უნდა შეფასდეს განვლილი საქმიანობა, ხოლო პროგნოზები ნათელი და ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ. დღევანდელი არჩევნების მთავარ გამოწვევად რჩება მოსახლეობაში ნდობისა და ქვეყნის, ქალაქის აღმშენებლობაში მათი აუცილებელი მონაწილეობის განცდის გაჩენა.

რუსთავი იყო ქალაქი, სადაც თავს იყრიდა უდიდესი ქართული საინჟინრო და სამრეწველო პოტენციალი და მან უნდა დაიბრუნებს თავისი მნიშვნელობა და როლი. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ შემუშავებული გვაქვს ახალი ინიციატივები და გეგმები. მალე საზოგადოებას წარვუდგენთ მაჟორიტარის საპროგრამო დოკუმენტს, რომელიც იქნება თანამედროვე რუსთავის კონცეფციის ნაწილი. საზოგადოებას შევთავაზებთ რამდენიმე საინტერესო ინიციატივას, მოქმედებათა დროში გაწერილ გეგმას, რომელიც გულისხმობს მასშტაბურ ცვლილებებს ეკონომიკის, ურბანული განვითარების, ინფრასტრუქტურის, სოციალური პოლიტიკის, დასაქმების, ახალგაზრდობის მხარდაჭერის, სპორტის, კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულებით. ჩვენ შევქმნით თანამედროვე რუსთავის კონცეფციის ფუნდამენტს, რომელიც უნდა შეივსოს და დაიხვეწოს დარგის პროფესიონალი ჩვენი თანაქალაქელების, ახალგაზრდა თაობის ნოვატორული ხედვებითა და ინიციატივებით.

**მამუკა ჩიქოვანი**: 2017 წელსვე ჩვენ შევქმნით 15 000 სამუშაო ადგილს; დონორებთან ერთად ავაშენებთ სოციალურ სახლებს (2017 წელს დავაკმაყოფილებთ 400 ოჯახს ); პენსია გაიზრდება 50 ლარით და ეს მოხდება გამარჯვებისთანავე. ამოქმედდება მგზავრობის სტუდენტური ტარიფი - 0.75 ლარი (იანვარი), ყველა იმ ოჯახს, ვისაც სოციალური დახმარება მოეხსნა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, აღუდგება ნოემბერში.

2017 წელსვე შევამცირებთ გადასახადებს: საშემოსავლო გადასახადი - 15%-მდე, განაწილებული მოგების გადასახადი - 10% მდე, 90 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ინდმეწარმე არ დაიბეგრება.

200 000 ლარის მქონე ბიზნესი მცირე ბიზნესად ჩაითვლება და შესაბამისად დაიბეგრება. ის რუსთაველები, რომელსაც აქვთ საბალე მიწის ნაკვეთები და მოწმობები (იალღუჯის მთა, გორის ქუჩა, ჭყონდიდელის დასახლება), დეკემბრამდე შეძლებენ საკუთრების რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

შესაბამისი ტერიტორიების კეთილმოწყობისთვის დავხარჯავთ 8 მილიონ ლარს და უზრუნველვყოფთ წყლის, საავტომობილო გზისა და ყველა სხვა საჭირო კომუნიკაციის მშენებლობას (2017-2018 წლები). მოვახდენთ საგადასახადო ამნისტიას გამარჯვებისთანავე, 2017 წელსვე გავზრდით სასკოლო ვაუჩერს 50%-ით, რაც გაზრდის მასწავლებლის ხელფასს.

2017 წელსვე გავაგრძელებთ ყველა დიდ სამშენებლო პროექტს, რაც ამ ხელისუფლებამ შეაჩერა.

**ნოდარ ყურაშვილი**: ჩვენი მთავარი დაპირება ამომრჩევლისადმი არის სისტემური ხასიათის ცვლილებების განხორციელება იმისთვის, რომ მოგვარდეს კონკრეტული პრობლემები - იქნება ეს ეკონომიკაში, გარემოს დაცვაში, განათლებაში თუ სხვა სფეროებში. ჩვენ თუ მოგვეცემა შესაძლებლობა, პირველ რიგში, შევცვლით საერთო მიდგომებს, მართვის სისტემას, დამოკიდებულებას ხალხისადმი, საქმისადმი, ქვეყნისადმი. ყოველივე ამის განხორციელება დაიწყება პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილების ცნობის დღიდანვე და ჩვენი პროგრამით გათვალისწინებული სისტემური ცვლილებების განხორციელება მოხდება ეტაპობრივად.

**დავით ძაგნიძე**: პარტიის პროგრამიდან გამომდინარე, საშემოსავლო გადასახადის 10 პროცენტამდე შემცირება, მოგების გადასახადის 10 პროცენტამდე შემცირება, ქონებისა და იმპორტის გადასახადების გაუქმება. სოციალური დახმარების მიღების 4-წლიანი გარანტია. 1 მილიონი ადამიანი შეინარჩუნებს სოციალურ სტატუსს და უამრავი სხვა ინიციატივები.

დაპირებების შესრულება დაიწყება პარლამენტში მოხვედრის პირველივე დღიდან.

**რომელი კანონების ინიცირებას გეგმავთ პარლამენტში თქვენს საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით?**

**პაატა მხეიძე**: ზემონახსენები კონცეფციის ნორმატიული კომპონენტი მაჟორიტარი დეპუტატების მიერ წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივების სახით. პროგრამის ის ნაწილი, რომელიც მოითხოვს სამთავრობო დაწესებულებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ჩართულობას, რეალიზებული იქნება ჩვენი პოლიტიკური გუნდის წევრთა მიერ და ამას უზრუნველვყოფთ საერთო პასუხისმგებლობითა და თანამშრომლობით.

უახლოეს პერიოდში საკანონმდებლო ორგანოში დავაყენებთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭების წესის გამარტივების საკითხს.

გარდა ამისა, ჩვენი მიზანია, რუსთაველებს მაქსიმალურად გავუმარტივოთ ქონების დაკანონებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები. ამჟამად შემუშავების ეტაპზეა საკანონმდებლო ინიციატივები წლების წინათ მიღებული მიწის ნაკვეთებისა და იმ ბინების პრივატიზების პროცესის გამარტივებასთან დაკავშირებით, რომლის დაკანონებასაც მოსახლეობა დღემდე ვერ ახერხებს. მარტივდება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურებიც. ავამუშავებთ სპეციალურ კომისიას, რომელიც თითოეული მოქალაქის საკითხს ინდივიდუალურად განიხილავს.

**მამუკა ჩიქოვანი**: 1 200 ჰექტარზე ამოქმედდება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ კანონი, რაც მთელი რიგი გადასახადების გაუქმებას ითვალისწინებს საწარმოებისთვის.

**ნოდარ ყურაშვილი**: ჩვენი მიდგომები სწორედაც რომ გულისხმობს საკანონმდებლო ინიციატივებს. კერძოდ, ეკონომიკური სისტემის რეფორმა და ინსტიტუციური ცვლილებები - ხელისუფლების რეალური დეცენტრალიზაცია; ცენტრალური ხელისუფლების სტრუქტურების რეფორმა და პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა; დიფერენცირებული საგადასახადო სისტემა; მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა; კონკურენციის ხელშეწყობისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკა; ასევე, ცვლილებების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: განათლება და მეცნიერება; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები; ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები; მიწის რესურსი; ტყის რესურსი; ჯანმრთელობის დაცვა; სოციალური დაცვა; საპენსიო უზრუნველყოფა; იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები და მიგრაცია; სასამართლო რეფორმა. შესაბამისად, ეს შეეხება რუსთავსაც.

**დავით ძაგნიძე**: შრომის კანონმდებლობაში, საერთო სასამართლოების შესახებ კანონმდებლობაში და სხვა.

**იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გახდებით პარლამენტის წევრი, რა ინტენსივობით და როგორ გააგრძელებთ ამომრჩეველთან კომუნიკაციას?**

**პაატა მხეიძე**: პირველ რიგში, იარსებებს სისტემა, რომელიც მაჟორიტარისა და ამომრჩევლის ურთიერთობის ფორმებს დაარეგულირებს. ამასთან ერთად, წამოჭრილი სპეციფიკური საკითხების და მიმდინარე საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებით გვექნება შესაბამისი კომუნიკაცია და ჩართულობა.

**მამუკა ჩიქოვანი**: ყოველი არასაპარლამენტო კვირა დაეთმობა ამომრჩეველთან შეხვედრებს უბნებში, ოჯახებში მისვლით ადგილზე მოვაგვარებთ მათ პრობლემებს.

**ნოდარ ყურაშვილი**: ჩემი ოლქის ამომრჩევლებთან მექნება საკმაოდ ხშირი კომუნიკაცია, რათა ისინი ყოველთვის საქმის კურსში იყვნენ ჩემი საქმიანობის შესახებ. შეხვედრის დღეები წინასწარ იქნება დადგენილი და ამომრჩეველი ინფორმირებული იქნება ამის შესახებ.

**დავით ძაგნიძე**: ვცხოვრობ რუსთავში, აქვე ვსაქმიანობ, აქვეა ჩემი ოჯახიც, შვილები და შვილიშვილები. ყოველდღიური შეხება მაქვს რუსთაველებთან და პარლამენტში მოსვლის შემდეგაც აუცილებლად გავაგრძელებ ჩემს თანაქალაქელებთან ყოველდღიურ ურთიერთობას. ერთადერთი, რაც შეიცვლება, არის ის, რომ მე მომეცემა დამატებითი ბერკეტები მათი პრობლემების გასაჟღერებლად და გადასაჭრელად.

**მანონ ბოკუჩავა**

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები ფოთის №61 ოლქი

მე-12 გვერდიდან

**ლელა ებრალიძე**: ნომენკლატურულ კლანს დავშლი პირველივე დღეს - იმით, რომ, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, უარს ვიტყვი წინამორბედის მიერ ქალაქის ინტერესების უგულებელყოფით შეკრულ წრეებთან კანონის ჩარჩოდან გასულ თანამშრომლობაზე. რამდენიმე თვე დამჭირდება იმის ბოლომდე გასარკვევად, იხარჯებოდა თუ არა ბიუჯეტი მიზნობრივად, ტენდერები ეტეოდა თუ არა სამართლებრივ ჩარჩოში და ყველა გადაცდომა იქნება რეაგირებული. თუ საჭირო გახდა, მივმართავ სამართალდამცავ ორგანოებსაც. ყველა მოპოვებულ მასალასა და დოკუმენტს გავხდი საჯაროს.

რაც შეეხება დაპირებების შესრულებას, პარლამენტის რეგლამენტსა და მუშაობის გრაფიკზე გარკვეულად ვიქნები დამოკიდებული, მაგრამ ყველა ინიციატივას კანონის თუ კანონში ჩასწორების სახით, პირველივე წელს შევიტან.

ამ საკითხთა ნუსხაში აუცილებლად იქნება თევზჭერა და მეთევზეების პრობლემები. ბიზნესგარემოს ლიბერალიზაცია და თევზის გადამუშავების საწარმოების კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევა. ასევე, პირველივე წელს ვეცდები, დავარეგულირო ფოთელი და გურული მოქალაქეებისთვის გართულებული ჯანდაცვის საკითხები, რათა მოქალაქეებმა საყოველთაო დაზღვევის ათვისება მთელი პაკეტით შეძლონ.

პირველივე წელს მოვითხოვ ქალაქის ბიუჯეტში ფოთში დარჩენილი ახალგაზრდობის დისტანციური მაღალტექნოლოგიური სწავლებისთვის აუცილებელი სახსრების ჩადებას, რაც დაფინანსდება ბიუჯეტში არსებული ხარვეზებისა და არამიზნობრივი ხარჯების ხარჯზე. დაახლოებით უკვე ვიცი, რა სფეროებში და რა წესით გაიწერება არასწორად ქალაქის ბიუჯეტი.

იგივეს მოვითხოვ გურიის ბიუჯეტიდან და ვითანამშრომლებ გურიის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებთან ამ საკითხების ბოლომდე გასატანად.

ზოგადად, ჩემი ფორმატი იქნება თანამშრომლობა ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობასთან - პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა და საკითხის გასატანად მზად ვარ, ყველაზე მიუღებელ პოლიტიკურ ძალებთანაც ვითანამშრომლო კორექტულობის ფორმატში. თუ საკითხის გადაწყვეტის მომენტში რომელიმე ძალა პოლიტიკურ ელფერს შესძენს სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებს და შეეცდება, ივაჭროს, გპირდებით, არ გავჩუმდები და პარლამენტის ტრიბუნას აუცილებლად გამოვიყენებ ჩემი ამომრჩევლების ინტერესების დასაცავად. ამომრჩევლებთან ერთად, ღიად და საჯაროდ ბოლომდე გავიტან მსგავს თემებს.

**რომელი კანონების ინიცირებას გეგმავთ პარლამენტში თქვენს საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით?**

**ირაკლი ხახუბია**: ჯერჯერობით ამაზე კონკრეტული საუბარი ნაადრევია, მაგრამ აქტიურად ჩავერთვები რეგიონალური განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებულ ყველა კანონპროექტის მომზადებაში. ფოთი უნდა გახდეს რეალურად თვითმმართველი ქალაქი თვითდაფინანსებადი ბიუჯეტით. ჩემი დიდი სურვილია, ფოთმა მიიღოს განსაკუთრებული ქალაქის სტატუსი.

**ბექა ბასილაია**: კანონმდებლობაში ცვლილებებია გასატარებელი, რაც ხელს შეუწყობს ფოთში ეკონომიკურ ზრდას. დაბალი გადასახადები, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მეტი თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან ფოთსა და გურიის სოფლებს - აი, ამ მიმართულებით ვაპირებთ საკანონმდებლო ცვლილებების გატარებას.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია ადგილობრივ მეთევზეთა და მონადირეთა სამართლიანი ინტერესების ასახვა საკანონმდებლო დონეზე.

**კოტე კემულარია**: კანონი ფოთის შესახებ და ცვლილებები თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონში, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ფოთის საკრებულოს და, ზოგადად, საკრებულოებს, თვითონ ჩამოაყალიბონ ბიუჯეტი და განკარგონ ადგილობრივი საჭიროების მიხედვით.

**ლელა ებრალიძე**: პირველ რიგში, ეს იქნება ცვლილებები საქართველოს კანონებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ, ნარჩენების მართვისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში.

**იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გახდებით პარლამენტის წევრი, რა ინტენსივობით და როგორ გააგრძელებთ ამომრჩეველთან კომუნიკაციას?**

**ირაკლი ხახუბია**: ამომრჩეველთან კომუნიკაცია იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის საარჩევნო კამპანიის პერიოდში, სასიამოვნოც და სასარგებლოც, რომ ეს კონტაქტი დასაკარგი არაა. პირიქით, ის უნდა იყოს მუდმივ რეჟიმში.

ამომრჩევლისთვის ნამდვილად არ ვიქნები კაბინეტში გამოკეტილი და საძებნელი. ადგილობრივი ბიუროც იმუშავებს მაქსიმალური დატვირთვის რეჟიმში, სადაც იქნებიან ოზურგეთისა და ლანჩხუთის წარმომადგენლებიც.

**ბექა ბასილაია**: მე მჯერა ჩვენი ამომრჩევლების და, ასევე, მჯერა, რომ მხარს დაუჭერენ აღმშენებლობას. მე მათ გვერდით ვარ ახლა და ვიქნები გამარჯვების შემდეგაც. მე და ჩემს ამომრჩეველს ერთმანეთთან უწყვეტი კომუნიკაცია გვექნება.

**კოტე კემულარია**: მე მექნება მაჟორიტარის ბიურო, სადაც ჩემი ძალიან ძლიერი გუნდი მუდმივ რეჟიმში იმუშავებს ჩვენს ამომრჩევლებთან და მათი მოწვევით პირადად შევხვდები ამომრჩეველს ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად.

**ლელა ებრალიძე**: არ ვაპირებ, რომ მაჟორიტარის ბიურო განთავსდეს მერიის შენობაში, რომელიც მუდმივად მიუწვდომელი იქნება ამომრჩევლებისთვის, ვაპირებ პერმანენტულად გავაგრძელო უშუალო კონტაქტი მათთან იმის მიხედვით, რის საშუალებას მომცემს საპარლამენტო მუშაობის გრაფიკი.

კომუნიკაციის ყველა არსებული საშუალებით ვიქნები ჩემს ამომრჩევლებთან პირდაპირ ხაზზე, შუამავლების გარეშე.

**თამარ შონია**

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები ჭიათურის №56 ოლქი

მე-11 გვერდიდან

აუცილებელია, დაიხვეწოს სოციალური შემწეობის გაცემის, მაღალმთიანობის, მიწით სარგებლობის, მეწარმეობის, თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობა. ჩემ მიერ აუცილებლად იქნება ისეთი საკანონმდებლო ინიციატივები ინიცირებული ან მხარდაჭერილი, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანებს, იცხოვრონ უფრო დაცულად და გარანტირებული იყოს მათი ფუნდამენტური უფლებები. ეს ყველაფერი უნდა მოესწროს ჩემი პარლამენტარობის პერიოდში.

გეტყვით ერთს სამაგალითოდ. არსებობს პროექტი „დანერგე მომავალი“, რომლის მიხედვითაც საჭიროა 5 ჰექტარი მიწის ფლობა, რომ ბენეფიციარმა მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება. მცირემიწიან მუნიციპალიტეტებში ეს 1 ჰექტარზეც დაუშვა სახელმწიფომ. სამწუხაროდ, ჭიათურა მათ შორის არ მოხვდა. არადა, ვინც იცის, ჭიათურა ერთ-ერთი მცირემიწიანი მუნიციპალიტეტია. თან ამას ემატება ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება. ასეთი უამრავი ნიუანსია მოსაგვარებელი.

ჭიათურას უნდა ჰქონდეს პერსპექტივა მანგანუმის მარაგის ამოწურვის შემდეგაც. ჩაის რეაბილიტაცია პირველად ჭიათურიდან დაიწყო სახელმწიფო პროგრამით, თუმცა, ეს არ კმარა. ყველამ იცის, მწირი ნიადაგიც გონიერი აგრარიკოსის ხელში დიდი რესურსია. ამის მაგალითია უდაბნო სახელმწიფო ისრაელი და ყინულით დაფარული ფინეთი და ისლანდია.

**გოგი ჩიკვილაძე**: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება რაიონში პრიორიტეტების მიხედვით და დასაქმების ხელშეწყობა. მათ გადაწყვეტაზე მუშაობა დაიწყება დაუყოვნებლივ, „ენმ“-ის საპარლამენტო ჯგუფთან ერთად და მისი პროგრამის მიხედვით.

**მალხაზ წერეთელი**: წინასაარჩევნო დაპირებაა ყველა იმ პრობლემის მოგვარებისთვის ბრძოლა, რისთვისაც ვიბრძოდი მანამდე. მოგვარების დრო დამოკიდებულია ცენტრალური ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს გამართულ და ინტენსიურ მუშაობაზე.

ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას გარემოსდაცვის კანონპროექტთა პაკეტზე, რომელიც მზადდება სამინისტროში.

ჩემი წინადადება გაგზავნილი მაქვს შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების თაობაზე, სადაც მაღაროელთა ინტერესებია გათვალისწინებული.

ორი წელია, ვთანამშრომლობ საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტთან, წარდგენილი მაქვს წინადადებები მძიმე სამუშაოზე დასაქმებულთათვის საპენსიო ასაკის დაწევაზე, ასევე, ამ დარგში დასაქმებულთათვის დაგროვებით საპენსიო სისტემაში დამსაქმებლის მხრივ განსხვავებული თანადაფინანსება და სხვა.

გაგზავნილი მაქვს ფინანსთა სამინისტროში თხოვნა, რომ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინონ რეგრესის პენსიონერთა 2007-13 წლების კომპენსაცია.

ორი წელია, ვთხოვ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომ შეიქმნას კომპლექსური კომისია, რათა დაიდოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის გადარჩენა-განვითარების გეგმა.

სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფისთვის საჭიროა სუბსიდირება. თვითმმართველობას არ შეუძლია, მარტო გაუმკლავდეს ამ პრობლემას.

**ანი მიროტაძე**: როგორც კი მე-9 მოწვევის პარლამენტი დაიწყებს მუშაობას, ვაპირებ, შევიდე პირველი ინიციატივით, რაც ისეთი რაიონებისთვის, როგორიცაა ჭიათურა, ზესტაფონი, ტყიბული, ბოლნისი და ა.შ... იმ რაიონებისთვის, რომლებიც ითვლება მძიმე მრეწველობის ქალაქებად და იქ შემოსავლიანობა დაბალია (ვგულისხმობ მცირემიწიანი და დაბალმოსავლიანი ნიადაგების გამო), არის ეკოლოგიური პრობლემები (რაც ითხოვს განსაკუთრებულ ხელშეწყობას ადამიანებისთვის, რათა მათი ჯანმრთელობა არ დაზიანდეს ასე უსაშველოდ) - მოვითხოვ, რომ ასეთ რაიონებზე იზრუნოს სახელმწიფომ და შეიმუშაოს სპეციალური სტატუსი.

იქნება გარკვეული შეღავათები, რაც უკავშირდება, მაგალითად, მაღაროში დასაქმებულ ადამიანებს - როგორი უნდა იყოს მათი საპენსიო ასაკი, როგორი უნდა იყოს მათი პენსია, უნდა იყოს თუ არა გათანაბრებული ჩვეულებრივ, საყოველთაო პენსიასთან და რომ არ უნდა იყოს, რატომ არ უნდა იყოს - ამას დავასაბუთებ. რა შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ასეთ შემთხვევაში - კაცი მაღაროში რომ მუშაობდა 20 წელი, იმას 180 ლარის პენსია უნდა მიეცეს? გარდა ამისა, განსხვავებული და განსაკუთრებული ჯანდაცვის პაკეტით უნდა სარგებლობდნენ ეს ადამიანები. ეს აუცილებელია.

ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამ ქალაქს ჰქონდეს საავადმყოფო. იმიტომ კი არა, რომ ეს ახირებაა, იმიტომ კი არა, რომ ვინმეს თავმოყვარეობას ლახავს ის, რომ ამ ქალაქში საავადმყოფო არ არის ნორმალური, ამ ქალაქს საავადმყოფო სჭირდება. ადამიანები მუშაობენ ურთულეს პირობებში, ურთულეს გარემოში, სადაც ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზიანების რისკი არის ძალიან მაღალი.

მაღაროში დასაქმებული ადამიანების გარდა, ზემონახსენები ეკოლოგიური პრობლემების გამო, ჩვეულებრივ, აქ მცხოვრები ადამიანები ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას. ვფიქრობ, რომ მათი დახმარება ცოტა განსხვავებული უნდა იყოს, განსხვავებული გარემო უნდა შევთავაზოთ.

**თეიმურაზ გაფრინდაშვილი**: ვაპირებ, აქტიურად ჩავერთო ჭიათურის თითოეული სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის პრობლემატიკის მოგვარებაში. ვაპირებ, რომ მაჟორიტარს ჭიათურის 64-ივე სოფელში ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. ეს იქნება ანაზღაურებადი სამუშაო, ხოლო სოფლებში მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი პირები შეირჩევიან, რომლებიც მოქალაქეების ნებისმიერ პრობლემას მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში ჩამოიტანენ და მერწმუნეთ, ეს პრობლემები არ დარჩება თაროზე შემოდებული.

ჩვენ გვინდა ამით ამომრჩეველს კომფორტი შევუქმნათ მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან ურთიერთობაში. მე ასე მწამს, რომ, თუ ადამიანს დაჰპირდები, უნდა დაეხმარო და პრობლემა მოუგვარო. თუ არ შეგიძლია ამის გაკეთება, ისიც უნდა უთხრა და არ მოატყუო, ორი და ხუთი კვირის შემდეგ გაგიკეთებო.

გარდა ამისა, მაჟორიტარობის შემთხვევაში ვაპირებ ჭიათურის განვითარების ფონდის აღდგენას. ეს ფონდი დაახლოებით 4 წლის წინათ დავაფუძნეთ ჭიათურელმა მეწარმეებმა და სერიოზული შენატანებიც გავაკეთეთ. ამ ფონდმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულ თანხებთან ერთად, სოფლებში კონკრეტული პრობლემების მოგვარება უნდა შეძლოს.

**რომელი კანონების ინიცირებას გეგმავთ პარლამენტში თქვენს საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით?**

**სულხან მახათაძე:** ზემოთ ამ საკითხზე უკვე ვისაუბრე. ალბათ, განმეორება საჭირო აღარაა.

**გოგი ჩიკვილაძე**: საქმიანობის პროცესში გამოჩნდება ჩემს გუნდთან ერთად იმ კანონპროექტების მომზადების საჭიროება, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიისა და ჩემი დაპირებების შესრულებას (მაგ., ვფიქრობ, დასარეგულირებელია მიგრირებული, დაქირავებულ ბინებში მცხოვრები ახალგაზრდა ოჯახებისთვის სოციალური დახმარების მიღების საკითხი).

**მალხაზ წერეთელი**: ძირითადად, ეს იქნება გარემოსდაცვის ახალ საკანონმდებლო პაკეტზე მუშაობა.

მაქვს საკანონმდებლო წინადადებები მოსახლეობისთვის ტყის რესურსით სარგებლობის გამარტივებასთან დაკავშირებით.

ჩემი ოთხწლიანი ბრძოლის შემდეგ მთავრობაში გაგზავნილია შუამდგომლობა ჭიათურისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებაზე. ამ საკითხის ბოლომდე მიყვანა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გარკვეული შეღავათების მინიჭება იმ სოფლებისთვის, სადაც არ ვრცელდება მაღალმთიანი ზონის კანონი.

**ანი მიროტაძე**: ფაქტობრივად, ამ კითხვაზე უკვე გაცემულია პასუხი. თუმცა, კიდევ ვაპირებ რაღაცების ინიცირებას. გლობალურ მასშტაბში, ჩემი აზრით, ძირფესვიანი რეფორმაა ჩასატარებელი განათლების სისტემაში. ჩემი დევიზი იქნება 2016 წლის მეცხრე მოწვევის პარლამენტში - რაც შეიძლება ეფექტური რეფორმა განათლებაში! დღეს ჩვენ გვაქვს დიპლომზე ორიენტირებული განათლება. განათლება უნდა იყოს ხარისხზე ორიენტირებული, რათა დიპლომირებული მოქალაქე აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომელიც დასაქმებისთვის არის აუცილებელი.

**თეიმურაზ გაფრინდაშვილი**: მიმაჩნია, რომ ძირეულად გადასახედი და შესაცვლელია საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1996 წელს. ასევე, ნაწილობრივ დასახვეწია კანონი საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ, რომელშიც არ არის დაზუსტებული ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სატრანსპორტო, კონკრეტულად კი სამგზავრო გადაზიდვებში.

**უჭერთ თუ არა მხარს, რომ პარლამენტმა საქმიანობა ქუთაისში განაგრძოს?**

**სულხან მახათაძე:** ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ თავის დროზე ქუთაისში პარლამენტის შენობის აგება იყო ახირება. იმ დროს ბევრად უფრო მეტი პრობლემა იყო მოსაგვარებელი ქუთაისში. ადგილობრივთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ პარლამენტის იქ გადატანით არ მოგვარებულა ფუნდამენტურად ქუთაისის პრობლემები. რადგან პარლამენტის შენობა უკვე არსებობს ქუთაისში, მისი გამოუყენებლობა, არა მგონია, მიზანშეწონილი იყოს.

**გოგი ჩიკვილაძე**: დიახ.

**მალხაზ წერეთელი**: არა.

**ანი მიროტაძე**: არ ვარ ჩამოყალიბებული ამ საკითხზე. გადაწყვეტილებას მივიღებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ შენობის ფუნქციურ დატვირთვაზე წინასწარ შევთანხმდებით. როცა 400 მილიონი უკვე ჩადებულია ამ შენობაში, მე ვფიქრობ, ასე მიატოვო, სწორი არ იქნება. შესაძლებელია, სანაცვლოდ, რაღაც შევთავაზოთ ქუთაისს, მაგალითად, აქ შეიძლება გაკეთდეს კავკასიის მასშტაბით დიდი სავაჭრო ბირჟა, რაც შემოსავლებს მოიტანს. ეს მაგალითისთვის. თუმცა ეს კონსულტაციებისა და მოლაპარაკების საკითხია.

ცალსახა და მკაფიო პოზიცია მაქვს - ვიდრე ამ შენობის ფუნქციით დატვირთვაზე არ შევთანხმდებით, პარლამენტის გადატანაზე საუბარი ცოტა ზედმეტია.

**თეიმურაზ გაფრინდაშვილი**: ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, სად ვიმუშავებ ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისას. ამ შემთხვევაში ჩემთვის მნიშვნელოვანი ჭიათურა და მისი ინტერესების დაცვაა.

**ირმა ბახუტაშვილი**

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები
# ბათუმის №68 ოლქი

ბათუმის სამი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან 68-ე ოლქი ყველაზე მრავალრიცხოვანია, აქ 52 477 ამომრჩეველია. იმ კანდიდატებიდან, რომლებიც ერთმანეთს სწორედ ამ ოლქში შეებრძოლებიან, უმეტესობა ბათუმელებისთვის კარგად ნაცნობია. მოსახლეობას სწორედ მათ შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

დღეს ჩვენს კითხვებს პასუხობენ **ფატი ხალვაში („ქართული ოცნება"), მირდატ ქამადაძე („ნაციონალური მოძრაობა), პაატა ცივაძე („პატრიოტთა ალიანსი"); ირაკლი ჩავლეიშვილი („რესპუბლიკური პარტია"), ნუგზარ ვარშანიძე („თავისუფალი დემოკრატები")**.

ინტერვიუები მომზადდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რომელიც ყველა კანდიდატისთვის ძირითადად ერთნაირი იყო. მიღებული პასუხები იმგვარადაა დაჯგუფებული, რომ მკითხველს კანდიდატთა პოზიციების ერთმანეთთან შედარება გაუადვილდეს.

გაზეთში წარმოდგენილია ინტერვიუების შემოკლებული ვერსიები, ხოლო სრული ინტერვიუები განთავსდება ინტერნეტში ჩვენს საიტზე — **factchek.ge.**



**ფატი ხალვაში,**
**„ქართული ოცნება"**



**მირდატ ქამადაძე,**
**„ნაციონალური მოძრაობა"**



**პაატა ცივაძე,**
**„პატრიოტთა ალიანსი"**



**ირაკლი ჩავლეიშვილი,**
**„რესპუბლიკური პარტია"**



**ნუგზარ ვარშანიძე,**
**„თავისუფალი დემოკრატები"**

**კითხვა: რატომ იყრით კენჭს ამ კონკრეტულ ოლქში?**

**ფატი ხალვაში** („ქართული ოცნება"): მე წარმადგინეს ამ ოლქის მაჟორიტარად. გარდა ამისა, ამ ოლქში შედის ჩაქვი და ბათუმის ნაწილი. მე ვიყავი ჩაქვის მაჟორიტარიც, ვიცი ამ დასახლების პრობლემები, ვცხოვრობ ბათუმში და აქედან გამომდინარე, ვიცნობ ბათუმის ამომრჩევლის პრობლემებსაც.

**მირდატ ქამადაძე** („ნაციონალური მოძრაობა"): აქ გავიზარდე, აქ ვცხოვრობ, ჩემი ოჯახი ცხოვრობს აქ და აქ მიცნობენ ყველაზე უკეთ.

**პაატა ცივაძე** („პატრიოტთა ალიანსი"): ეს ჩემი მშობლიური ქალაქია, ბათუმი არის ჩემი გულის ფეთქვა, სადაც ყველა და ყველაფერი ნაცნობია. ბათუმის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება ჩემი მაჟორიტარული ოლქის საზღვრები, თუმცა, ისიც არ არის უცხო ჩემთვის.

**ირაკლი ჩავლეიშვილი** („რესპუბლიკური პარტია"): ბათუმის ცენტრში ჩვენი პარტიიდან კენჭს იყრის ხათუნა სამნიძე. პარტიამ გადაწყვიტა, ჩემი ძალები მოესინჯა 68-ე ოლქში, რომელიც ბათუმის ნაწილსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს მოიცავს.

ეს გადაწყვეტილება შემთხვევითი არ ყოფილა. 25 წლის განმავლობაში მე ვიყავი პეტრას ციხე-ნაკრძალის დირექტორი და ირგვლივ არსებული სოფლების - შუაღელეს, ხალას, ჩაქვის, სტურუას, ბუკნარის, ციხისძირის მოსახლეობის პრობლემები კარგად ვიცი. ბევრჯერ გვქონია შეხება, ისინი არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობდნენ. რაც შეეხება ბენზე-ბონი-ბარცხანა-გოროდოკის მცხოვრებლებს, აქაც მქონდა შეხება, როგორც ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც მოადგილეს და რიგით წევრს. ვიცი მათი საჭიროებებიც.

**ნუგზარ ვარშანიძე** („თავისუფალი დემოკრატები"): დავიბადე და გავიზარდე ბათუმში და ზუსტად ვიცი ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს. უშუალოდ ამ უბანში არ ვცხოვრობ, მაგრამ მთელი ქალაქი ძირითადად ერთნაირი პრობლემების წინაშე დგას.

**ჩამოთვალეთ მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ოლქის ამომრჩევლებს, და არა ზოგადად ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, განსაკუთრებით აწუხებს. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?**

**ფატი ხალვაში**: ეს არის წყლის პრობლემა. მართალია, სათავე ნაგებობა გაკეთდა, დასახლება გამრიცხველიანდა, მაგრამ წყლის მიწოდება კვლავ პრობლემად რჩება. ასევე, არის დაუკანონებელ, თვითნებურად დაკავებულ ტერიტორიებსა და ფართობებზე მცხოვრებთა პრობლემა, რომლის მოგვარებაც საკანონმდებლო რეგულირებით არის შესაძლებელი და ამაზე ვმუშაობ. ასევე, შიდა გზების მოწესრიგების საკითხი, რაც დაწყებულია.

**მირდატ ქამადაძე**: მთავარი პრობლემაა ავარიული სახლები. ჩვენ გვქონდა პროექტი „ბათუმი ბარაკების გარეშე" და ეს პროექტი უნდა გაგრძელდეს. პრობლემაა ისიც, რომ დევნილების უზარმაზარ დასახლებას არ აქვს ბაღი, სკოლა და აფთიაქიც კი. პრობლემაა ციტრუსის რეალიზაცია და ფასი, წყალი და კანალიზაცია, პრობლემაა გზები და გაზიფიცირება.

**პაატა ცივაძე**: ბათუმის, ჩაქვის, ციხისძირის ამომრჩევლის პრობლემები განსხვავებულია, მაგრამ სამივე შემთხვევაში პირველია პარლამენტში აჭარიდან წარგზავნილი „მკვდარი სულები"; 2. დაუსჯელობის სინდრომი; 3. სოციალური ფონი; 4. ადამიანის უფლებების დარღვევა, მათ შორის ქალებისა და ბავშვების, რაზეც არავინ ფიქრობს; 5. არასწორი ურბანული პოლიტიკა.

პრობლემის მოსაგვარებლად, პირველ რიგში, მიწა უნდა დავუკანონოთ ხალხს, უნდა შემუშავდეს კანონი მაღალსართულიანი მშენებლობების აკრძალვის შესახებ.

**ირაკლი ჩავლეიშვილი**: საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება, როცა მე, როგორც მაჟორიტარს, ორივე - სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის ინტერესების დაცვა მომიწევს - ციხისძირიდან გოგებაშვილის ქუჩამდე.

50 ათასი ამომრჩევლის პრობლემები განსხვავებულიცაა და საერთოც. ძირითადია მიწის დამუშავების, მოსავლის მიღებისა და რეალიზაციის საკითხები. მაგრამ მთავარი პრობლემა, რაც ამ მოსახლეობას აწუხებს, ესაა მიწის რეფორმა. ნაწილმა მიიღო ნაკვეთი, ნაწილმა ვერ მოახერხა. ზოგს იჯარით აქვს მიწა აღებული და შორეულ პერსპექტივაში ვერ გეგმავს, რა სახის პროდუქცია მოიყვანოს.

არის გაზიფიცირების, წყლის, გზების მოწესრიგების პრობლემები. მთავარია, ვიმუშაო იმ საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც მოსახლეობას დაეხმარება. არის საკითხები, რასაც თვითმმართველობა ვერ წყვეტს, რადგან პარლამენტს არ აქვს რეგულირებული. ასეთია, მაგალითად, ეკოლოგია, ტრანსპორტი.

**ნუგზარ ვარშანიძე**: უმუშევრობა, დაბალი ხელფასები, პენსიონერებს არ აქვთ ღირსეული პენსია - ჩვენი აზრით, ეს ქალაქისა და მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის მტკივნეული პრობლემებია. ასევე, დიდი პრობლემაა მოშლილი ინფრასტრუქტურა, მაგალითად, წყალგაყვანილობა, საკანალიზაციო სისტემა და ა.შ.

**რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირებები ამომრჩევლისთვის? რა დროში აპირებთ თქვენი დაპირებების შესრულებას? გაგვაცანით მიახლოებითი გრაფიკი.**

**ფატი ხალვაში**: ჩვენ ამომრჩეველს ვპირდებით პენსიას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიხედვით. დასრულდება მუშაობა დაგროვებითი პენსიის პროექტზე. ჩვენი მთავარი მესიჯია ბიზნესის განვითარება და მოგების გადასახადისგან ბიზნესის განთავისუფლება, რამაც უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები. ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც დაწყებულია.

წინა მოწვევის პარლამენტში მქონდა ინიციატივა, რომ აჭარის მთავრობას გრანტის გაცემა შეძლებოდა. ეს შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ კანონმდებლობა დასახვეწი იყო. თუკი ახალი მოწვევის პარლამენტში მოვხვდები, გავაგრძელებ ამ საკითხის ლობირებას და აჭარის მთავრობის მიერ გრანტის გაცემის პროცედურა უფრო მოქნილი გახდება.

**მირდატ ქამადაძე**: ოთხი წლის განმავლობაში ავაშენებთ სოციალურ სახლებს. სულ - 2 800 ბინას. ეს იქნება, ჯამში, ორმოცი კორპუსი. გვაქვს კონკრეტული გრაფიკიც.

| წელი | ბიუჯეტი (მლნ ლარი) | სახლების რაოდენობა | ბინების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 2017 | 20 | 6 | 400 |
| 2018 | 30 | 10 | 700 |
| 2019 | 30 | 10 | 700 |
| 2020 | 40 | 14 | 1 000 |
| ჯამი | 120 | 40 | 2 800 |

რაც შეეხება დევნილების დასახლების პრობლემას, აქ პირველი სართულები ისედაც კომერციული იყო და სამწუხაროდ, ათვისება ვერ მოხერხდა, ეს ბინებიც დევნილებს გადაეცათ. სკოლა და ბაღი კი უკვე დაგეგმილი გვქონდა და ვერ მოვასწარით, თუმცა აუცილებლად გავაკეთებთ.

ციტრუსის სუბსიდირებაც მნიშვნელოვანია ჩემი ოლქის მოსახლეობისთვის და ამ საკითხზე პარტიის ერთიანი პოზიციაც შემუშავებულია.

**პაატა ცივაძე**: ჩვენ ვპირდებით ამომრჩეველს სამართლიანობის აღდგენას და არა კოაბიტაციას. უნდა დაისაჯოს ყველა მოძალადე, ვინც აქამდე მოგვიყვანა. პირველივე სხდომაზე, როცა პარლამენტში შევალთ, „ნაციონალური მოძრაობის" აკრძალვის საკითხს დავსვამთ.

**ირაკლი ჩავლეიშვილი**: ვგეგმავ ისეთი საკითხების ლობირებას სხვადასხვა სტრუქტურებში, როგორიცაა, მაგალითად, პეტრას ციხის ტერიტორიასთან მცხოვრები ადამიანების ჩართვა ციხის ტურისტული განვითარების გეგმაში. მათი დასაქმება და მიბმა მნიშვნელოვან ძეგლთან, რომელსაც, გარდა კულტურულისა, აქვს ტურისტული ფუნქცია და შესაძლოა, ხელი შეუწყოს იმ არეალში მცირე ბიზნესის განვითარებას.

ასევე, თამარის დასახლებაში (ბენზეში) არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა მოსაწესრიგებელია საპარლამენტო დონეზე.

კიდევ ერთი მთავარი საკითხი, რომელიც საშურ საქმედ მიმაჩნია, ეს არის სარკინიგზო კვანძის გადატანა ამ ტერიტორიიდან. 14 ჰექტარი თავისუფლდება ამ ნაწილში და იქნება სუფთა ეკოლოგიური გარემო, ხელსაყრელი ადამიანებისა და ბიზნესისთვისაც.

**ნუგზარ ვარშანიძე**: ჩვენი მთავარი დაპირება არის მინიმალური ხელფასი - 500 ლარი, პენსია - 300 ლარი და საარსებო მინიმუმი - 250 ლარი. მინიმალური ხელფასი გულისხმობს საათში 3 ლარს, რაც თვეში 500 ლარი გამოდის. ამას გავაკეთებთ ეტაპობრივად, 4 წლის განმავლობაში.

ასევე, ინვესტიციების მოზიდვითა და საგადასახადო შეღავათებით ხელს შევუწყობთ უმუშევრობის შემცირებას და ბიუჯეტის ზრდას.

**რომელი კანონების ინიცირებას გეგმავთ პარლამენტში თქვენს საარჩევნო ოლქთან დაკავშირებით?**

**ფატი ხალვაში**: ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანია ეკომიგრანტების შესახებ კანონის შემუშავება, მათი სტატუსის განსაზღვრა, რაც დაწყებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასრულებული. ასევე, უსახლკაროთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკანონმდებლო მხარდაჭერა.

**მირდატ ქამადაძე**: თუ ამ პრობლემების მოსაგვარებლად კანონების ინიცირება გახდება საჭირო, ბუნებრივია, იქნება ინიციატივებიც, თუმცა, ამჯერად ჩემი იდეები სრულ თანხვედრაშია გუნდის ოფიციალურ პოზიციებთან.

**პაატა ცივაძე**: პირველ რიგში, მიწის კანონია მისაღები, რადგან ჩემს საარჩევნო ოლქში ეს უმთავრესი პრობლემაა. ასევე, ადამიანის უფლებების დასაცავად რიგი კანონებია მისაღები, მათ შორის საპენსიო ასაკის დაწევა.

**ირაკლი ჩავლეიშვილი**: სერიოზული პრობლემაა საპენსიო საკითხი. ჩვენი პარტიის პროგრამაში დევს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე საშემოსავლო გადასახადიდან უნდა გროვდებოდეს თანხა საპენსიო ფონდში, რათა დასაქმებულმა შეძლოს სიბერის უზრუნველყოფა. ამ პროექტს მხარს დავუჭერ. ასევე, ვიმუშავებ იმ პროექტებზე, რაც ქალაქის ინტერესებს სჭირდება.

**ნუგზარ ვარშანიძე**: ჩემი ოლქის პრობლემებზე უკვე გესაუბრეთ და, ბუნებრივია, ჩემი პარლამენტში მოღვაწეობა სრულად დაეთმობა ამ პრობლემების მოგვარებას, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე პარლამენტში ვიქნები არა მხოლოდ ჩემი ოლქის წარმომადგენელი, არამედ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრიც და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის წინაშე მდგარ პრობლემებზე ვიმუშავებ.

**იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გახდებით პარლამენტის წევრი, რა ინტენსივობით და როგორ გააგრძელებთ ამომრჩეველთან კომუნიკაციას?**

**ფატი ხალვაში**: სატელეფონო კონტაქტი სულ მქონდა. მირეკავდნენ მოქალაქეები, ვშუამდგომლობდი მათ სხვადასხვა საკითხზე, ასევე, მუშაობდა ბიუროც. როცა საშუალება მაქვს, დავდივარ სოფლებში და ვხვდები მოსახლეობას. იგივე გაგრძელდება მომავალშიც კიდევ უფრო ინტენსიურად.

**მირდატ ქამადაძე**: უკვე შევხვდი 2 500 ოჯახს და არჩევნებამდე შევხვდები ყველას, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა. ვგეგმავ, რომ არჩევნების შემდგომაც იმავე რეჟიმში ვიმუშაო და ხალხთან ყოველდღიური კომუნიკაცია შევინარჩუნო, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა. პირდაპირი კომუნიკაცია საჭიროა, ვინაიდან მაჟორიტარობის კანდიდატებს ხალხი მხოლოდ წინასაარჩევნოდ არ უნდა ხედავდეს და ეს მანკიერი პრაქტიკა უნდა აღმოიფხვრას.

**პაატა ცივაძე**: კომუნიკაცია მექნება 24-საათიანი. კომუნიკაციის პრობლემა ნამდვილად არ მექნება. ტელეფონი მექნება მუდამ ჩართული.

**ირაკლი ჩავლეიშვილი**: მე საპარლამენტო გამოცდილება არ მაქვს. გზებს ვერ დავაგებ, სამუშაო ადგილებს ვერ შევქმნი, ზოგი დეპუტატი ასეთ ცრუ დაპირებებს გასცემს. პარლამენტარი უნდა ჩანდეს საკანონმდებლო სივრცეში და კონტაქტი არ უნდა გაწყდეს. სადაც არ უნდა ვიყო, არსებობს მრავალგვარი საშუალება კომუნიკაციისთვის.

**ნუგზარ ვარშანიძე**: ყოველდღიურ რეჟიმში. წარმომადგენელი უნდა გვყავდეს ადგილებზე და როგორც წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვხვდებით მოსახლეობას, ანალოგიურად უნდა გაგრძელდეს არჩევის შემდეგაც. სისტემატური შეხვედრები და ანგარიშის ჩაბარება, როგორ სრულდება დაპირებები - ეს არის არჩეულის პირდაპირი მოვალეობა ამომრჩევლის წინაშე.

**დასასრული მე-16 გვ.**

GRASS FACTCHECK factcheck.ge



სიმართლე

## მცირდება თუ არა სიღარიბე საქართველოში

**დიმიტრი ქუმსიშვილი:** მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები ზედიზედ 4 წლის განმავლობაში (2011-2014) მცირდება

1-ელ სექტემბერს ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, „საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები ზედიზედ 4 წლის განმავლობაში (2011-2014 წლებში) მცირდება“.

მიმდინარე წლის აგვისტოში მსოფლიო ბანკმა საქართველოში სიღარიბის შემცირების ტენდენციებზე კვლევა გამოაქვეყნა. მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიის თანახმად, სიღარიბის განსაზღვრა მოსახლეობის დანახარჯების მიხედვით ხდება. უკიდურეს სიღარიბედ მიიჩნევა, როცა ადამიანი საკუთარ თავზე დღიურად 2.5 დოლარზე ნაკლებს ხარჯავს.

კვლევის თანახმად, საქართველოში, 2011-2014 წლებში, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა. 2010 წელს საქართველოს მოსახლეობის 46.7% დღიურად 2.5 დოლარზე ნაკლებს მოიხმარდა, 2014 წელს ეს მაჩვენებელი 32.3%-მდე შემცირდა (იხ. გრაფიკი 1). ამავე კვლევაში აღნიშნულია, რომ სიღარიბის შემცირების ტენდენცია 2015-2018 წლებშიც გაგრძელდება და 2018 წლისთვის უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 25.5%-მდე შემცირდება.

**გრაფიკი 1: უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში, 2006-2014 წლები**




მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ მაღალია. აღსანიშნავია, რომ უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სოფლად (42.8%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (17.2%) თბილისში ფიქსირდება.

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, 2010 წლის შემდგომ პერიოდში სიღარიბის შემცირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურმა აქტივობებმა და ტრანსფერებმა (სოციალური, ფულადი გზავნილები) იქონია. კვლევაში, ასევე, ხაზგასმულია, რომ 2010-2014 წლებში სიღარიბის შემცირებაში მნიშვნელოვანი როლი შინამეურნეობების ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა ითამაშა. 2010 წლამდე პერიოდში სიღარიბის შემცირებაზე უფრო მეტი გავლენა სოციალურ ტრანსფერებს ჰქონდა, ვიდრე ოჯახის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.

**დასკვნა**

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, საქართველოში უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 2011-2014 წლებში ყოველწლიურად მცირდებოდა. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, ეს ტენდენცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდება. მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი კვლავ ძალიან მაღალია, მოსახლეობის 32.3% საკუთარ თავზე დღიურად 2.5 დოლარზე (5.8 ლარი) ნაკლებს ხარჯავს. უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სოფლად მაცხოვრებლებში (42.8%).

**თეონა აბსანძე**

# რა ჯდება ერთი სტუდენტის შენახვა თბილისში



დღეს არსებული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, სტუდენტის შენახვა საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახისთვის საკმაოდ რთულია. განსაკუთრებით მაშინ, თუ სტუდენტს მშობლიური ქალაქის ან რაიონის დატოვება და სასწავლებლად დედაქალაქში ჩამოსვლა უწევს. ჩვენ დავინტერესდით, რა პირობებში ცხოვრობენ რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტები და რას აკეთებს სახელმწიფო მათ დასახმარებლად.

განათლების სფეროში გახორციელებული რეფორმების შედეგად ყველა აბიტურიენტს საშუალება მიეცა, თანაბარ პირობებში იბრძოლოს სასურველ უნივერსიტეტში მოსახვედრად. გარდა იმისა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ, სახელმწიფო გრანტი მოიპოვონ, ასევე, არსებობს გარკვეული ფაკულტეტები, სადაც სწავლა უფასოა (სხვა საკითხია, რომ ამ ფაკულტეტებზე, სხვა მიმართულებებთან შედარებით, სწავლის ხარისხიც დაბალია). შესაბამისად, სტუდენტთა ძალიან დიდ ნაწილს სწავლის საფასურის გადახდა მაინც უწევს.

სწავლის გადასახადის გარდა, არსებობს ბევრი სხვა პრობლემა, რომელთა გადაჭრაც სტუდენტებს საკუთარი სახსრებით უხდებათ - საცხოვრებელი ფართის დაქირავება, კომუნალური გადასახადები, წიგნები, მგზავრობა, კვება.

იმისთვის, რომ გაგვერკვია, რა უჯდებათ სტუდენტებს დედაქალაქში თავის შენახვა, ჩვენ რამდენიმე სტუდენტს გავესაუბრეთ და მათთან ინტერვიუს საფუძველზე შევეცადეთ, საშუალო ფასი გამოგვეყვანა.

რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების უმრავლესობას ბინის დაქირავება უწევს. როგორც მათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, მეტი ეკონომიისთვის რამდენიმე სტუდენტი (ორი-სამი) ერთ ბინაში ცხოვრობს და კომუნალურ გადასახადებსა და ბინის ქირას ერთად იხდის.

როგორც აღმოჩნდა, თვიურად ერთ სტუდენტზე, საშუალოდ, 150 ლარი მაინც არის საჭირო, რომ მეგობრებთან ერთად საშუალო პირობების ბინა, ან ოთახი დაიქირაოს. ამას ემატება კომუნალური გადასახადები. მართალია, ზაფხულში ეს თანხა შედარებით მცირეა, მაგრამ შემოდგომასა და ზამთარში კომუნალური გადასახადები, საშუალოდ, 70 ლარის ფარგლებში მერყეობს (რაშიც წყლის, შუქის, ინტერნეტის, გაზის, დასუფთავების თანხა შედის).

ქალაქში გადაადგილებისთვის თვეში დაახლოებით 35 ლარი ვიანგარიშეთ. თავად სტუდენტების თქმით, მინიმალური თანხა, რაც კვებისთვის თვიურად სჭირდებათ, 230 ლარია.

სწავლისთვის აუცილებელია წიგნები, თუმცა სტუდენტების უმრავლესობა თანხის დაზოგვის მიზნით ბიბლიოთეკებში ან ელექტრონულად ეცნობა აუცილებელ ლიტერატურას.

ჩვენ მიერ ზემომოყვანილი რიცხვების დაანგარიშებით, გამოდის, რომ საშუალო მინიმუმი, რაც ერთი თვის მანძილზე რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტს სჭირდება, 450-600 ლარის ფარგლებში მერყეობს. გარდა ამისა, ბევრი სტუდენტის შემთხვევაში ამას სწავლის გადასახადიც ემატება.

ეს თანხა საკმაოდ მაღალია იმ ფონზე, როცა მოსახლეობის 12.8% სოციალურად დაუცველია, 12% კი - უმუშევარი. „საქსტატის“ ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში საშუალო ხელფასი 975 ლარია, დასაქმების დონე კი - მთლიან მოსახლეობაში 59.7%, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს უწევს დანარჩენი 40.3%-ის შენახვა.

საზღვარგარეთ ეს პრობლემა ძირითადად იმით არის გადაჭრილი, რომ სტუდენტებს სწავლასთან ერთად მუშაობის საშუალებაც აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. გარდა სამუშაო ადგილების დეფიციტისა, ძალიან რთულია, მოძებნო სამსახური, რომელსაც სწავლასთან შეათავსებ.

ჩვენ დავინტერესდით, არსებობს თუ არა თბილისში უფასო სტუდენტური საცხოვრებელი. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე დაბალფასიანი სტუდენტური საცხოვრებელი ჯავახიშვილის უნივერსიტეტს აქვს, რომელში ცხოვრების ფასი თვეში 60 ლარიდან იწყება. თუმცა, აღნიშნულ საერთო საცხოვრებელში ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან არ არსებობს გათბობა, ცხელი და ცივი წყალი. სხვა სტუდენტური საერთო საცხოვრებლები კი, სადაც შედარებით კარგი პირობებია, საკმაოდ მაღალი ფასებით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, თბილისში, ლისის ტბაზე აშენდა 320 ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, რომელიც, რომელიც სოციალურად დაუცველ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტებზეა გათვლილი. თუმცა ეს, ბუნებრივია, პრობლემას სრულად ვერ აგვარებს.

## წინასაარჩევნო დაპირებები

საინტერესოა, რას გვპირდებიან წინასაარჩევნოდ პარტიები ამ მიმართულებით და რას უნდა ველოდეთ მომავალი ოთხი წლის მანძილზე.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში გაწერილია, რომ უმაღლესი განათლების დაფინანსება ორიენტირებული იქნება ქვეყნის განვითარების საჭიროებაზე. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები.

„ნაციონალური მოძრაობა“ ამ მიმართულებით შედარებით ფართო დაპირებებს გასცემს. პარტიის პროგრამაში ვკითხულობთ: „ჩვენ 5000-ით გავზრდით ყოველწლიურად სახელმწიფო საგრანტო პროგრამებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობას და გავზრდით სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებას“.

„რესპუბლიკური პარტიის“ დაპირებები განათლების სფეროში ძირითადად პროფესიულ სასწავლებლებს შეეხება.

„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ წინასაარჩევნო დაპირებების მიხედვით, პროფესიული განათლება უნდა იქცეს ერთ-ერთ წამყვან რგოლად, რომელიც არა მარტო მოზარდებს, არამედ ნებისმიერი ასაკის მოქალაქეს მისცემს საშუალებას, მიიღოს და აითვისოს ახალი პროფესია. უნდა შეიქმნას სპეციალური ფონდი სტუდენტების უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნის მიზნით. საგანმანათლებლო კრედიტს, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, ფონდი მთლიანად დაფარავს.

**ანი ნადირაშვილი**

# შეადარე მაჟორიტარობის კანდიდატები ბათუმის №68 ოლქი

**მე-15 გვერდიდან**

**გაქვთ თუ არა კონკრეტული მოსაზრებები რეგიონში სტიქიური მოვლენების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის?**

**ფატი ხალვაში**: ამ საკითხებზე საჭიროა სპეციალისტებთან კონსულტაცია და ამ ეტაპზე არ მაქვს კონკრეტული მოსაზრებები.

**მირდატ ქამადაძე**: აუცილებელია სარეზერვო ფონდების სწორი მართვა. მიგვაჩნია, რომ ზარალის ანაზღაურება სწრაფად უნდა ხდებოდეს და არ უნდა იწელებოდეს დროში. ამის მაგალითად ბარცხანაში, ნონეშვილის №58-ში მომხდარი ფაქტი შეიძლება მოვიყვანოთ, სადაც სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლია გადასახური და ამასაც ვერ ახერხებენ.

პრევენცია საჭიროა ეკოლოგიაზე ზრუნვით, თუმცა, მე ამის სპეციალისტი არ ვარ. გუნდში არიან ადამიანები, რომლებსაც ეს საკითხები კარგად ესმით და მე მათ კომპეტენციას ვენდობი.

**პაატა ცივაძე**: მაღალმთიანი აჭარა, სადაც მეწყრის საშიშროებაა, გეოლოგიურად უნდა იქნას შესწავლილი, რაც არ არის გაკეთებული, და მუდმივი დაკვირვების ქვეშ უნდა იყოს.

**ირაკლი ჩავლეიშვილი**: პირველ რიგში, გასაკეთებელია განაშენიანების გენერალური გეგმა. რთულ რელიეფში მცხოვრებ ადამიანებს უნდა დავეხმაროთ არა მარტო განსახლებით, არამედ ტიპური პროექტებით.

ბათუმი ზღვის დონიდან ნულზეა გაშენებული. მიმდინარე მშენებლობების შედეგად ის არხები, რომლებიც არსებობდა და სანიაღვრე წყლებისგან ათავისუფლებდა ქალაქს, ნალექს ველარ უმკლავდება და გაწვიმებისას პრობლემას ქმნის. მართალია, წყლისა და კანალიზაციის პროექტი წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ საკმარისი არ არის.

უნდა შეიქმნას გადასაქაჩი სადგურები, როცა სანიაღვრე არხები ვეღარ ატარებს წყალს, სატუმბი სადგურებით უნდა მოხდეს წყლის გადაქაჩვა.

ქალაქში მშენებლობის დროსაც უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ კომერციული ობიექტები განთავსდეს ზღვის დონიდან მაღლა, რათა ზარალი თავიდან იქნას აცილებული.

**ნუგზარ ვარშანიძე**: მიგვაჩნია, რომ რეგიონის მთლიანად გაზიფიცირება თუ მოხდება, ხეების მოჭრა მნიშვნელოვნად შემცირდება და მეწყრული პროცესების რაოდენობაც მოიკლებს. ტყეების შენარჩუნება აუცილებელია.

**მაია მერკვილაძე, ნაზი რეხვიაშვილი, მალხაზ რეხვიაშვილი**

**გაზეთი „ფაქტ-მეტრი“**
ISSN2449-2663
9772449266002

გამომცემელი - ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)“

***სარედაქციო კოლეგია*** - *პაატა გაფრინდაშვილი, დიმიტრი ავალიანი, დავით ქუტიძე, ბესო ნამჩავაძე.*

**დიზაინერი** - ნონა სილაგაძე.

**სარეკლამო სამსახური**
გიორგი გოგუაძე
ტელ. 598 55 43 84

**მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის №27**
ტელ. 032 2 30 90 25

USAID | საქართველო
ამერიკელი ხალხისგან
ამ გაზეთში გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პროექტ Factcheck.ge-ს და არ წარმოადგენს პროექტის მხარდამჭერი ორგანიზაციების მოსაზრებებსა და შეხედულებებს.